ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს №34 (1664) 12–14 მაისი, 1998 წ. ● ფასი 50 თეთრი

## „პარტმუშაკმა შევარდნაძემ ქურდმუშაკ ჯაბას მოუგო...“



მესამე გვერდი




### არ უნდა შევეგუოთ აფხაზეთის დაკარგვას...

მეორე გვერდი

### „დიდი შერიგება“ თუ წინასაარჩევნო ფარსი?




მეოთხე გვერდი




მეორე გვერდი

### გასული კვირის რამე-რუმე



### რად უწოდებენ საქართველოს ქურდების მხარეს?

მეხუთე გვერდი

# რადიო „თავისუფლება" იუწყება

ცხინვალში გაიმართა თვითმარქვია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტის სხდომა, რომელზეც განიხილეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ და პროკურატურის შესახებ კანონებში ცვლილებების შეტანის საკითხები. როგორც ცხინვალიდან მიღებული ინფორმაციით გახდა ცნობილი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესატანი ცვლილებების თანახმად, ამიერიდან დაიბეგრება რესპუბლიკის კერძო სპორტული სკოლები. რაც შეეხება პროკურატურის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს, ისინი ძირითადად სტილისტური ხასიათისაა. ცხინვალშივე გაიმართა თვითმარქვია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის სხდომა. განიხილეს საკითხები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო პრივატიზაციის პროგრამის მიღებას და სამხრეთ ოსეთის კომუნისტური პარტიისათვის იმ ორი ობიექტის გადაცემას, რომლებიც მას ადრე ეკუთვნოდა.

• • •

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, თამაზ ნადარეიშვილი დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა. ამ დღეებში გაიმართება მისი შეხვედრა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობასთან, ადგილობრივი ადმინისტრაციისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობასთან. ასევე, სამეგრელოს რეგიონში დროებით მცხოვრებ ლტოლვილებთან. 21-22 მაისს ზუგდიდში გაიმართება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს სესია, რომელზეც განიხილავენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებს.

• • •

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია მინისტრის, ირაკლი მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით, 11-15 მაისს სამუშაო ვიზიტით ეწვევა ამერიკის შეერთებულ შტატებს. საქართვე-




ლოს დელეგაცია მოლაპარაკებას გამართავს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებთან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარ კოორდინატორთან, ახალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხებში და პრეზიდენტ ბილ ქლინტონის მრჩეველთან ამ საკითხებში. ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე შეხვედრები ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიის სახელმწიფოთა განყოფილების მთავარ დირექტორთან და სანაპირო დაცვის უფროსთან. საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაური შეხვდება აგრეთვე, სენატის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტის, საერთაშორისო კანონიკური პოლიტიკის, ექსპორტისა და ვაჭრობის განვითარების ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს, წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტის, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის საქმეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს. გაიმართება ირაკლი მენაღარიშვილის შეხვედრა გაეროში, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენლებთან, გაეროს პოლიტიკური და სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ ადამია, საზღვრების დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე.

• • •

ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების პროგრამას მიუძღვნა თავისი პრესკონფერენცია, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა, ლადო პაპავამ. მსოფლიოს ყველა ქვეყანა აწყდება ასეთ პრობლემას. თუმცა, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე ყველგან სხვადასხვაგვარია — აღნიშნა მინისტრმა, რომლის თქმითაც, საქართველოში 1995 წელს ქვეყნის ეკონომიკაში ჩრდილოვანთა წილი 75-80%-ს შეადგენდა, მაგრამ უკვე 1997 წელს ეს არასასიკეთო მაჩვენებელი 50%-მდე შემცირდა.

• • •

არ ღირს უსაფუძვლო განცხადებების გაკეთება — ასე შეაფასა საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებთან საუბარში, ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერმა, ახმედ ზაკაევმა თბილისში მთელ რიგ პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ ამას წინათ გაკეთებული განცხადებების შესახებ. თითქოს ჩრდილოეთ კავკასიაში მზადდება შეიარაღებული ჯგუფი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, ტერორისტული აქტის განსახორციელებლად. ჩეჩნეთი სულ სხვა რამით არის დაინტერესებული, სტაბილურობითა და მშვიდობით საქართველოს ტერიტორიაზე და მთელს კავკასიაში, განაცხადა ახმედ ზაკაევმა და ამასთან აღნიშნა, რომ ჩეჩნეთის ხელმძღვანელობა მზადაა ითანამშრომლოს საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან.

## თამაზ ნადარეიშვილი:

# «არ უნდა შევეგუოთ აფხაზეთის დაკარგვას»

**— ბატონო თამაზ, იმის შემდეგ, რაც ჩვენ აფხაზეთი დავკარგეთ, ამტკიცებთ, რომ დაბრუნება მხოლოდ და მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით შეიძლება. ხომ არ შეგიცვლიათ პოზიცია?**

— პირიქით, ჩემი პოზიცია უფრო განმტკიცდა, რადგანაც უკვე ხუთი წელია, რაც ჩვენ აფხაზეთი დავკარგეთ და მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო დონის შეხვედრები, დაბრუნების საკითხში ძვრები არ შეინიშნება. მეორეს მხრივ, ამ დროის განმავლობაში საქართველომ შეძლო საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევა, მეგობარი ქვეყნების შეძენა, მაგრამ ჩემთვის, როგორც დევნილისათვის რეალური შედეგი ის იქნება, როდესაც გადავალ მდინარე ენგურის იქეთა მხარეს, შევალ გალში, ოჩამჩირეში, ამის გარეშე მე არავითარ შედეგს არ ვცნობ. ამ საკითხთან მიმართებით, როგორც აღვნიშნე, ჩემი პოზიცია უფრო გამყარდა. აფხაზეთის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით. მე ვრჩები ამ პოზიციაზე და ვერავინ დამარწმუნებს, რომ იგი მცდარი და მიუღებელია. ასე უნდა თვლიდეს ყველა, ვისაც რეალურად სურს აფხაზეთში დაბრუნება.

**— ბატონო თამაზ, როგორც ჩანს, თქვენ და პრეზიდენტს აფხაზეთის დაბრუნების მეთოდებთან მიმართებაში რადიკალურად განსხვავებული პოზიცია გაქვთ. ამ ხნის განმავლობაში თქვენს შორის არსებულმა აზრთა სხვადასხვაობამ ხომ არ მიგიყვანათ პოლიტიკურ ურთიერთდაპირისპირებამდე?**

— რა თქმა უნდა, ჩვენს საზოგადოებაში ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ თუ მე, განვლილ წლებში ჩემი პოზიციის გამო დიდი წინააღმდეგობები მხვდებოდა, დღეს დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ. ამიტომ, თუკი მშვიდობიან პოლიტიკურ მეთოდებს არ მოჰყვება რეალური შედეგი, რაშიც მე დიდი ეჭვი მეპარება, ჩემს პოზიციას კიდევ უფრო მეტი მხარდამჭერი გამოუჩნდება. მაგრამ ჩვენი უბედურება ისაა, რომ დიდ დროს ვკარგავთ. ღმერთმა ქნას, მშვიდობიანად დავიბრუნოთ აფხაზეთი, მაგრამ ამის პერსპექტივას მე შორეულ მომავალშიც ვერ ვხედავ. ამიტომ, ან უნდა შევეგუოთ აფხაზეთის დაკარგვას, ან ვაღიაროთ, რომ ასეთი დიალოგები ეკონომიკის აღდგენაზე, გზების გახსნაზე არაფრის მომცემია და მოლაპარაკებებს აფხაზური მხარე თვლის, როგორც




ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობას.

ვიტყვით, რომ ამ ხუთწლიანმა სამშვიდობო პროცესებმა არავითარი შედეგები არ გამოიღო და ბოლოს და ბოლოს ნათლად წარმოჩინდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა აფხაზეთის დაბრუნების საკითხში. თუ ვინმეს სჯერა ასეთი მეთოდებით აფხაზეთის დაბრუნება, მე ხელს არ შევუშლი. საერთოდ წავალ პოლიტიკიდან, მაგრამ მითხრან როდის დადგება ეს დღე. გამომდინარე აქედან, მე ჩემს პოზიციაზე ვრჩები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტსა და სახელმწიფოს სხვა სტრუქტურებს ჩემგან განსხვავებული შეხედულება გააჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის არც პრეზიდენტს და არც პარლამენტის თავმჯდომარეს არასდროს არ უთქვამს, რომ ჩემი პოზიცია არასწორია. ამიტომ, მე ვგრძნობ, რომ ისინი გაგებით ეკიდებიან ჩემს აზრს. უფრო მეტიც, ჩემი აზრით, არ შეიძლება მოიძებნოს ადამიანი, რომელიც დამძრახავს ჩემი პოზიციის გამო. მით უმეტეს, რომ მეც ძალიან რთული გზა გავიარე. ყველაფერი ვნახე. გამომდინარე აქედან მაქვს უფლება ჩემი მოსაზრებები დავასახელო. აღვნიშნავ იმასაც, რომ ქვეყნის ხელისუფლება მალე დადგება ჩემს პოზიციაზე. ვგულისხმობ ძალით მშვიდობის დამყარებას. ამ აზრს ამაგრებს მოსკოვის სამიტის მიერ მიღებული დოკუმენტი, სადაც ჩაწერილია: თუ ერთი თვის განმავლობაში არ მოხდება სამშვიდობო ზონის გაფართოება, არ დაიწყება დევნილების დაბრუნება, ამოქმედდეს გაეროს წესდების მეშვიდე პარაგრაფი, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთში ძალით დამყარდეს მშვიდობა, რასაც მე უკვე ამდენი ხანია ვქადაგებ. გამომდინარე აქედან ჩემს პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული პერსპექტივა გააჩნია. უფრო მეტიც, ალბათ, ბევრი დარწმუნდება ჩემი პოზიციის სისწორეში და ერთად დავადგებით აფხაზეთის დაბრუნების ძალისმიერ გზას. ბოლოს დავსძენ, რაც უფრო დაჩქარდება ეს პროცესი, ფიზიკურად მეტ დევნილს შევინარჩუნებთ.

**— ბ-ნო თამაზ, დღესდღეობით ჩვენი ძალოვანი სტრუქტურები არიან კი მზად სამხედრო ჩარევით აღადგინონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა?**

— ძალის გამოყენებას აქვს რამდენიმე მიმართულება. ერთ-ერთი მიმართულება არის პარტიზანული მოძრაობა, რომელმაც საკმაოდ ძლიერად აიდგა ფეხი. ამის გამოხატულებას წარმოადგენს ისიც, რომ ჩვენ შევძელით გალის რაიონში გუშინ ჩავსულიყავით მათი თანხლებით და გაგვემართა დიდი ღონისძიებები. აღგვემართა ქართული დროშა, გვემღერა ქართულად და ვერც ერთმა სეპარატისტმა ვერ გაბედა იქ მოსვლა, რადგან ჩვენ ვაკონტროლებდით გალის რაიონს მთლიანად.

მეორე მომენტი არის ის, რომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გასული კვირის რამე-რუმე

გასულ კვირას ბევრისათვის მნიშვნელოვანი ფაშიზმზე გამარჯვების 53-ე წლისთავი აღინიშნა. გარდასულ მთავრობას ეს დღეს ალსანიშნავად არ მიუჩნევია, დღევანდელმა ხელისუფლებამ კი იგი




ღირსეულად აღნიშნა. იმდენად ღირსეულად, რომ გამარჯვების ვალსიც კი შეასრულა და ომის ვეტერანები 45 ლარიანი პენსიით „გააბედნიერა".

მაშინ, როცა ჩვენი მთავრობა გამარჯვების ვალსის მელოდიის თანხლებით ტრიალებდა, ქვეყნის პოლიცმეისტერი სიმწრის ოფლში ილვრებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროში თარგამაძის გარდა მოუხსნელი და საყვედურგამოუცხადებელი არავინ დარჩენილა. ეს გახლდათ შედეგი შინაგან საქმეთა მინისტრის სახელმწიფო კანცელარიასა და სამინისტროს შორის „სირბილისა". სწორედ ამ „სირბილს" შეეწირნენ მიქაძე და ძმანი მისნი. რომელთაც პრეზიდენტზე მომხდარი თავდასხმიდან ზუსტად ორი თვის შემდეგ გაუხსენეს „ლოიალობა" და ვარდიკოს გზას გაუყენეს. თარგამაძე ამჯერად „გადარჩა" და ქვიშა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მინისტრთა გადაყენების უებარი საშუალება ყოფილა, ამჯერად არავის ჩაუყრია მისთვის „კანარეიკაში". შსს მინისტრმა თანამდებობა შეინარჩუნა და სახელმწიფო კანცელარიაში ერთ-ერთი ვიზიტის დროს ალბათ პირობაც დადო, რომ „მეტს აღარ იზამდა" და პრეზიდენტზე მორიგი თავდასხმის შესახებ (ფუ-ფუ, ენამ არ გვიყივლოს) ტელევიზიის საშუალებით კი არა, საკუთარი ოპერატიული ინფორმაციით შეიტყობდა. რაც შეეხება უშიშროების სამინისტროს, რომელსაც ჩვენი აზრით აგრეთვე უნდა ჰქონოდა ოპერატიული ინფორმაცია პრეზიდენტზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, ბევრი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ კრწანისის რაიონის უშიშროების რაიონული განყოფილების ხელმძღვანელმა და ტერორიზმთან ბრძოლის სამმართველოს უფროსმა გია მანდრიამ „ჩაილურის წყალი" დალიეს. ამ უკანასკნელის მოვალეობა ჯემალ ჯანაშიამ შეითავსა და დაიწუწუნა პრეზიდენტი მკაცრიაო, თუმცა მისი სეხნია მინისტრი თვლის, რომ უშიშროებას პრეზიდენტი ბევრს პატიობს.

აპატიებს თუ არა პრეზიდენტი ბოლომდე უშიშროების სამინისტროს „შეცდომებს", ამას მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მას მერე, რაც ვარდიკო პენსიის გზას გაუყენეს, ადგილებზე დარჩენილმა მინისტრებმა ცოცხები მოიმარჯვეს და სამინისტროების „გამოგვა" დაიწყეს. როგორც თავად მინისტრები ამბობენ, ამ „ოპერაციის" ჩატარებისას ბევრი კარგი კადრი გაჰყვა „ცოცხს", მაგრამ იმედია მათ პრეზიდენტის მრჩევლებად თუ არა, სხვა „ღირსეულ" თანამდებობაზე გადაანაწილებენ. თუკი მოხსნილთათვის მომავალი გაურკვევლობის ბურუსითაა მოსილი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი თავდაცვის მინისტრისა და შემდგომ ვარდიკოს პირველი მოადგილის ჯონი ფირცხალაიშვილისათვის უკვე ნათე-




ლია, რომ იგი თავდაცვის შტაბის უფროსად პრეზიდენტის ხელდასმით დანიშნა დავით თევზაძემ (ალბათ აქაც ფირცხალაიშვილის გერმანულმა სკოლამ ითამაშა როლი).

ჩვენმა ფინანსთა მინისტრმა კი თუ ბენზინის ბიზნესის „გათეთრებას" არ დაანება თავი, პრეზიდენტის ხელდასმა რომ ვერ უშველის, ეს ნათელია. „ჭკუასელი ორ შევარდნაძეს შორის აღმოჩნდა და თუკი სასწრაფო ზომები არ მიიღო, რომელიმე გადაიყოლებსო" — ამბობენ ბოროტი ენები. საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა, რომელსაც კანონის ძალა ჯერ არ აქვს, ის გამოიწვია, რომ საქართველოში იაფი ბენზინის ერა დასრულდა. ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავი ხუთი თეთრით გაიზარდა. ჭკუასელი ბენზინის „გათეთრებასა" და ამით ბიუჯეტის გაზრდას ცდილობს, რადგან დეფიციტმა ბიუჯეტში პრეზიდენტის უკმაყოფილება გამოიწვია. ბენზინზე გადასახადის გაზრდა ალბათ ბენზინის მაგნატის და პრეზიდენტის ბიძაშვილის ნუგზარ შევარდნაძის უკმაყოფილებას გამოიწვევს და ალბათ ჭკუასელისთვის სულ ერთი იქნება „მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ძაღლი."

ასევე სულ ერთი არ უნდა იყოს ალბათ საქართველოსათვის აფხაზეთის პრობლემა წამოიწევს წინ, სამაჩაბლოსი თუ სამცხე-ჯავახეთში გართულდება სიტუაცია. ამის წინაპირობა უკვე ნათლად ჩანს. ნინოწმინდაში მშენებარე საბაჟო აშენებამდე ააფეთქეს. ვინ და რატომ გააკეთა ეს, უცნობია. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველო-სომხეთის საზღვარზე სახელმწიფოებრიობის ისეთი გამოვლინება, როგორიც საბაჟოა, ნაკლებად თუა მისაღები.

არც აფხაზებისთვის აღმოჩნდა მისაღები აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ადგილსამყოფელის გამოცვლა და ზუგდიდში გადასვლა. ამას გალის რაიონში პარტიზანული მოძრაობის გააქტიურება მოჰყვა და შეიარაღებული შეტაკებით დასრულდა.

თუკი დავფიქრდებით იმაზე, რომ „მოქალაქეებმა" გაააქტიურეს ურთიერთობები „ტყის ძმებთან" და სხვა პარტიზანებთან, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ხელიდან არ გაუშვას კარტი, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია და რომელიც მომავალ არჩევნებში კოზირის როლს შეასრულებს. ვინ შეკაზმავს ცხენს? ვინ იქნება ის, ვინც აფხაზეთის საკითხს მოაგვარებს? ეს არავინ იცის, ვიცით მხოლოდ ის, რომ ვინც ამას შეძლებს, საარჩევნო ხმების უმრავლესობაც მისი იქნება.

გასულ კვირას, რაც ზემოთ მოგახსენეთ, იმის გარდა ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთლით იმას, რომ უნივერსიტეტის რკინის გისოსები ანუ „მხატვრული ღობე" შემოავლეს და თუკი ჩვენ, ჟურნალისტებს ასე-




თივე „მხატვრულ ღობეს" არ შემოგვავლებენ, შევეცდებით, მომავალშიც მოგითხროთ გასული კვირის რამე-რუმე.

ანა ჯუღელი

# პარტმუშაკმა შევარდნაძემ ამ თამაშში ქურდმუშაკ ჯაბას მოუგო...

## ЭТО Я, ЭДИЧКА

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №30-33

ახლა კი შევარდნაძეს „კვარტეტის" ლიკვიდაციისა და „სოლოდ" დარჩენის ამოცანა დაუდგა. ამ ამოცანას მან — ინტრიგების ატმოსფეროში ისე გაჩვეულმა, როგორც თევზი წყალშია — თავი ბრწყინვალედ გაართვა. დაიწყო „პატიოსანი" ქურდული თამაში — ურთიერთმოტყუებაზე. თამაში, უთვალთვალე პარტნიორს და ამხილე, ეს შენი უფლებაა... შეგეძლოს მისი მოტყუება თვითონ, ხოლო შემდეგ შენი საქმეა მოგების დაცვა. „არიფები" აქ ანგარიშში არ ჩაიგდებიან, ისინი ქურდები არ არიან. მათი ხვედრია ქედმოდრეკილი შრომა და ქურდების რჩენა. აი, სად ხვდება ერთმანეთს ქურდული და ნომენკლატურული ფსიქოლოგია.

კვარტეტიდან პირველი სიგუა გავარდა. მას მიჰყვა ხულიგანი კიტოვანი, რაც გასაკვირი არაა. მაგრამ ის, რომ პარტმუშაკმა შევარდნაძემ ამ თამაშში ქურდმუშაკ ჯაბას მოუგო, მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ამგვარ თამაშებში ნომენკლატურის პროფესიონალიზმი ქურდებისას სჭარბობს.

ამ თამაშში შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღო „შემოქმედებითმა" და სხვა კოლაბორაციონისტულმა ინტელიგენციამ. გამსახურდიას ეპოქაში დამშეულმა, როცა იგი პანღურის კვრით მოაცილეს „ნომენკლატურულ გობს", იგი მზად იყო ყოველგვარი ელასტიურობა გამოეჩინა. „ელასტიურობა" კი ნომენკლატურულ „ახალ ენაზე" ეწოდება შეგუებისუნარიანობას და „პახანის" წინაშე მუცელზე ხოხვას. ამ თამაშში ხომ ფოსტად იყო საქართველოს სიმდიდრე, რომელიც უნდა ამოეგლოთ ქურდებისა და ხულიგნებისაგან, რომელთაც მთელი საქართველო უკვე დანაწილებულ-დატაცებული ჰქონდათ. უნდა წაერთმიათ მათთვის ის, რასაც მათ უკვე ხელი სტაცეს და ერთმანეთში გაიყვეს.

ამ „ზეამოცანის" გამო — ზუსტად სტანისლავსკის მეთოდის მიხედვით — ჩვენი „სახალხოები", „დამსახურებულები" და სხვა კოლაბორანტები მუხლებზე დგებოდნენ და იმედით შესციცინებდნენ შევარდნაძეს, რომლის მოხერხებისა, დახელოვნებისა და უნარისა უყოყმანოდ სწამდათ. სწორედ რომ „მუხლებზე დგებოდნენ", და არა „ეცემოდნენ" ან „იჩოქებდნენ", რადგან ისინი ამ პოზაზე ფეხზე დგომის მდგომარეობიდან კი არ გადადიოდნენ, არამედ მუცელზე წოლის მდგომარეობიდან.

„დემოკრატიის" მლიქვნელნი, ერთნაირი ენთუზიაზმით რომ თხზავდნენ პანეგირიკებს „აზრის გიგანტისა"




და „დიადი დემოკრატისათვის", ასეთივე პანეგირიკებზე იყვნენ დასპეციალებულნი ათი და ოცი წლის წინათაც, ადრე ისინი უმღეროდნენ „განვითარებული სოციალიზმის" უპირატესობებს და უბირ ხალხს კომუნიზმის გზას უჩვენებდნენ, თან, გზადაგზა, ხოტბას ასხამდნენ მორიგ „ბელადს". ახლა კი მათი ამოცანა იდეალიზაციაც კი აღარ იყო, არამედ ფალსიფიკაცია. მათი მიზანია, განადიდონ „ბელადი" და ოფიციალურად შეიმუშაონ საგმირო „მითი", რათა ამ მითის საფარ ქვეშ კვლავ გზა გაიკაფონ ხელისუფლების „ბაგისკენ". ეს კი ისეთი მიზანი გახლავთ, რომ მის გამო ქვემძრომობა ღირს.

1972 წელს რომ რესპუბლიკის ყოფილმა კომკავშირულმა ბელადმა, საქართველოს კპ ცეკას წევრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა, მილიციის გენერალმა შევარდნაძემ მისი თანამდებობიდან გადააგდო ქურდი და მექრთამე მჟავანაძე და თვითონ მის ადგილას დაჯდა, ინტელიგენციის კლაკერებმა მაშინვე შესცვალეს ფირფიტა და ვ. პ.-ის („ვასილ პავლოვიჩის") ქების ნაცვლად ე. ა-ის („ედუარდ ამბროსიევიჩის") ქება დაიწყეს. იგივე კლაკერები ხოტბას ასხამდნენ საქართველოს სსრ „დიად მიღწევებს" ჩაის დიდი აფიორის, ხოლო შემდეგ ღვინის დიდი აფიორის დროს. ხალხის გახრწნამ ამ „სახელოვან მიღწევათა" პერიოდში აპოგეას მიაღწია. სამაგიეროდ, სუპერსახელმწიფო რომ ჩაის ტოტების ნაყენით და ღვინის სუროგატებით გაიჭყიპა, რომლებიც უკრაინული შაქრისა და რუსული ქიმიკატებისაგან იყო დამზადებული, ე.ა-მა კრემლის კეთილგანწყობილი ყურადღება მიიპყრო. ხალხმა კი თავის გულში დასკვნა გამიტანა: იქურდე, მაგრამ არ ჩავარდე!

მას აქეთ სოციალური მშვიდობა საქართველოში საზარელ სოციალურ ხელშეკრულებას დაემყარა: მოიპარე, მაგრამ მოპარული მეც გამიყავიო. მაგრამ ეს ყალბი მშვიდობა გახლავთ. ეს ისეთი მშვიდობაა, რომელშიც გარეგანი უდრტვინველობის ქვეშ სიძულვილი, ურთიერთშური და გაბოროტებაა ჩასაფრებული, ყველა ადამიანის გაქურდვის, მოტყუების, დაკაბალების სურვილი. პარტნომენკლატურამ თავისას მიაღწია. ხალხი მასთან „საქმეში გავიდა". ქურდულმა ეთიკამ ადამიანთა ყოფაში დაიმკვიდრა ადგილი.

რა თქმა უნდა, მთელ პასუხისმგებლობას ხალხის მორალურ გახრწნაზე ე. ა.-ს ვერ დავაკისრებთ. იმპულსები კრემლიდან მოდიოდა, მაგრამ ე. ა. ამ დაჩანაკებული არეოპაგის ნების ისეთი გულმოდგინე შემსრულებელი იყო, პარტიული ბატონების თვალ-წარბის ისეთი შემყურე, რომ მრავალ მხრივ მათ წინ უსწრებდა. მის გარშემო თავმოყრილმა ნომენკლატურულ-კრიმინალურმა გარემომ, რომელსაც „ახალი ენით" ევფემისტური გამოთქმა — „პარტიულ-სამეურნეო აქტივი" — ეწოდება, რაკი თავისი კონკურენტების ანუ ვ.პ.-ის კორუფციონერების განადგურებას მორჩა, თავისი ძალაუფლების ნაყოფით დატკბობა იწყო.

მაგრამ, როგორც კი ე. ა. მოსკოვს გაემგზავრა, ახალმა „ბელადმა" წამოიწყო ახალი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. რას ნიშნავს ეს, უკვე ვიცით. ე.ა-ის უახლესი მეგობარიც ბრალდებულთა სკამზე აღმოჩნდა. მაგრამ იგი „კერკეტი კაკალი" გამოდგა და მიუხედავად უძლიერესი ზეწოლისა „სულ ზემოდან", მიუხედავად გამომძიებლებისა და პროკურატურის მუქარისა, მან არ გათქვა, თუ ვისთან მიჰქონდა ქრთამით, გამოძალვით და მითვისებით მოპოვებული ფული. ვ. რაზმაძემ ბევრი იცის, თუ ყველაფერი არა. დაე, მან მოუთხროს მკითხველს, რა ხდებოდა სასამართლოს კულისებში. „ძნელი ბედის" კაცმა — როგორც მას მისი და უწოდებს — 14 წლის პატიმრობა მიიღო. რამდენიმე წელიწადში იგი გამოვიდა და — რაკი აღმოჩნდა, რომ შეძლებული კაცი ყოფილა, — ხელი მიჰყო ფრიად საინტერესო ფონდის — „შევარდნაძის ფონდის" შექმნას. ძველმა „მეგობრებმა" ერთმანეთი იპოვეს, მაგრამ მცირე ხნით. ს. ხაბეიშვილის სამწუხარო აღსასრული ცნობილია. უცნობია მხოლოდ შემკვეთი. ი. გიორგაძე, ყველა მის ცოდვათა მიუხედავად, ყველაზე ნაკლებ გამოსადეგია ამ როლისათვის.

სახელოვანი რევოლუციებისა და კონტრრევოლუციების დროს „პარტიულ-სამეურნეო აქტივმა", თავდაპირველად რომ დამფრთხალი იყო, თავისთავის ორგანიზება დაიწყო. მთელმა ამ ნაგავმა, მთელმა ამ რაიკომის, ქალაქკომის და ცეკას მდივნობამ, ამ გებისტობამ და ამ მილიციელობამ, მთელმა ამ „სამეურნეო" და სხვა კრიმინალურმა ლორწომ შეიგნო, რომ შეიძლება ყველაფერი დაკარგოს. საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნების ამ ულმობელმა აუცილებლობამ ისინი გააერთიანა რაღაცა საერთო საქმის აჩრდილის გარშემო. მაგრამ როცა შევარდნაძის სახით ძალაუფლების ფეტიში მოევლინათ, მათ თავი კვლავ იმად იგრძნეს, რაც იყვნენ. ფხიზლად რომ შეჰხედეს თავის ურთიერთობას და თავის მდგომარეობას მართულ ქვეყანაში, მათ კვლავ შეიძულეს ერთმანეთი, როგორც ძველმა მეგობრებმა, და იწყეს საქართველოთი ვაჭრობა, როგორც თავისი ნადავლით. ისევ ძველი დროის მსგავსად შეუძლებელია საქმის გაკეთება, თუ ქრთამი არ მიეცით, ყველა ამ ახალი მოხელისთვის თავთავისი ზუსტი ნიხრია დადგენილი. ესენი ჭეშმარიტი შვილები არიან თავისი გამზრდელი ბოლშევიკურ-პოლიციური სახელმწიფოსი, მისი თვითნებობისა და მისი აგდებული დამოკიდებულებისა კანონიერებისადმი და ადამიანის პიროვნებისადმი. მათაც ზედმიწევნით უხდებათ ოდესღაც ბურბონებზე ნათქვამი: მათ ვერაფერი ისწავლეს და არაფერი დაივიწყეს.

„დემოკრატიული" რუსეთის დახმარებით მოწყობილი დანაშაულებრივი გადატრიალების შედეგად რომ ხელისუფლება დაიბრუნა, შევარდნაძემ დაუყოვნებლივ იწყო ძალოვანი სტრუქტურების აღდგენა. მას ხომ სხვაზე კარგად ესმოდა, რომელი რეალური ძალა უნდა აერჩია თავის საყრდენად, მისი ძველი ძმაკაცები და მეგობრები, ვისთანაც კომკავშირულ-პოლიციურ-პარტიული კარიერა აკავშირებდა, სწრაფად შემოიკრიბნენ მის გარშემო. საქართველომ მკვეთრად გაუხვია და დაიძრა „ბანანური დემოკრატიების" გზაზე. იგი ერთ-ერთ ასეთ დემოკრატიად იქცა. თავისი ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერება რომ გაემართლებინათ, შევარდნაძემ და მისმა ხელქვეითებმა შეგნებულად დაიწყეს ზვიადისტების ძალის გაზვიადება — საშიშროებათა გაბუქვა, შემთხვევითი მოვლენების წინასწარ დაგეგმილ აქტებად წარმოჩენა, უმნიშვნელო ხდომილებების დამახინჯება ბოროტგანზრახული ინტერპრეტაციით. ზვიადისტების მთელ ქვეყნას ისეთ ერთსულოვნებასა და სიფრთხილეს მიაწერდნენ, რომლის მსგავსიც მათ არაფერი ჰქონდათ.

ბუნებრივია, რომ ბატონის ძალაუფლების განვრცობა მის ყმებს პატივმოყვარეობისა და ანგარების უკიდეგანო ასპარეზს უხსნის. როცა პრეზიდენტის სახელი ყოველგვარი ძალადობის დაუსჯელობის გარანტიას იძლევა. როცა რესპუბლიკის უმაღლესი „ავტორიტეტის" საფარს ქვეშ და უკვე დავაჟკაცებული სპეცსამსახურების სათავეში დგომით შესაძლებელი ხდება ნებისმიერი უკანონობის ჩადენა, სწორედ მაშინ იწყება ყაჩაღური თავდასხმის იმ გეგმის განხორციელება, რომელიც ორმა ავანტურისტმა რუსეთის სპეცსამსახურთა შეგონებით განიზრახა საკუთარი პასუხისმგებლობით და შემთხვევით აკრეფილი ბანდის გამოყენებით. ძალადობა მტრულად განწყობილთა მიმართ ასეთ დროს კანონიერებად მოჩანს, ხოლო ძალადობა მორჩილთა მიმართ თითქოსდა აუცილებლობის დამოწმებით მართლდება.

კვლავ უხვად აყვავდა მაამებლობა, ქვემძრომობა, ბეზღობა. ხაზინის ქურდობა და კორუფცია, ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს რომ ყვაოდა, ახალ ნიადაგზე გადანერგვით კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა, ჩვეულებით დადასტურებულ ნორმად იქცა. ძირიანად კორუმპირებული გახდა სინეკურების ხარჯზე უსაშველოდ გაბერილი სახელმწიფო აპარატი და პარლამენტი, რომლის შემადგენლობაც მმართველმა ნომენკლატურულმა ოლიგარქიამ თავისი სურვილისამებრ დააკომპლექტა „თავისუფალი" არჩევნების ჩატარებით, რომელშიც გამოყენებულ იქნა საბჭოთა პერიოდის არჩევნების მრავალნაცადი მეთოდები.

„მკვდარი სულების" გამოყენება, ბიულეტენების გაყალბება, პირდაპირი და არაპირდაპირი ზეწოლა „ძალოვანი" სტრუქტურების მხრიდან და მრავალი სხვა რამ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს, როცა პრეზიდენტის არჩევნების წინაღამეს ტელეარხი „Чего изволите-с" უცებ აცხადებს: 29 აგვისტოს ტერაქტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შევარდნაძის მთავარი მეტოქე ჯ. პატიაშვილი იყოო, რომელმაც, სხვათა შორის, არჩევნების წაგებისთანავე თავის რწმუნებულის ჭაჭიას პირით განაცხადა. „ჯანმრთელი ვარ, ფეხით არ დავდივარ და სიკვდილს არ ვაპირებო". ჯუმბერ პატიაშვილმა, ეტყობა, კარგად იცის თავის მეტოქეთა ზნე-ჩვეულებები!

მკვლელობათა გრძელი სერია, რომელიც უშუალოდ მოჰყვა შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებას, უფრო წააგავს დაჯგუფებათა „საძმო" გარჩევებს გავლენის სფეროებისთვის




ჭიდილში, ვიდრე პოლიტიკურ ანგარიშსწორებას. რამდენადაც ყოფილი პარტოკრატიის იმ კრიმინალურ-პოლიტიკური კლანების ბრძოლას დაუფარავად კრიმინალურ დაჯგუფებებთან — კლანებისა, რომელთა სახელიც „საქართველოს ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა" გახდა — თავის ძირითად შინაარსად სახელმწიფო სიმდიდრის ანუ სახალხო სიმდიდრის გაყოფა აქვს, სხვა ვითარება არც იყო მოსალოდნელი უთანხმოების მიზეზი რომ მხოლოდ შეხედულებები და იდეები ყოფილიყო, ყველა გულგრილად შეჰხედავდა ამ უთანხმოებებს. მაგრამ ამ შეხედულებებთან დაკავშირებულია ქვეყნის სიმდიდრე. და სწორედ ამისთვის ხდება მკვლელობა. ამ გრძელ მარტიროლოგში, ჩემის აზრით, მხოლოდ ერთი სიკვდილია — გრუ-ს თანამშრომლის, თ. კიტოვანის მთავარი მრჩევლის ი. ფისუნის სიკვდილი ციხეში (ოფიციალურად „გულის შეტევით"), რომელიც ამ ბანდიტურ გარჩევებში ვერ ეწერება. როგორია „გულის შეტევით" სიკვდილი, ჩვენ უკვე კარგად ვიცით კალუგინის აღსარებებიდან.

ყველა ეს მკვლელობები რომ ბრალად დასდო მოსკოვის დაყენებულს ი. გიორგაძეს (რომლის სვინდისზეც უეჭველად არის ამიერკავკასიაში ამერიკის რეზიდენტის მოკვლა) და მათ რომ პოლიტიკური სახე მისცა, შევარდნაძემ ვერ გაითვალისწინა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება, სახელდობრ, ის, რომ ანონიმური ტერაქტები არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ბრძოლის იარაღი. ეს ანონიმურობა, პირდაპირ, ყვირის და ამ აქტების კრიმინალურობას მეტყველებს.

მართალია, რაკი ყოველი ამ ნომენკლატურულ და დამნაშავე ჯგუფთაგანი პოლიტიკურ მებრძოლთა სამოსით ინიღბება, გარეგანმა ანტურაჟმა შესაძლოა ადამიანი შეცდომაში შეიყვანოს. მაგრამ, მოდით, გავამარტივოთ არგუმენტაცია. თუ კაცი ტერაქტზე იდეის გულისთვის მიდის, ამ აქციის მიზანია ყოველთვის და ყველგან, ყველა დროში სწორედ მაქსიმალური გახმაურება. ანუ ტერაქტი მუდამ საჯაროობის მოპოვების საშუალებაა, და არა პირიქით. სულ სხვა ხასიათისაა კრიმინალური გარჩევა, მისი მიზანია კონკურენტის მოცილება და არავითარი საჯაროობა. რისთვის მოხდა აქტი — „სანთლის პატარა ქარხნისთვის" თუ მინისტრის სინეკურისათვის? „მილისთვის" თუ მაღაზიისთვის? ხალხი ამას ვერ გაიგებს.

და ამ პრობლემის მთავარი კითხვაა: ვისთვისაა ეს ხელსაყრელი? მკითხველს ვთავაზობთ, თვითონ ამოხსნას ეს ძალიან რთული შარადა.

ვინ მოიგო ამდენი სიკვდილით? ვის ხელში აღმოჩნდა ნავთის, სიგარეტის, შაქრის, ენერგეტიკის, საბაჟოს, სასაზღვრო და ყველა სხვა სახის ბიზნესი? ხომ არავისთვის საიდუმლო არაა, რომ საქართველოში დღეს პოლიტიკა ისეთივე კომერციული წამოწყებაა, როგორც ყოველი სხვა! ერთადერთი, ეკოლოგიის სამინისტრო დგას, თითქოს, მის გარეთ და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დამრღვევთა ფინანსური დასჯის უფლება არა აქვს. [illegible] იყოს, ამ უწყებაზეც უკვე ხელჩართული ბრძოლა იქნებოდა.

მაგრამ რასაც დაიკავებ, უნდა დაიცვა კიდეც. ჯერ კიდევ ლენინმა იცოდა, რომ ცუდია ის რევოლუცია, რომელსაც თავის დაცვა არ შეუძლია. მისმა ერთგულმა მიმდევრებმაც პირველ ყოვლისა სპეცსამსახურების გამაგრება დაიწყეს. კვლავ თავის ადგილებს დაუბრუნდნენ სუკელი ნაძირალები (და ახალგაზრდობაც იქ იმავე ჯიშისაა). კვლავ საუცხოოდ გრძნობენ თავს „საიდუმლო თანამშრომლები", დამბეზღებლები — ეს ზნეობრივად არასრულფასოვანი ადამიანები. თუკი ი. ბათიაშვილიც მათ იცავს, საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ იქმს იგი ამას. პატრიოტული არგუმენტაცია ამ შემთხვევაში მხოლოდ დემაგოგიაა. ეს ზნეობრივად მახინჯი, რასაც არ უნდა უწყობდნენ თავის თავს, მაინც კიბოს უჯრედები არიან ხალხის სხეულზე და სხვა არაფერი. ისინი სამშობლოს კი არ ემსახურებიან, არამედ მხოლოდ საკუთარ ანგარებიან ინტერესებს. გამონაკლისი მათ რიგებში არაა.

თუ ლუსტრაციის კანონი არ იქნა, თუ არ გამოქვეყნდა და არ დაიგმო „სექსოტების" — საიდუმლო აგენტების სახელები, მორალურად მაინც, ჩვენ ახალ ცხოვრებას ვერ დავიწყებთ. ადამიანები ვერ გავხდებით. ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, ჩეხეთმა გახსნეს არქივები და გამოავლინეს ეს ადამიანები. ლუსტრაციის კანონის მიღების წყალობით ამ ქვეყნებმა თავისი საზოგადოება განწმინდეს ყოფილი ნომენკლატურისა და სუკ-ის ბინძისაგან. სწორედ ამ ზომების წყალობით გამოვიდნენ ისინი დემოკრატიისა და ცივილიზაციის შარაგზაზე, იმის ნაცვლად, რომ კვლავ პატერნალიზმის ჩიხში მომწყვდეულიყვნენ. მაგრამ ეს თემა ცალკე მსჯელობას მოითხოვს. ჩვენ მოკლედ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ „სუკელობა" — ეს სუკის გამოზრდილი ადამიანები — დღეს თავის ძველ თვისობრიობაშია აღდგენილი. და ძალიან საშიში ტენდენციაა „ესენგეს" ქვეყნების სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისა და სპეცსამსახურების გაერთიანება. ეს ხდება პირველ ყოვლისა ისეთი ოლიგარქიული პოსტკომუნისტური რეჟიმების მიერ, როგორიცაა თაჯიკური.

ჩვენთვის უმწვავესია „აფხაზეთის საკითხი". შევარდნაძე, რა თქმა უნდა, მას ექსპლოატაციას უწევს მხოლოდ იმისათვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს და, პირველ ყოვლისა, ლოზუნგი იშოვოს თავისი „კომკავშირუკა-მოქკავშირელებისთვის" მისამართად შემდგომ არჩევნებზე. ამას მოწმობს ამ ყმაწვილთა კარგად დადგმული „შოუები" ენგურზე. „მოქალაქეთა" ნახევარს ხომ, ღვთის მადლით, „რეჟისორები" შეადგენენ!

მაგრამ დავსვათ კითხვა: შეუძლია თუ არა — და, რაც მთავარია, უნდა თუ არა — შევარდნაძეს ამ პრობლემის გადაჭრა? რაც შეეხება „შეუძლიას", პასუხი ნათელია: არ შეუძლია. „დემოკრატიულმა რუსეთმა" რომ ეს ნაჭერი მიიტაცა, მის დაბრუნებას აღარ აპირებს. და არც „საქართველოს მეგობრების" იმედი უნდა ჰქონდეს ე. ა.-ს, ისინი ამ საქმეში არ დაეხმარებიან. მათ „ინტერესიანი სიყვარული" რუსეთისადმი აქვთ. ყველა მათი რევერანსები ე.ა-ის მიმართ ზრდილობაა და სხვა არაფერი. რუსეთს კი ყველა დონეზე ურჩევნია სტატუსკვო. საკუთარი ინტერესები ჯიბეში აქვს, შევარდნაძე კი კაუჭზე ჰყავს წამოცმული.

რუსეთის პოზიციას ამ საკითხში ყველაზე უკეთ გამოხატავს „დონის ლაშქრის" ატამანის პ. ბარიშნაკოვის განცხადება: „აფხაზეთს ქართველებს არ მივცემთ, იქ ჩვენი კურორტებია, ჩვენი ვენახებია, ჩვენი თამბაქო და ჩაია".

აი, სწორედ ამ ლოგიკას ემსხ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დიდი შერიგება“ თუ წინასაარჩევნო ფარსი?!.

მსოფლიო ისტორიას უამრავი რევოლუცია, სისხლიანი გადატრიალება და სახელისუფლო ხოცვაჟლეტა ახსოვს. არც საქართველოს ისტორიაა გამონაკლისი, მაგრამ ყველა საუკუნეს, ყველა



Photo News

დროს თავისი, შეიძლება ასეც ვთქვათ, საკუთარი ხელწერა და დაღი ატყვია. იყო დიდი ომების, ხალხთა გადაადგილებების, ჯვაროსნული ლაშქრობების, ინკვიზიციის პერიოდები. იყო დიდი იმპერიები და მსოფლიოზე გაბატონების მცდელობებიც, მაგრამ მეოცე საუკუნის მიწურულს მსოფლიო ცივილიზებული გახდა და თუ არ ჩავთვლით აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიისა და საბჭოთა კავშირის ყოფილ ცალკეულ კოლონიებს, შეიძლება ითქვას, გადატრიალება-გადმოტრიალებები „მოდაში“ აღარ არის და ხელისუფლებათა ცვლა კონსტიტუციური გზით ხდება.

მას შემდეგ, რაც ჩვენც ვიწვნიეთ სისხლიანი გადატრიალების, ანუ პუტჩის „სიკეთე“, უკვე შვიდი წელი მიიწურა. ბევრი ითქვა და დაიწერა ამ გადატრიალების მიზეზებზე, მის ინსპირატორებსა თუ შემსრულებლებზე, მაგრამ დამეთანხმებით, სათქმელი ამონწურული არ არის და დროთა განმავლობაში ამ პუტჩის ცალკეულ, ჯერაც გაურკვეველ და ბნელით მოცულ მხარეებსაც აეხდება ფარდა. ეს, ასე ვთქვათ, დროისა და მეისტორიეთა ზრუნვის საგანია და მემატიანე ყველაფერს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

ამჟამად, საზოგადოებაში ინტენსიური აზრთა გაცვლა-გამოცვლაა იმის შესახებ, თუ რა იყო ეს — სახალხო აჯანყება, სამოქალაქო ომი თუ წმინდა სახის პუტჩი? ისევე, როგორც სხვადასხვა აზრი არსებობს იმის შესახებ, თუ რა მოვლენასთან გვქონდა საქმე, შესაბამისად, საზოგადოების გარკვეული წრეებიც დაყოფილნი არიან და თუ, ვთქვათ, ერთი წრე საზოგადოებისა ამტკიცებს, რომ ეს იყო სახალხო აჯანყება, მეორე ნაწილი მას არ ეთანხმება და 1991-1992 წლების ამ მოვლენას სამოქალაქო ომად ნათლავს. მესამე ნაწილს საზოგადოებისა მიაჩნია, რომ ეს იყო სისხლიანი გადატრიალება, შეიარაღებული ადამიანების მიერ ხელისუფლების ძალით დამხობა, ანუ პუტჩი. ყველა მათგანს საკუთარი არგუმენტები გააჩნია და არ შევცდებით, თუ ვიტყვით, საკუთარი მიზნებიც.

თუ ლოგიკურად მოვიაზრებთ ხელისუფლების მომხრეთა არგუმენტებს, მივალთ დასკვნამდე, რომ მათთვის მისაღებია ორი არგუმენტი: სახალხო აჯანყება და სამოქალაქო ომი. სახალხო აჯანყება, მოგეხსენებათ, ხალხზეა აქცენტირებული და ამ მოტივაციის გამარჯვების შემთხვევაში, დღევანდელი ხელისუფლება ექსპრეზიდენტის მომხრეთა (არა მარტო მათ თვალში) წინაშე ხელდაბანილი გამოდის. თუ ავიღებთ სამოქალაქო ომის არგუმენტს, აქაც იგივე სიტუაციას მივიღებთ.

ყოველ შემთხვევაში, სურვილი იმისა, რომ ეს გადატრიალება სახალხო აჯანყებად ან სამოქალაქო ომად მონათლონ, ნამდვილად დიდია და ეს აშკარად იგრძნობა ხელისუფლებაზე ორიენტირებული საზოგადო მოღვაწეთა, პოლიტიკოსთა თუ მეცნიერთა მსჯელობაში. მთავარი ისაა, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეები ამას შესანიშნავად გრძნობენ და ხელისუფალთაგან მოითხოვენ საგნებისთვის საკუთარი სახელების მინიჭებას, ანუ 1991-1992 წლების მოვლენებისთვის რეალური შეფასების მიცემას. მათი მტკიცე და ურყევი მოთხოვნაა, რომ ეს მოვლენები შეფასდეს, როგორც სისხლიანი გადატრიალება ანუ პუტჩი.

ამ უკანასკნელთა მოთხოვნის მიმართ ხელისუფალნი წაყრუების პოლიტიკას ამჯობინებენ, ეს გასაგებიცაა, რადგან მათთვის წამგებიანია შვიდი წლის წინანდელი მოვლენებისთვის ამგვარი სტატუსის მინიჭება. წამგებიანია იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში მათ, რბილად რომ ვთქვათ, ქუდები უნდა დაიხურონ და საკუთარ სახლებში მიბრძანდნენ (თუ უფრო შორს არა).

ამიტომ, ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავი, რომ მათ სხვა გზა ამჯობინეს. კერძოდ, შერიგება-შემორიგების კამპანია გააჩაღეს და საჯარო ტრიბუნებიდან მათ მოწინააღმდეგეებს შერიგებისკენ მოუწოდეს. რამდენად გულწრფელია ხელისუფალთა ეს ნაბიჯი, ძნელი გასარკვევია, თუმცა მონდომებულ კაცს არცთუ მაინცდამაინც გაუჭირდება მათი ნამდვილი მიზნების ამოცნობა და მათში ალბათ, ყველაზე მთავარი ელემენტი წინასაარჩევნო მზადება უნდა იყოს.

სხვა საკითხია, რამდენად წამოეგებიან ექსპრეზიდენტის მომხრეები ამ წინასაარჩევნო ანკესს, თუმცა ზოგიერთი ფრთა მრავალ ნაწილად გახლეჩილი ზვიადისტებისა, ისე სჩანს, უკვე წამოეგო ამ სატყუარას და საბოლოო ჯამში, ალბათ, არჩევნებშიც მიიღებენ მონაწილეობას და დახურულ საარჩევნო ყუთებში ვის ჩაუგდებენ თეთრ კენჭს, ღმერთმა უწყის.

არც ხელისუფლებას და არც მის რადიკალურ ოპოზიციას დასაძრახი იმაში არაფერი აქვთ, რომ შერიგებისკენ გადადგან ნაბიჯები. პირიქით, ეს მისასალმებელი საქმეა და ქვეყნის გადარჩენის საუკეთესო წამალიც, მაგრამ მთავარია, ეს შერიგება იყოს ნამდვილი შერიგება და არა რაღაც მიზნების მისაღწევად გავლილი დროებითი ლონისძიება. ყოველ შემთხვევაში, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, სამომავლოდ თუ საქმეს არ გადავდებთ, გარკვეული პროგნოზის გამოტანა ახლაც შეიძლება. კერძოდ, ის,

ბი, ანუ შერიგების კამპანიის ფონზ[ე] რეპრესიული მანქანის ამოქმედება, სროლები ზუგდიდში და ა. [შ.] თუმცა, ვის და რისთვის დასჭირ[და] და ეს ყველაფერი ამ საშემო[]რიგებლო კამპანიის ფონზე, ცოტ[ა] არ იყოს, ბუნდოვანია. შესაძლე[]ბელია, აქ ისეთ სიტუაციასთა[ნ] გვქონდეს საქმე, როცა მარცხენა ხელმა არ უწყის, თუ რას აკეთებ[ს] მარჯვენა. ალბათ, ესეც არი[ს] მთავარი მიზეზი იმისა, რომ „დიდმ[ა] შერიგებამ“ ჯერჯერობით მაინ[ც] ჩაილურის წყალი დალია და ხელისუფალთა თუ მასზე ორიენ[]ტირებულ ცალკეულ პოლიტიკოს[]თა, მწერალთა და უბრალოდ საზოგადოებისათვის გარკვეულ[]წილად ცნობილ ადამიანთა მცდე[]ლობას ამ მიმართულებით ს[ა]სურველი შედეგი ვერ მოაქვს.

ისე, თუ ლოგიკურად გავიაზ[]რებთ, ნამდვილი შერიგებისთვი[ს] აუცილებელ წინამძღვრებს, მაშინ მაინც იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სანამ ეს ხელისუფლება ქვეყნის სათავეში, ამგვარი შერი[]გება არ შედგება, ანუ შერიგებ[ა] შედგება მხოლოდ მაშინ, როდე[]



რომ ხელისუფლებისგან გადადგმული საშემრიგებლო ნაბიჯები ერთგვარი წინასაარჩევნო ფარსია, ამაზე მეტყველებს თუნდაც თებერვლის ტერაქტების შემდგომი მოვლენე-

საც ქვეყანაში სამართალი [...] იმებს, კორუფცია აღმოიფხვრებ[ა] და კანონის (არა პირველი პირის) დიქტატურა დამყარდება.

**სერგო ჯანაშია**

---

# თამაზ ნადარეიშვილი:
# «არ უნდა შევეგუოთ აფხაზეთის დაკარგვას»

მე-2 გვერდიდან

აფხაზეთის ძალისმიერი სტრუქტურები ამ ბოლო დროს გაძლიერდა. თავის მხრივ ნამდვილად უაზრობა იქნებოდა აფხაზეთის დაბრუნების ძალისმიერ მეთოდებზე მელაპარაკა და ამ მხრივ არაფერი მეკეთებინა. ჩვენ მთლიანად აღვადგინეთ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, შინაგანი ჯარები, შევქმენით ქვედანაყოფები, უშიშროების სამინისტრო, რომელშიც ათასობით ადამიანია გაწევრიანებული, აქვთ იარაღი, იღებენ ხელფასს. რაც თავის მხრივ ძალის დემონსტრირებას წარმოადგენს. მე შემიძლია განვაცხადო, რომ ამ



ძალებით პარტიზანებთან ერთად თავისუფლად შევძლებთ აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დაგვიპირისპირდება მხოლოდ აფხაზი, ჩეჩენი და კაზაკი ბოევიკები, მაგრამ არ მოგვიწევს ბრძოლა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ნაწილებთან.

**— ბატონო თამაზ, თქვენ აღნიშნეთ, რომ შეუძლებელია აფხაზეთის დაბრუნება მშვიდობიანი მეთოდებით, აქვე განაცხადეთ, რომ თუ რუსეთი ჩაერევა ამ ომში და ფაქტია, რომ იგი არ დათმობს პოზიციებს, მაშინ ძალისმიერი მეთოდებით აფხაზეთის დაბრუნებაზე არ უნდა ვიფიქროთ. გამომდინარე აქედან, შევეგუოთ აფხაზეთის დაკარგვას?**

— რა თქმა უნდა, არა. მე მიმაჩნია, რომ პარტიზანული მოძრაობა, რომელიც დღითი-დღე იზრდება, გავლენას მოახდენს ამ პროცესებზე. იმასაც არ დავმალავ, რომ ეს ჯგუფები იბრძვიან რუსების წინააღმდეგაც. თუკი ჩეჩნეთში იღუპებიან რუსი გენერლები და ოფიცრები, აფხაზეთშიც იგივე ხდება.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩვენი მეგობარი ქვეყნების როლი ამ საკითხის მოგვარებაში. თუ მათ ნამდვილად სურთ მშვიდობის დამყარება, უნდა მიუთითონ რუსეთს, რომ არ ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში. მით უმეტეს, რომ რუსეთი გაეროს, ეუთოსა და ევროსაბჭოს წევრია. დაანახონ ის, რომ მეოცე საუკუნეა და ასე გახსნილად სხვისი ტერიტორიების მიტაცება არავის შერჩება.

**— ბატონო თამაზ, გუშინ უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ გალის რაიონში პარტიზანებთან ერთად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლის შესვლამ არძინბას მხრიდან გარკვეული აღშფოთება გამოიწვია. თითქოსდა ამით დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი აფხაზეთის წინააღმდეგ.**

**გვაინტერესებს, პარტიზანულ მოძრაობას უწევს თუ არა დახმარებას აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება?**

— მე მინდა გითხრათ, რომ ეს ისეთი საკითხია, რომელზედაც საუბარი პრესითა და ტელევიზიით ქვეყნის საერთო ინტერესებისათვის წამგებიანია. გამომდინარე აქედან, არ შეიძლება პარტიზანმა ინტერვიუ მისცეს, ან კიდევ ჩვენ ვისაუბროთ იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ მფარველობს ამ ჯგუფებს. მაგრამ მე არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ მივესალმები პარტიზანულ ომს და იმ ფაქტს, რომ მთლიანად გალის რაიონი მათ მიერ კონტროლდება.

რაც შეეხება დევნილების დაბრუნებას, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტერიტორიებს უკვე პარტიზანები აკონტროლებენ, უკვე დროა სახელმწიფო დონეზე დაიწყოს დევნილების დაბრუნება. როგორც არძინბამ განაცხადა, იწყება აფხაზეთის ტერიტორიის მთლიანობის რღვევა და ამას სწორედ ჩვენს პარტიზანებს უნდა ვუმადლოდეთ.

**— ბატონო თამაზ, მოქალ[აქე]თა კავშირის წევრები პარტიზა[]ნებთან ერთად ჩავიდნენ გალი[ს] რაიონში, რაც გარკვეულწილად იმაზე მიანიშნებს, რომ ისინ[ი] ფარულად, მაგრამ მაინც ეხ[]მარებიან პარტიზანულ დაჯგუფე[]ბებს. როგორ ფიქრობთ, ბოლო[ს] და ბოლოს, ხომ არ დარწმუნ[]დით მთავრობა იმაში, რომ აფხ[]აზეთის საკითხის გადაჭრა მხ[]ოლოდ და მხოლოდ ძალისმიერ[ი] მეთოდებით შეიძლება?**

— მე ამის დიდი იმედ[ი] მაქვს.



ამ ბოლო დროს ხშირად მებადება კითხვა: ნუთუ ქართველებს არ სურთ აფხაზეთის დაბრუნება? ამასაც თავისი საფუძველი გააჩნია, როდესაც ჩვენ აფხაზეთის დასაბრუნებლად რაიმე ნაბიჯს გადავდგამთ, გარკვეული პირების მხრიდან წინააღმდეგობებს ვაწყდებით, მაგრამ მათი დასახელებისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ. ჩავალთ თუ არა დასავლეთ საქართველოში, მაშინვე აგორდება პრობლემების მთელი ტალღა, რათა მუშაობაში ხელი შემეშალოს.

მივესალმები ყოველგვარ მშ[ვიდობიან] აქციებს, მაგრამ შედეგი[] როდესაც მოქალაქეთა კავშირ[ი]... მდინარე ენგურზე აქცია გამარ[თა] და მოითხოვეს აფხაზ უხუც[]ესებთან შეხვედრა, საპასუხოდ ჭურ[]ვები მიიღეს. შენ ითხოვ მოლ[]პარაკებებს, ის ჭურვებს გიშენ[ს] და დალაპარაკებაც არ სურ[ს] შენთან. ასეთ დროს აუცილებე[]ლი ხდება ძალის გამოყენება და იძულებით მშვიდობის დამყარებ[ა].

**კოკა კაპანაძ[ე]**
**გია თვალავაძ[ე]**

## პარტმუშაკმა შევარდნაძემ ამ თამაშში ქურდმუშაკ ჯაბას მოუგო...

მე-3 გვერდიდან

ქრევა ზედ შევარდნაძის „დიპლომატია“. „ალშფოთების“ აფეთქებაც და „არძინბას რეჟიმის“ მხილებაც მის მიერ 1997 წლის შემოდგომაზე იმით იყო გამოწვეული, რომ რუსეთმა შეუშვა თავის ტერიტორიაზე მილიონნახევარი ლიტრი ხილის წვენები, ჯემი, მურაბა, 10000 ტონა მანდარინი, 500 ტონა ფუნდუკი, 2000 ტონა ჩაი, 300 ტონა დაფნის ფოთოლი და ა. შ.. რომ დაინახა, რამოდენა ფული ეცლება ხელიდან, ე. ა.-ს ადმინისტრაციული ენთუზიაზმი მხილების შეძახილად გადაექცა. აკი აგვისტოში უკვე მოვილაპარაკეთ ბიჭებმა, რა როგორ გავიყოთ, ახლა კი აგერ პრობლემებს გვიჩენთო! გვინდა ვკითხოთ „საქ სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის“ ყოფილ წევრს, ამჟამად საქართველოს მთავარ მინისტრს, როგორაა აფხაზეთში „სანთლის“, უფრო სწორად კი — „კოკა-კოლას“ ქარხნის ამუშავების საქმე? მოლაპარაკებული ხართ უკვე თუ ჯერ არ ხართ ვლადისლავ გრიგორიჩთან, როგორ გაიყოფთ შემოსავალს?

ერთადერთი, ვისი ბედიც არავის აღელვებს, ეს ათიათასობით შიმშილისაგან მომაკვდავი, არაადამიანურ პირობებში მცხოვრები, ყველა ამ ბანდიტურ გარჩევათა მსხვერპლად გამხდარი ადამიანები არიან.

ახლა, რაც შეეხება კითხვას: უნდა შევარდნაძეს ლტოლვილთა პრობლემის გადაჭრა? ხოლო თუ უნდა, როგორ?

ერთის მხრივ, მისთვის, რა თქმა უნდა, ძალიან სასურველია სასოწარკვეთილ ადამიანთა ამ მასის მოცილება. ისინი ხომ ნელი მოქმედების ნაღმი არიან! მოთმინება ელევათ და ვინ იცის, რა მოხდება, როცა გაჭირვება აიძულებს, მოთმინებით სავსე მორჩილებიდან მოქმედებაზე გადავიდნენ!

მაგრამ მეორეს მხრივ ისიც ნათელია, რომ მათი შინ დაბრუნება ნიშნავს საქართველოში კიდევ ერთი ანტინომენკლატურული, ანტიშევარდნაძისტული კერის შექმნას. ფაქტიურად ეს იქნება მთელი დასავლეთ საქართველოს ოპოზიციაში ჩაყენება თავისი რეჟიმის მიმართ.

ან კი როგორ დავაბრუნოთ? რა პირობებით? სოხუმის რეჟიმთან მოლაპარაკება მისი პირობების საფუძველზე იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთში უუფლებო მონათა არმიას ვაგზავნით. თუ მოვითხოვთ მათ დაბრუნებას სრულფასოვანი მოქალაქეების სახით, ეს, პერსპექტივაში, ახალი აფეთქების, ქონების გადანაწილებისათვის ახალი ბრძოლის საშიშროებას ქმნის, რადგან მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლი ეს ადამიანები ნებით აღარ მისცემენ თავის ქონებას პოლიტიკურსა და კრიმინალურ ვიგინდარებს. არის, მართალია, „მესამე“ გზაც: ამ ადამიანების შიმშილით დახოცვა, რითაც სიამტკბილობით დასრულდება არძინბასთან აფხაზეთის გაყოფის პროცესი.

ზოგადად, შევარდნაძის მდგომარეობას „ისტორიაში“, პირველ ყოვლისა, ორმაგობა ახასიათებს: შევარდნაძე-დემაგოგი და შევარდნაძე-ორგანიზატორი. „შევარდნაძე-ორგანიზატორში“ ყოველთვის იკვეთება „პახანის“ სახე: იგივე ცინიზმი საშუალებათა არჩევაში, იგივე მიდრეკილება საეჭვო და თავგაყიდული ადამი-



Photo News

ანების დაახლოებისკენ, რომლებიც შეგიძლიათ იარაღად გამოიყენოთ და შემდეგ გადააგდოთ. მაგრამ, ამასთან, ეს ნიჭიერი და დახელოვნებული ორგანიზატორია. შევარდნაძე-დემაგოგში მკაფიოდ მოჩანს მატყუარა. იგი გვატყუებდა მაშინ, როცა კომკავშირულ და პარტიულ ყრილობათა ტრიბუნებიდან მოგვიწოდებდა კომუნიზმის მშენებლობისაკენ. ატყუებდა თავის მოსკოველ პატრონებს, როცა ჰპირდებოდა მათი „დერჟავის“ გაძლობას ჩაითა და ღვინით. იგი კვლავ გვატყუებდა, 1992-1994 წლებში, როცა ემირატების ბედს გვპირდებოდა ჩვენს ტერიტორიაზე თითქოსდა ნავთობის ულეველი მარაგის ზღაპრების თხრობით (სხვათა შორის, მან თვითონვე „ახსნა“ ეს ტყუილი იმით, რომ საჭირო იყო, ხალხს იმედის ნაპერწკალი მისცემოდა). ტყუოდა მაშინ, როცა პირობას დებდა, რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოში საშუალო ხელფასი 200 დოლარს ედრებაო, და მაშინ, როცა გვპირდებოდა ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის აყვავებას 2000 წელს. და კიდევ ბევრი, ბევრი ტყუილი აქვს ნათქვამი. არც მისი „მოქალაქეები“ ჩამორჩნენ თავის ბელადს და 2000 წლისათვის მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას დაგვპირდნენ. და აი, არა მათი ცრუპენტელობის შედეგად, არამედ ჩვენი გულუბრყვილო მიმნდობლობის შედეგად ჩვენ გვაქვს დანგრეული ეკონომიკა, პოლიტიკური არადამოუკიდებლობა და გვყავს შიმშილისაგან მომაკვდავი ხალხი, ამ „მტკიცე“ საძირკველზე კი გვყავს ერთი მუჭა გამორჩეული ქონმორეული პოლიტიკანები და კრიმინალები.

წინამდებარე წერილში მე შეგნებულად გავამარტივე და სქემატურად წარმოვსახე ის პროცესები, რომლებიც საქართველოში მიმდინარეობს. მაგრამ სინამდვილეში [illegible] ლივე ასე მარტივი როდია. რუსული სამხედრო წრეები და რუსული პოლიტიკური ელიტა დაყოფილნი არიან ურთიერთმოკონფლიქტე ჯგუფებად. რუსეთის მრავალრიცხოვან პოლიტიკურ ძალთაგან თითოეული ცდილობს დომინირებას ხელისუფლებაში და თავისი პოლიტიკური ხაზის გატარებას. ეს ხაზი კი მათ ზოგჯერ კარდინალურად სხვადასხვა აქვთ. ვითარება რომ ხელოვნურად გავამარტივე, მე მინდოდა მეჩვენებინა, რომ, ტაქტიკურ გეგმათა მრავალფეროვნების მიუხედავად ყველა ამ სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა ზრახვა საქართველოს და საერთოდ კავკასიის მიმართ ერთია: ნებისმიერი გზით კვლავ გამაგრება ამ რეგიონში. მთელი კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს ქცევა სამხრეთისაკენ ძლიერი დაწოლის პლაცდარმად. ამ ამოცანის ყველაზე უკეთესი გადაჭრა მათთვის არის უქართველებო საქართველოს შექმნა.

ჩვენი შინნაზარდი რუსოფილები ცდილობენ ხალხს ერთი კოლუმბის კვერცხივით მარტივი იდეა ჩაუჭედონ გონებაში: თითქოს არსებობს ორი რუსეთი — ერთი იმპერიული და მეორე დემოკრატიული. ვერ არჩევენ რა სასურველს რეალურისაგან, ისინი ამ კუსტარული პათოსით ცდილობენ დაგვიმტკიცონ თავისი პოზიციის კონსტრუქციულობა, რომელიც რუსეთთან დაახლოებაზეა მიმართული.

მაგრამ ეს ასე არ არის. არ არსებობს ორი რუსეთი. არის ერთი რუსეთი — ექსპანსიონისტური, იმპერიული, აზიური და თავისი არსებით — კრიმინალური.

**ვლადიმერ ხვედელიძე**

*გაგრძელება იქნება*

# მსოფლიოს გარშემო

### შეჯიბრი ბენზინის გაძვირებაში

გერმანიის მწვანეთა პარტიის წინადადებას, რომ ბენზინის ფასი გაიზარდოს 5 მარკამდე ლიტრზე, ქრისტიან დემოკრატთა პარტიამ მხარი დაუჭირა უფრო მცირე მოთხოვნით, რომ იგი გაიზარდოს მხოლოდ 4,60 მარკამდე. პარტიების ეს ჰუმანისტური მზრუნველობა განპირობებულია ეკოლოგიური მოტივებით, კერძოდ, დედამიწის დათბობის კატასტროფული პროგრესის შეფერხების სურვილით.

### დახურეს რეიტერის ოფისი

პალესტინის ხელისუფლების პოლიციის დეპარტამენტმა 10 აპრილს სამი თვით დახურა როიტერის სააგენტოს წარმომადგენლობა გაზაში. გადაწყდა, რომ ამიერიდან როიტერის რეპორტიორებმა უნდა დადონ სადმე ხელწერილი, რომ „ზუსტნი იქნებიან თავიანთ მუშაობაში და სწორედ განსაზღვრავენ ახალი ამბების ჭეშმარიტებას.“ ამ ღონისძიების მიზეზი გახდა როიტერის მგზნებარე ინტერვიუ ჰამაზის მებრძოლი ორგანიზაციის ერთ-ერთ მმართველთან ავად ავადალაჰთან. რომელმაც დაიქადნა, რომ ჰამაზი „გლოვას შეიტანს ისრაელის ყველა ოჯახში.“

### ტერორისტები „17 ნოემბერი“

ტერორისტული ჯგუფი „17 ნოემბერი“, რომელმაც 1975 წელს ათენში მოკლა აშშ „ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს“ ათენის ბინის უფროსი, ამჯერად ეჭვმიტანილია იმაში, რომ 8 აპრილს რაკეტა ესროლა ამერიკული „სიტი-ბანკის“ ათენის განყოფილებას, ზარალი დიდია, მაგრამ მსხვერპლი არ არის. ეს ტერაქტი ჯერჯერობით უკანასკნელია ათენში უცხო კომპანიების წინააღმდეგ მოწყობილ აქციებს შორის.

### „ლუსტრაცია“ სხვებსაც პრობლემებს უქმნის

როგორც იტყობინება გერმანული ჟურნალი „ფოკუსი“, ბონს პრეტენზია ჰქონია ვაშინგტონისადმი იმის გამო, რომ 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ შეერთებული შტატების „დაზვერვის ცენტრალური სააგენტო“ დაეუფლა აღმოსავლეთ გერმანიის უშიშროების სამსახურის — „შტაზის“ — „ოპერაციულ რეგისტრს,“ ანუ მის საიდუმლო სამსახურში მყოფი მოქალაქეების სიას, რომელიც მრავალ ათას გვარს შეიცავს.

კომუნისტური აგენტურის ეს სია დიდად აინტერესებს ბონის მთავრობას, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მიაღწია აშშ ხელისუფლების თანხმობას მის გადაცემაზე.

### რაბინს აპატიეს

ისრაელმა მოხსნა ნიუ იორკის რაბინის აბრაჰამ ჰეხტის წინააღმდეგ მიმართული აკრძალვა, რომელიც მას ისრაელში შესვლას უშლიდა. ჰეხტს ბრალდება, თითქოს მან რელიგიური სანქცია მისცა პრემიერ-მინისტრ იცხაკ რაბინის მოკვლას 1995 წელს.

### პაკისტანი კრძალავს

პაკისტანის მთავრობის განზრახვაა ქვეყანაში მოქმედების უფლება ჩამოართვას ოც არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელთა შორისაა „ამნესტი ინტერნეშენელი“, „ჰიუმენ როტს უოტჩი“ და სხვა უფლებადაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციები.

### აზარტული თამაშების ხარჯი

ლეგალიზებულ აზარტულ თამაშებში „ფოსტად“ ჩასულმა თანხამ აშშ-ში 1996 წელს შეადგინა 550 მილიარდი დოლარი, ხოლო 1997 წელს — 586,5 მილიარდი. შემოსავალი, რომელსაც ეს თამაში მის ლეგალურ ორგანიზატორებს აძლევს, 1996 წელს 44,4 მილიარდ დოლარს უდრიდა, 1997 წელს კი 47,6 მილიარდი შეადგინა. ყოველი მეათე დოლარი იმ ფულიდან, რასაც ამერიკელები ხარჯავენ, რათა თავისუფალი დრო სიამოვნებით გაატარონ, აზარტულ თამაშებზე მოდის.

### სეპარატისტები პროკურორის წინააღმდეგ

„ლეგა ნორდმა“ (ჩრდილოეთ იტალიის სეპარატისტულმა ლიგამ) ოციათასკაციანი დემონსტრაცია მოუწყო ვერონაში პროკურორ პაპალიას, რომელიც ლიგის ორმოც ლიდერს ბრალად სდებს „ეროვნული სახელმწიფოსთვის საშიშროების შექმნას.“ ეს დანაშაული იტალიაში სიკვდილამდე პატიმრობით ისჯება. სეპარატისტები არც მეტი, არც ნაკლები, ჩრდილოეთ იტალიის ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფას მოითხოვენ.

ორმოცი ლიდერის ხვედრი მოელის სეპარატისტული მოძრაობის მეთაურს უმბერტო ბოსის და სხვა პარლამენტარებსაც, თუ პარლამენტი ხმას მისცემს მათთვის საპარლამენტო შეუვალობის ჩამორთმევას.

დემონსტრაციის დროს ლიგის ლიდერები გმობდნენ პროკურორ პაპალიას, ხოლო „ლუჩეტო“ („პატარა დუჩე“) უმბერტო ბოსი მასას მიჰმართავდა სიტყვებით: ვერავინ გაგვაჩერებს, „ჩრდილოეთის ხალხის“ 40 პროცენტს ცენტრალური ხელისუფლებისგან გამოყოფა უნდა.

### ნავთობის ფასების დაცემა

1997 წლის შუიდან 1998 წლის მარტამდე ნავთობის მსოფლიო ფასები დაეცა დაახლოებით 40%-ით. თუ ერთი წლის წინ ბარელი (138,9 ლიტრი) ღირდა 21 დოლარი, ახლა იგი 12,70 დოლარზე ჩამოვიდა. „ნავთის გამყიდველი ქვეყნების ორგანიზაციის“ (ოპეკ) ქვეყნების წარმომადგენლები 22 მარტს შეიკრიბნენ ელ რიადში და გადაწყვიტეს ამოღების შემცირება ფასების შეჩერების მიზნით.

### ჩინელები მთვარესა და მარსს უმიზნებენ

სინხუას სააგენტოს ცნობით, ჩინეთი ემზადება მთვარესა და მარსზე ექსპედიციების გასაგზავნად. ჩინეთის კოსმოსური ტექნოლოგიის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის იუან-ეი-იუნის სიტყვით, ჩინეთი აქტიური მონაწილე იქნება კოსმოსური კვლევისა XXI საუკუნეში. „მთვარე ადამიანის აქტივობის ცენტრი იქნება და XXI საუკუნეში პრიორიტეტი მიეცემა ღრმა კოსმოსის კვლევას. კვლევის ცენტრში იქნება მარსიც.“

ჩინეთი მცირე ზომის მკვლევარ ხელსაწყოებს გაგზავნის ხოლმე მთვარეზე დაბრუნებისათვის განკუთვნილი თანამგზავრების ტექნოლოგიის ბაზაზე.

ჩინელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ კოსმოსურმა ტექნოლოგიამ მისცა მათ საშუალება ამ ცოტა ხნის წინ ალმოეჩინათ ორი ათასი წლის ქალაქ ნია, რომელიც უდაბნოში იყო ქვიშით დაფარული სინძიანის პროვინციაში.

## რად უწოდებენ საქართველოს ქურდების მხარეს?

ქურდული სამყაროს მიმართ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ყოველთვის გააჩნდა სიმპათიები და დადებითი ემოციები. საქართველოში ასეთმა დამოკიდებულებამ 1991-92 წლების ცნობილი მოვლენების მერე იჩინა თავი. განსაკუთრებით მოზარდ თაობას დასჩემდა რომანტიკული განწყობილება მაფიოზური ორგანიზაციების მიმართ, რომელიც დროდადრო სენტიმენტალობითაც კი ხასიათდებოდა. დღევანდელ მდგომარეობას თუ ერთი წუთით თვალს შევავლებთ, ამგვარ განწყობილებას ნაკლებად შევნიშნავთ, თუმცა ჩვენში ქურდის ფენომენი მაინც, სამწუხაროდ, ალმატებით ხარისხში დგას და ბევრი დღესაც ასეთ სახელს დიდ ღირსებად თვლის.

რა ხდება დღეს ამგვარი მისწრაფებების მქონე ახალი თაობის სამყაროში, რითი ცხოვრობენ, რითი სუნთქავენ ისინი. ამის გასაგებად მივმართეთ არასრულწლოვანთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსს, ბატონ გელა ქავთარაძეს. „ბოლო წლებს თუ ვიქონიებთ მხედველობაში, 1991-92 წლებში საქართველოში იყო დანაშაულის მატების პიკი. შემდგომში, ასე თუ ისე, ოპერატიული ვითარების სტაბილიზაცია მოხდა, მაგრამ 1995 წელს ისევ გართულდა ვითარება, სწორედ ამის გამო სასწრაფოდ შეიქმნა ჩვენი სამმართველო“, — თქვა ბატონმა გელამ.

მოზარდთან ურთიერთობა უფროსი თაობისგან განსაკუთრებულ სიფრთხილესა და სიფაქიზეს მოითხოვს. ეს ყველაზე მეტად სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს უნდა ახასიათებდეთ. ბოლო დროს, სამწუხაროდ, ჯიხურებიდან და კომერციული მაღაზიებიდან გატაცებული წვრილმანი ნივთების გამო მოზარდის მომავალს უდიდესი საფრთხე შეექმნა. თუმცა ბატონმა გელამ კატეგორიულად უარყო, — ასეთი ქურდობისთვის მოზარდი კოლონიაში არ ხვდება, სხვა თუ არაფერი, საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის უამრავი ორგანიზაცია არსებობს და ისინი პირველ რიგში ამას არ დაუშვებენო. „სასამართლო ორგანოები ჩვენგან სრულიად დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი ესა თუ ის ქმედება, ბინასა თუ მაღაზიაში შეღწევა კანონმდებლისათვის დანაშაულია და ამას იგი დამამძიმებელ გარემოებად თვლის. სახელმწიფო ძირითადად სასჯელის გადავადებას ან პირობით მსჯავრს მიმართავს. მაგრამ ასეთი ფაქტები შეიძლება თითებზე ჩამოსათვლელი იყოს, და მერე კოლონიის ადმინისტრაცია პატიების საკითხს აყენებს, — აღნიშნა ბატონმა გელამ. მან ასევე უარყო მოზარდების წამებისა და ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები. — ამის შესახებ დღეს ბევრს წერენ და ლაპარაკობენ, ჩვენს სამმართველოში მსგავსი არაფერი მომხდარა. სხვებზე კი მე პასუხს არ ვაგებო, — თქვა მან.

სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, ბევრ ამაღელვებელ და საგანგებო ფაქტს წავაწყდებით. მიმდინარე წლის განვლილ ოთხ თვეში რეგისტრირებულია 230 დანაშაული. აქედან 5 განზრახ მკვლელობა, 4 მკვლელობის მცდელობა, სამი სხეულის განზრახ დაზიანება, ერთი გაუპატიურება, 19 სახელმწიფო ქონების ქურდობა, 121 პირადი ქონების ქურდობა



და ა. შ. ძირითადად მოზარდების მიერ ჩადენილია ქონებრივი სახის დანაშაულობები, ეს ყოველთვის ასე იყო. ყველაფერი კი, სამწუხაროდ, ქუჩიდან იწყება. იყო წლები, როდესაც ქუჩები და ეზოები ბავშვებს დიდ სიკეთეს და სარგებელს აძლევდნენ. მაგრამ დღეს დასაქმებლობისა და ინტერესის დაკარგვის გამო მოზარდი ქუჩიდან კარგ თვისებებს ველარ ღებულობს. ბავშვების უმრავლესობა მატერიალურად უძლური ოჯახებიდან არიან და მათი ცხოვრების გაუკუღმართების მიზეზები აქედან უნდა ვეძიოთ.

ბევრი თვლის, რომ კოლონიაში მოხვედრილი მოზარდი საზოგადოებას სრულფასოვან მოქალაქედ არ უბრუნდება. მაგრამ ბატონი გელა ამას სხვა თვალით უყურებს. პირველ რიგში კი ამის საფუძვლად არასრულწლოვანთა ზემო ავჭალის კოლონიის კეთილმოწყობილ პირობებს მიიჩნევს. „ორიოდე წლის წინ ამ შენობაში გაჩერება შეუძლებელი იყო. წუთიწუთზე მოსალოდნელი იყო მისი დანგრევა. დღეს კი სხვა სურათია. ჩვენი, ყველას სურვილი, (ზოგიერთი ჩვენ სურვილს რატომღაც ირონიულად უყურებს), რომ არასრულწლოვანმა მარტო სასჯელი კი არ მოიხადოს კოლონიაში, არამედ აქ დაიწყოს, მისი როგორც ადამიანის აღზრდა და გამოსწორება. კოლონია ამ ფუნქციას უნდა ასრულებდეს. მე ყველა ჩემთან მოხვედრილი ბავშვი საკუთარი შვილივით მიყვარს და კოლონიისათვის მეცოდება. მათი ცხოვრების ამგვარ წარმართავში ყველა ჩვენთაგანი უნდა გრძნობდეს დანაშაულს.“

დღეს ჩვენი ქალაქი განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის ე. წ. ქუჩის ბავშვების — მათხოვრებისა და მაწანწალების პრობლემას. მსოფლიოში დღევანდელ პირობებში ასეთი 300 მილიონზე მეტი ბავშვია. ჩვენთან აღრიცხულია 400-ზე მეტი. მათხოვრობა სამართალდარღვევა არ არის და არც დანაშაულია. მაგრამ თუ ეს ბავშვი დღე და ღამე ქუჩაში იქნება, ის უკვე კრიმინოგენური სამყაროს შევსების წყაროა. ადვილი გასაგებია, რომ მათხოვრობას კარგი ცხოვრების გამო არავინ იწყებს. ამისთვის არავინ დაისჯება. მაგრამ მათი არსებობა დიდ უსიამოვნებებს იწვევს. ჩვენთან არის არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელი, სადაც ტარდება ბავშვის ვინაობის დადგენა. ბატონ გელას თქმით, იქ მეტად თბილი და მყუდრო ატმოსფერო სუფევს. ბავშვებზე ზრუნვას არავინ არ აკლებს. მათ ოჯახებს უბრუნებენ. გარკვეულ ნაწილს გზავნიან დახურული ტიპის სასწავლებლებში, სამტრედიის სპეც-სკოლაში, კაჭრეთის სარეაბილიტაციო ცენტრში. ეს ღია ტიპის სასწავლებელია, სადაც სწავლობენ კიდეც და რაიმე სპეციალობასაც ეუფლებიან.

ციხე და კოლონია ნამდვილად ედემის ბაღი რომ არ არის, ამაში ალბათ თქვენც დამეთანხმებით. იქ რაც არ უნდა იდეალური პირობები იყოს, სასიამოვნო განწყობილებას არასოდეს დატოვებს. მაგრამ იმ ცხოვრებასთან უფრო ახლოს გაცნობის მიზნით, ალბათ მოზარდების ამ დროებით იძულებით თავშესაფარს ვესტუმრებით და მათი გულის ხვაშიადს უფრო დაწვრილებით შევიტყობთ. მანამდე კი ერთი წუთით თავი მათი ადგილას წარმოვიდგინოთ, მათ სულში ჩავიხედოთ, ისე რომ გრძნობებს არაფერი დავუშავოთ. იმ სამყაროდან ამ სამყაროში დაბრუნებულს, აქამდე რომ ვერაფრით დავეხმარეთ, ახლა მაინც გავუწოდოთ ხელი. უცხოელი არ შეიძლება საქართველოს აიგივებდეს მაფიასთან და შავ სამყაროსთან. ამას წინათ ქუჩაში ერთ-ერთი გამვლელი დიდი პოეტის ცნობილი ლექსის სტრიქონს სახეშეცვლილად გამუდმებით იმეორებდა და თან რატომღაც მოხეტიალე ბავშვებზე და მაღალჩინოსანთა ადგილსამყოფელზე მიუთითებდა — აი, რად უწოდებენ საქართველოს ქურდების მხარესო... გული მეტკინა...

**მაკა სვიმონიშვილი**

# ნუ დავთრგუნავთ სახელმწიფო ენას!

საქართველო რომ მრავალეროვნული სახელმწიფოა, საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა; ისიც ცნობილია, რომ საქართველო არაერთხელ და ორჯერ გამხდარა ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი კუთვნილების გამო დევნილი, გენოციდს გადარჩენილი უმცირესობის თავშესაფარი; არც ისაა დაფარული, რომ ქართველები ტოლერანტობით გამოირჩევიან, ზოგჯერ დაუდევრობამდე მისული ტოლერანტობით, რასაც ხშირად იყენებდნენ და იყენებენ ამჟამადაც, ისევ ქართველების წინააღმდეგ ეს უმცირესობანი. ისტორიულ წარსულს თავი რომ დავანებოთ, მაგალითად, აფსუების და სამხრეთელი ოსების ხელით მოწყობილი გენოციდი გამოდგება ქართველებისა. ამიტომ აუცილებელია იმ უმნიშვნელოვანესი საკითხის გააზრება და გადაჭრა, რასაც ეროვნული უმცირესობათა უფლება-მოვალეობანი ჰქვია, მისი შეთავსება იმ დემოკრატიულ სისტემასა და საზოგადოებასთან, რის შენებასაც ვაპირებთ ქართველები.




ყველაზე დემოკრატიულად ითვლება ის სახელმწიფო, სადაც ხელისუფლება სამოქალაქო საზოგადოებას ეყრდნობა, მისგანაა ხელდასმული, მისივე სამართავად. რადგან სამოქალაქო საზოგადოებაზე წარმოდგენას საქართველოში ჯერ კიდევ არ მოუკიდებია ფეხი, შევეცდები, რომ მის შესახებ ყველაზე ზოგადი მოსაზრებანი და პრინციპები აქვე გავაცნო საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებსაც (განსაკუთრებულ გულისყურს ვთხოვ გ. ჟორჟოლიანსა და ა. აბაშიძეს, „ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის" პროექტის ავტორებს). აი, ისინი: 1. ეკონომიკური თავისუფლება, საკუთრების ფორმათა მრავალგვარობა, საბაზრო ურთიერთობანი; 2. ადამიანისა და მოქალაქის ბუნებრივი უფლებების აღიარება და დაცვა; 3. ხელისუფლების დემოკრატიული ხასიათი და მისი ლეგიტიმურობა; 4. ყველას თანასწორობა კანონისა და მართლმსაჯულების წინაშე, პიროვნების საიმედო იურიდიული დაცულობა; 5. სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს ხელისუფლების დანაწილებას და ამ ხელისუფლებათა ურთიერთობას ემყარება; 6. პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმი, ლეგალური ოპოზიციის არსებობა; 7. სიტყვისა და პრესის თავისუფლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამოუკიდებლობა; 8. სახელმწიფოს ჩაურევლობა მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში, სახელმწიფოსა და მოქალაქის (პიროვნების) ურთიერთვალდებულება და პასუხისმგებლობა; 9. კლასობრივი ზავი, პარტნიორობა და ეროვნული თანხმობა; 10. ეფექტური სოციალური პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს ცხოვრების ღირსეულ დონეს.

მკითხველს ვთხოვ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მე-8 პუნქტს, სადაც ლაპარაკია სახელმწიფოსა და მოქალაქის (პიროვნების) ურთიერთვალდებულებასა და ურთიერთის მიმართ პასუხისმგებლობაზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში მოქალაქეს, სამოქალაქო საზოგადოების სრულუფლებიან წევრს, ვალდებულებები (მოვალეობები) და პასუხისმგებლობა გააჩნია უფლებებთან ერთად, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ეს კარგად უნდა გაიცნობიეროს ყველამ, საქართველოს ყველა მოქალაქემ, ეროვნულ უმრავლესობას (ისტორიულად მკვიდრ მოსახლეობას) ეკუთვნის ის თუ ეროვნულ უმცირესობას.

რაკი სამოქალაქო საზოგადოებას თვალის ერთი გადავლებით გავეცანით, ისიც უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს მოქალაქეთა გარეშე, მოქალაქე კი წარმოუდგენელია მოქალაქეობის შესახებ კანონის გარეშე. კანონი მოქალაქეობის შესახებ მოითხოვს (ისეთ არაეროვნულ სახელმწიფოშიც კი, როგორიცაა აშშ), რომ მოქალაქემ იცოდეს სახელმწიფო ენა, წარმოდგენა ჰქონდეს ქვეყნის მოწყობასა და მის ისტორიაზე, ემსახუროს მას და დაიცვას ქვეყნის ინტერესები. ესაა ყველაზე მცირე. ჩამონათვალი იმ ვალდებულებებისა, რასაც ითხოვს კანონი მოქალაქეობის შესახებ ყველა ქვეყანაში. ზოგან ეს მოთხოვნები ძალიან მკაცრია, როგორც მოვალეობათა მიხედვით, ასევე მოქალაქედ გახდომის ვადის მიხედვით. სიმკაცრე განისაზღვრება ქვეყნის საჭიროებით, მის წინაშე მდგარი აუცილებლობით. რამდენადაც მახსოვს, მაღალი მომთხოვნელობით გამოირჩევა სკანდინავიის ქვეყნების კანონები მოქალაქეობის შესახებ.

გადავიტანოთ ახლა ეს საერთაშორისო სტანდარტები საქართველოს მოქალაქეებზე. გამოდის, რომ საქართველოს მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა. ეს კი საქართველოში ქართულია. მაშასადამე, იმისაგან დამოუკიდებლად, რა ეროვნებისაა ის, საქართველოს მოქალაქემ ქართული ენა უნდა იცოდეს. ცხადია, გამონაკლისი ვერც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები იქნებიან, თუ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან. დასკვნა: თუ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან, ქართული ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებმაც უნდა იცოდნენ. ეს სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელი მოთხოვნაა, დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ქართველების ტოლერანტობა ამ საკითხში იქ უნდა დამთავრდეს, სადაც საქართველოს ყველა მუდმივად მაცხოვრებელს, ენის ცოდნისაგან დამოუკიდებლად, საქართველოს მოქალაქეობა მიეცა. ისიც აუცილებლად მიმაჩნია, რომ ქართულის არმცოდნე საქართველოს ყველა მოქალაქეს ხელი შევუწყოთ, დავეხმაროთ მის შესწავლაში. სახელმწიფო სამსახურებრივ თანამდებობაზე ქართულის არმცოდნე პირი არ უნდა მუშაობდეს.

როდესაც არაქართველები საქართველოს მოქალაქეებად გამოაცხადეს, ეს ნიშნავს, რომ ისინი ქართველებს გაუთანაბრეს ყველაფერში, ყველა უფლებით: პოლიტიკურით, ეკონომიკურით, სოციალურით, რაც მთავარია, საქართველოს მემკვიდრის უფლებით და ა. შ.; ამასთანავე, ყველა მოვალეობით (რაც, სამწუხაროდ, ეროვნული უმცირესობათა დიდ უმრავლესობას გაცნობიერებული არა აქვს): პოლიტიკურია ის, ეკონომიკური, სოციალური, „მშობლის", თუ არა „გამზრდელის" წინაშე („მეურვის" წინაშე მაინც) მოვალეობით და ა. შ. ამის გაცნობიერება კი აუცილებელია ყველა ქართველისა და არაქართველისათვის. როგორც მოქალაქეები, ისინი ერთნაირი უფლება-მოვალეობების მატარებელნი არიან საქართველოს წინაშე: ერთად უნდა ილვწოდნენ მისი საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური აღმავლობისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სამართლებრივი სახელმწიფოს ასაშენებლად.

შეიძლება ეროვნულ უმცირესობებს გულს აკლდეთ, რომ მათი ენა სახელმწიფო ენა არაა, მაგრამ ისიც არ უნდა დაივიწყონ, მათთვის არავის წაურთმევია იმის უფლება, ეროვნულ უმრავლესობად გადაიქცნენ იმ ქვეყანაში, სადაც მათი ენა სახელმწიფო ენაა, რომ საქართველოს მოქალაქეობა ქართველებს არ დაუძალებიათ, ეს მათი არჩევანის შედეგია. ამასთან, მათ ყველა საშუალება აქვთ საქართველოშივე ილაპარაკონ, ისწავლონ და სპეციალობასაც კი დაეუფლონ მშობლიურ ენაზე, თუ ამას ისურვებენ და მოინდომებენ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამის საწინდარია თუნდაც ის 361 არაქართული სახელმწიფო სკოლა და 190 დამოუკიდებელი სექტორი, სადაც აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ და სხვა ენებზე სწავლობენ ისინი; ამ მონაცემებში არ შედის აფხაზეთისა და ყოფილი „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე განლაგებული არაქართული სკოლები, არ შედის საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების უამრავი არაქართული სექტორი, თუ განყოფილება და ა. შ. საქართველოში არაა აკრძალული ეროვნული უმცირესობათა სათვისტომოებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა, სადაც ისინი საკუთარი ენის სრულყოფასა და დახვეწაში მიიღებენ მონაწილეობას, განავითარებენ მას.

ერთი კია, როცა ოჯახის სრულუფლებიან წევრად გცნობენ, ოჯახის წევრის ყველა უფლებას შენც გიწილადებენ, უთქმელად გეკუთვნის მოვალეობებიც; ნუ ეცდები ამ ოჯახში აყალ-მაყალის შეტანას, მის არევას, მისაკუთრებასა და დასაკუთრებას. ეს მავნეა შენთვისაც და ოჯახისთვისაც; პირველ რიგში, შენ ზარალდები ყველაზე მეტად, როგორც წესი.

ნებისმიერი შეღავათი სხვა ენის სასარგებლოდ ფუნქციას უკარგავს სახელმწიფო ენას, შინაარსს აცლის მის დანიშნულებას. თავისი თავისა და საკუთარი მოქალაქეების პატივმცემელი სახელმწიფო ამაზე არ უნდა წავიდეს, ხელისუფლებას უფლება არა აქვს ამაზე წავიდეს, სახიფათოა მისთვისაც. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა ისეთი დემოკრატიის ეტალონად მიჩნეული, მაგრამ არაეროვნული წარმოშობის სახელმწიფოსათვისაც კი, როგორიცაა აშშ, მაშასადამე, დაუშვებელია დღეისათვის არადემოკრატიული, მაგრამ ეროვნული საქართველოსათვის. სახელმწიფო ენის სტატუსი, ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში საყოველთაოდ მიღებული და მოქალაქეობის კანონში ჩადებული ეს იდეოლოგიური ნორმა, აუცილებლად გასატარებელი ნორმაა ყველა სახელმწიფოსათვის, თუ მას სახელმწიფოდ არსებობა უნდა. ვაი, იმ ხელისუფლებას, ვინც ამ ნორმას დაარღვევს.

დღეს, საქართველოს ამ სახელმწიფოებს შორის გამონაკლისად ყოფნის არც ვითარება აქვს და არც ძალა. ამიტომ, ქართველები ნუ ვიქნებით რომის პაპზე მეტად კათოლიკენი, ნუ დავთრგუნავთ საკუთარ ენასა და ქვეყანას.

**რევაზ სალია**

*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი*

## განცხადება

ამა წლის 12 მაისს, სამშაბათს, 1 საათზე, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართება დისკუსია თემაზე „ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები" (მომხსენებელი პროფ. გურამ ყორანაშვილი). ოპონენტად მოწვეულია აკად. გიორგი მელიქიშვილი.

დასწრება თავისუფალია.

**ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომის ფედერაციის პირველადი ჯგუფი.**

# კრიმინალური ქრონიკა

## მთამსვლელი

11 მაისს, საღამოს 17 საათისათვის, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებნი უჩვეულო სცენის მომსწრენი გახდნენ. რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლის კლდეზე აცოცებული ბავშვი, რომელიც ხერგიანთა შეუპოვრობით მიიწევდა „მწვერვალის" დასაპყრობად, შუა გზაში შეჩერდა და ქვემოთ ჩამოიხედა. ქვემოთ ჩამოხედვა და... შეშინებული უზარმაზარ ლოდს ისეთი ძალით ჩაეჭიდა, რომ სპეციალურად გამოძახებულმა მეხანძრეებმა თოკისა და კიბეების გამოყენებით ძლივს „ააგლიჯეს" კლდის ზედაპირს. ქვემოთ, კინოფილმ „ქვევრის" სცენარით განვითარებული მოვლენები სიხარულის ყიჟინით დამთავრდა, როცა „ჯარისკაცის მამის" პოზაში მიწაზე დაშვებულმა მამაცმა მეხანძრემ ბიჭი უვნებლად გადაარჩინა და სიცილ-სიცილში მკაცრადაც დატუქსა.

## ავარია




10 მაისს, გვიან საღამოს, ალმაშენებლის გამზირზე მოძრავი თეთრი ფერის „ვაზ 2109" მარკის ავტომობილი, რომელმაც დარღვევით ჩაუხვია გვერდით ჩიხში, შეეჯახა მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით გულარხეინად მომავალ 06-ის მარკის ჟიგულს. მძღოლებმა გაკვირვებაც კი ვერ მოასწრეს, ისე უცბად დატრიალდა ტრაგედია. ვეფხვისა და მოყმის მსგავსად ჩახვეული მანქანების მძღოლები, სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებებით, მოათავსეს „მიხაილოვის" საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში.

## არყის მსხვერპლი




10 მაისს, ტოლსტოის ქუჩა №2-ში, ალკოჰოლის არაადამიანური დოზით გათიშული, 48 წლის ილო გოგლაძე, რომელიც იქვე სარდაფში ჩასასვლელი კიბის მოაჯირზე იჯდა, თავს თუ საკუთარ ფიქრებს ველარ მოერია და რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან გადავარდა. გადავარდნა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. გამოძახებულ სასწრაფოს ადგილზე გარდაცვლილი დახვდა. მეზობელთა გადმოცემით, განსვენებული ყოველდღიურად ერთ ლიტრამდე არაყს ისე სვამდა, რომ თვალს არ ახამხამებდა, ამ დღეს კი ალბათ ჩვეულებას უღალატა და შედეგიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

„ფოტო-ნიუს"

# ...დაუნდობლად ღრღნის საქართველოს

თუ დღეს მავანნი არაკეთილმოსურნეობით არიან განწყობილნი საქართველოსადმი, ისინი უდაოდ კმაყოფილნი იქნებიან კიდეც იმით, რომ აქ ჩვენში, პოლიტიკოსები, პარტიები, ხელისუფლების წარმომადგენლები უფრო მეტ დროს ანდომებენ ერთმანეთის ძაგებას, ურთიერთდაპირისპირებას, ვიდრე იფიქრონ, თუ რა გზით შეიძლებოდა ერთ მუშტად შეკვრა და დაძლევა არსებული პრობლემებისა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ პრობლემების გადაუჭრელობა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, დაშლისა და ქართველი ერის გადაშენების საშიშროებას ქმნის.

ნუთუ განვლილ წლებში დაშვებული შეცდომები არ უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ გაკეთდეს გონივრული დასკვნა და გადაიდგას ნაბიჯი წინ — ერთიანობისაკენ, თანადგომისაკენ.

როგორც ჩანს, დიდია ანგარების ძალა, უძლეველია პარტიული ამბიციურობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იქნებოდა ასე ალზევებული ცოდვად აღიარებული მანკიერებანი, რომელიც დაუნდობლად ღრღნის საქართველოს.

არადა...

— ქვეყანა მოიცვა უმწვავესმა დემოგრაფიულმა კრიზისმა, რომელიც ქართველებისათვის არნახული ემიგრაციის ფონზე ფიზიკურ გადაშენებას უქადის ერს (!);

— დავკარგეთ ტერიტორიები და ჩვენი შეცდომების სხვებზე გადაბრალებით სულ უფრო შეუძლებელს ვხდით ამ ძირძველი რეგიონების დაბრუნებას, ქვეყნის გამთლიანებას (!);

— დავანგრიეთ ეკონომიკა, დავიდეთ კაბალური ვალი და თავს ვინუგეშებთ საქართველოს სამიმოსვლო დერეფნად გადაქცევით (?) „აშენებას" მოველით (?). ისე სიტყვამ მოიტანა და უხვად გვქონდა აბრეშუმიც, ყურძენიც, ღვინო, ჩაი, ციტრუსები, თამბაქო და სხვა მრავალი სიკეთე და დღეს სხვების ხელის შემყურენი, გალატაკებულნი და უმწეო დღეში ჩავარდნილნი აღმოვჩნდით. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ქვეყანას და მოსახლეობის უმრავლესობას, თორემ ზოგიერთები ხომ მართლა „გაკეთდნენ"...

— მივილტვით ამერიკული, თუ ევროპული ცხოვრებისაკენ, ვაფეტიშებთ მას და მოგვეძალა უკანონობა, უხამსობა. უცხოეთში „საშოვარზე" გადაცვენილ გოგო-ბიჭებს ვილა მოთვლის...

ზემოთხსენებული პრობლემებიდან თუნდაც ერთ-ერთი საკმარისია იმისათვის, რომ იგი გამხდარიყო განგაშის საფუძველი. ამ პრობლემათა ერთდროული არსებობა კი, თქვენც მოგეხსენებათ, რა განსაცდელს უქადის საქართველოს.

ვიდრე ჯერ კიდევ შეგვწევს უნარი, ერთიანი ძალისხმევით ვეზიაროთ თანადგომის, შემწყნარებლობის სულისკვეთებას, სიმართლისადმი თავდადებას.

ეს გზა გადაარჩენდა საქართველოს, ჩვენს ერს და მოდით, ნუ დავკარგავთ ამ შესაძლებლობას...

**ამირან ცქიტიშვილი**

*საქართველოს სახალხო ერთიანობის ასოციაციის პრეზიდენტი, სტუ-ს დოცენტი*

# საქართველო სამამულო ომში რუსეთის წინააღმდეგ იმყოფებოდა თუ გერმანიის?

კიდევ ერთი 9 მაისი ჩაიწერა ისტორიულ კალენდარში. 53-ე წელიწადია საბჭოთა იდეოლოგიით გონდაბინდული ქართველი ერი რუს ერთან ერთად პომპეზურად ზეიმობს ე. წ. დიდ სამამულო ომში გამარჯვებას.

პროგრესული კაცობრიობა სამართლიანად აღნიშნავს მეორე მსოფლიო ომში გერმანული ფაშიზმის დამარცხებას, რომელსაც, როგორც გერმანიის რაიხკანცელარიის საბუთებიდან ომის დამთავრების შემდგომ გაირკვა, ებრაელი ერის პირწმინდად ამოწყვეტის გარდა, სხვა ერთა დამონება-მოსპობაც ჰქონია მიზნად.

მიმაჩნია, რომ ზოგადად ჩვენც გვმართებს ამ თარიღის აღნიშვნა, რადგან მეორე მსოფლიო ომში გერმანიის წინააღმდეგ ქართველი ხალხიც იყო ჩათრეული და უდიდესი მსხვერპლიც აქვს გაღებული, მაგრამ ვიზეიმოთ, როგორც სამამულო ომში გამარჯვებულებმა, ამის უფლება არ გაგვაჩნია, თუ რატომ, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდგომ გერმანიას ჩამოაჭრეს მისი ისტორიული მიწაწყლის ნაწილი, გადაახდევინეს დიდი კონტრიბუცია და ამავე დროს, აუკრძალეს გარკვეულ რაოდენობაზე მეტი შეიარაღებული ძალების ყოლა. ამასობაში 20-იანი წლებიდან მართლაც გენიოსი დიქტატორის სტალინის ხელმძღვანელობით გაძლიერდა რუსული ბოლშევიკური იმპერია, რომელიც ილწვოდა დანარჩენი მსოფლიოს განითლებისთვის. ცივილიზებული ქვეყნების: ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებმა გადაწყვიტეს გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმი დაეჯახებინათ რუსული ბოლშევიზმისათვის და 1938 წლის ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიას ხელ-ფეხი გაუხსნეს უკეთ შესაიარაღებლად. ეს ნიშნავს იმას, რომ 1938 წლისთვის მსოფლიოს უდიდესი დემოკრატიული ქვეყნის ლიდერებს კაცობრიობის უფრო საშინელ მტრად რუსული ბოლშევიზმი მიაჩნდათ, ვიდრე გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი, მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის ლიდერმა ადოლფ ჰიტლერმა გერმანული სამხედრო მანქანა პოლონეთის, საფრანგეთისა და ინგლისისაკენ მიმართა და ამით მსოფლიოს დაპყრობის მანიაკალური გეგმა გამოამჟღავნა, აღნიშნული ქვეყნები იძულებული გახდნენ უფრო დიდ ბოროტებად გერმანიის ფაშიზმი ეღიარებინათ და მის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციაში საბჭოთა რუსეთის იმპერიაც ჩაერთოთ. მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა ფაშისტური გერმანია გაანადგურეს, ხოლო სტალინმა საბჭოთა ჯარების მიერ ოკუპირებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სოციალიზმის ბანაკს შეუერთა, ყოფილი მოკავშირეები კვლავ მტრებად იქცნენ და ჩერჩილის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოცხადდა ცივი ომი. ამით იმის თქმა მინდა, რომ საბჭოთა კავშირი თავისუფალი, დემოკრატიული სამყაროსათვის კვლავ უპირველეს მტრად იქცა, რომელსაც შემდგომ რეიგანმა ბოროტების იმპერიაც კი უწოდა.



აი, ასეთი ქვეყნის მიერ დაპყრობილ მდგომარეობაში მყოფი ქართველი ხალხი, ზოგი იძულების წესით და ზოგიც საბჭოთა იდეოლოგიის ჩიჩინით მოწამლული, რუს ხალხთან ერთად იბრძოდა გერმანიის წინააღმდეგ. 1921 წელს რუსული ჩექმებით დამოუკიდებლობა გაქელილ ქვეყანას არ შეიძლება ჰქონოდა სამამულო ომი გერმანელ ფაშისტებთან. სამამულო ომი ნიშნავს საკუთარი მამულისათვის, სამშობლოსათვის წარმოებულ ომს, რომელსაც მტერი უშუალოდ მოსდგომია და მის წართმევას ცდილობს. 1941 წელს გერმანია თავს არ დასხმია საქართველოს. უფრო მეტიც, მან 1942 წლამდე კავკასიას ვერ მოაღწია: გერმანია სანამ არ გადაწყვეტდა თავის პრობლემებს მაშინდელი მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებთან, პატარა საქართველოსთან არც გეოგრაფიულად და არც ისტორიულად არაფერი ესაქმებოდა. მაშასადამე, გერმანია-რუსეთის სამკვდრო-სასიცოცხლო ომში 1941 წელს ქართველი ხალხი არ ჩაერეოდა და 600 ათასზე მეტ ქართველ ვაჟკაცს ამ სასაკლაოზე არც გარეკავდა, რომ არ ყოფილიყო საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში. როგორც ცნობილია, 345 ათასი ქართველი დაეცა ამ ომში. პროცენტულად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველომ. დარწმუნებული ვარ, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის მდგომარეობაში მყოფ საქართველოს ხელისუფლებას ექნებოდა იმხელა დიპლომატია, რათა საკუთარი ხალხი ამ სხვათა ომისთვის აერიდებინა და უზომო მსხვერპლისგან გადაერჩინა, როგორც ეს მოახერხა ვთქვათ, თურქეთმა და ირანმა.

რაც შეეხება სამამულო ომს, ამგვარი ომი, სამართლიანობის თვალსაზრისით, საქართველოს რუსეთთან ჰქონდა. 1921 წელს რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს ემიგრაციაში მყოფ ჟორდანიას მთავრობას კაპიტულაციისთვის ხელი არ მოუწერია და განდევნილობაშიც განაგრძობდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას, რაზეც 1924 წლის რუს ოკუპანტთა წინააღმდეგ ორგანიზებული აჯანყებაც მეტყველებს, რომელიც სისხლში იქნა ჩახშობილი. ასე რომ, ისტორიული სამართლიანობის თვალთახედვით 1941-45 წლების საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი ვერ იქნება საქართველოსთვის სამამულო ომი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ომში ქართველობას უდიდესი მსხვერპლი აქვს გაღებული.

ისიც უნდა ითქვას, რომ 1941-45 წლებში ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების ქართველი გენერლის შალვა მაღლაკელიძის მოგონებებს თუ ვერწმუნებით, გერმანიის ჯარების მხარეს იბრძოდა 35 ათასი ქართველი ჯარისკაცი. მათ ჩამოყალიბებული ჰქონიათ ქართული დროშების მატარებელი გიორგი სააკაძის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, მეფე ერეკლე მეორის, შოთა რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის სახელობის ბატალიონები. ამავე დროს იყო ე. წ. „ბერგმანის" დივიზია, რომელშიც მრავალი ქართველი იბრძოდა.

გერმანულ ჯარში მყოფ ქართველ მეომართა დიდ ნაწილს მართლაც პატრიოტული, მამულიშვილური მიზნები ამოძრავებდათ, რაც კარგად მჟღავნდება იმ დროს გამომავალ ქართველ ლეგიონერთა გაზეთ „საქართველოში". ამ გაზეთში თანამშრომლობდნენ ემიგრაციაში მყოფი დიდი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: მიხაკო წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, კალისტრატე სალია, გიორგი ფრონელი (მალალაშვილი) და სხვები. აი რას სწერდნენ ამ გაზეთში: „თვითოეულმა ჩვენთაგანმა გაიგო, რომ დადგა დრო ბოლოს და ბოლოს გადაწყდეს ჩვენი ნაციონალური პრობლემა. მხოლოდ გერმანიისა და მისი მოკავშირეების გამარჯვება, წითლების ბატონობის დამხობა, ახალ ევროპასთან ერთად განახორციელებს ჩვენს ოცნებებს: მივაღწიოთ თავისუფლებას... ან კიდევ: „თვითოეულ ჩვენთაგანს ღრმად უნდა ახსოვდეს, რომ იგი არის არა მარტო ჯარისკაცი, არამედ მომავალი თავისუფალი ქართველი ერის სულიერი აღმზრდელი. ლეგიონერებმა უნდა უთხრან ერს სიმართლე ამ დიად სამართლიან ომზე, რომელსაც გერმანიის მეთაურობით აწარმოებენ ევროპის განათლებული ერები, განახლებულად მოაწყონ ცხოვრება, აღადგინონ სამშობლოს დიდება". და კიდევ: „ჩვენი ნაწილი გარემოცვაში მოექცა. ყველამ ერთხმად დაიფიცა — ცოცხალი არ ჩაბარებოდა ქართველი ხალხის სისხლისმსმელ ბოლშევიკებს". (მასალები ამოკრეფილია ვიქტორ რცხილაძის მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნიდან „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში" — გ. თ.).

სამწუხაროდ, დღევანდელი საქართველო ვერ განთავისუფლებულა საბჭოთა იდეოლოგიის ბანგისაგან და იმ ათი ათასობით ქართველზე, რომლებიც, მართალია გერმანულ ჯარებში იბრძოდა, მაგრამ რწმენით ქართული საქმის სამსახურში იდგა, ხელისუფლება და სამთავრობო ტელევიზია დუმს, მაშინ, როცა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში გერმანულ ჯარებში ნამარი ოფიცრები დიდ პატივში ჰყავთ და მათ უფრო ენდობიან, ვიდრე საბჭოთა ჯარებში ნამსახურებს.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმავე ბალტიისპირეთში გერმანული ფაშიზმი გამართლებულია. უბრალოდ, გერმანული ჯარების მხარეს ბალტიისპირელ პატრიოტთა ბრძოლა აღიქმება საკუთარი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლად იძულებით მოკავშირეებთან ერთად.

ამგვარი დამოკიდებულებაა საჭირო გერმანიის ჯარებში მებრძოლი ქართველი ჯარისკაცების მიმართაც, მითუმეტეს, ფაქტებით მტკიცდება, რომ მათ ამოძრავებდათ პარტიოტული გრძნობები და არა შიში ან ანგარება.

**გია თვალავაძე**

# „მასწავლებლების მოლარეებად გადაქცევა დღევანდელი ხელისუფლების ბრალია"...

ისტორიული განვითარების მანძილზე სხვადასხვაგვარი მაქინაციებითა და ბრძოლის მეთოდებით უმცირესობის მიერ საერთო-სახალხო ქონების ხელში ჩასაგდებად სწრაფვა დღეს ცოტა უფრო ცივილიზებული, განათლებული ხალხის დონეზე ხდება. მსგავსი, თანამედროვე ტერმინით სარეფორმო პროცესი საქართველოში არსებულ ყველა სფეროში, მათ შორის განათლების სისტემაშიც მიმდინარეობს და როგორც ვარაუდობენ, მიმართულია იქითკენ, რომ სასკოლო ქონება კერძო პირების საკუთრება გახდეს.

სახელმწიფოს ოფიციალურად აღიარებული და მიღებული აქვს კანონი საარსებო მინიმუმის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია ყველანაირი საერთაშორისო დეკლარაციებისა და ნორმების მიხედვით. პრაქტიკულად კი საზოგადოების ძირითადი ნაწილი უხელფასოდ და უპენსიოდ ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში სასკოლო, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო ცოდნის მიღება უმრავლესობისათვის მიუწვდომელი გახდება. პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია, ითვალისწინებს რა, მომავალი თაობისა და დღევანდელობაში არსებული პედაგოგიური კადრების შემდგომ ბედს, თავისი სამწლიანი არსებობის მანძილზე აცხადებს, რომ რეფორმა, რომელიც განათლების სისტემაში მიმდინარეობს, ანტიეროვნული, ანტისაზოგადოებრივი და ანტიდემოკრატიულია.

როგორც აღნიშნული ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს წევრები: დალი გილგაშვილი და ნუგზარ მღვდელაძე მიიჩნევენ, რეფორმის ძირითადი ლოზუნგი — „ცუდი მასწავლებელი უნდა წავიდეს სკოლიდან, კარგი-დარჩეს", თითქოს ლოგიკურია, მაგრამ მის განსახორციელებლად, ატესტაციის რეიტინგული მოდელი მოიგონეს; დიდი ნაწილის ბოიკოტის მიუხედავად, ის მაინც შედგა და ტესტირების შექმნილმა „შინაურულმა" გარემომ ახალი პრობლემები შეუქმნა განათლების სამინისტროს ღირსეული კადრების შერჩევის საკითხში. განათლების კანონის შესაბამისად, უნდა მოხდეს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების რეორგანიზაცია ელემენტარულ, ძირითად და ზედა საფეხურების სკოლებად, რაც თავის მხრივ გამოიწვევს სკოლების ლიკვიდაცია-გაუქმებას. აქვე ჩნდება კითხვა: სად უნდა წავიდნენ ის კადრები, რომლებმაც ატესტაცია-ტესტირების შედეგად უმაღლესი კატეგორია დაიმსახურეს?

კონკურსის გამოცხადება ადგილზე, რომელიც არ არის თავისუფალი, მით უფრო, რომ არ არსებობს კონკურსის კრიტერიუმი, პიროვნების პროფესიული უფლებისა და ღირსების შელახვაა. აქედან გამომდინარე, „კარგი მასწავლებლის" მიზიდვის ალბათობა ნაკლებია და ადვილი შესაძლებელია „ცუდი მასწავლებლის" მსგავსად ისიც ქუჩაში აღმოჩნდეს — აღნიშნავს ქ-ნი ლალი გილგაშვილი.

მასწავლებელთა ბედის გამგებელნი კადრების შერჩევას და დანიშვნას განათლების სისტემაში მყოფ ნომენკლატურას აკისრებენ. ერთ შემთხვევაში, პედაგოგიური განათლებისა და საკადრო უზრუნველყოფის სამმართველო ნომენკლატურული კადრის მუშაკად თვლის იმას, ვინც გაითავისა სკოლა, საკანონმდებლო სკოლამდელი აღზრდის, დაწესებულებების ყველა უბანი, თავი გამოიჩინა დავალების შესრულებაში და მეორე შემთხვევაში — სარევიზიო ნომენკლატურულ უბნებს მიაკუთვნებს პედაგოგიური სწავლების კურსდამთავრებულ და დროებით უმუშევარ მასწავლებლებს. ეს ორი რეზერვი მალე ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდება და გაიმარჯვებს ის, „ვინც უკვე გამოიარა ის მცირე აკადემია, რომელიც სპეციალურად ამისთვის არის შექმნილი". ამავე სამმართველოს სინდისზეა 1996 წლის 12 ივლისის №27 ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 30%-იანი შემცირებით განთავისუფლებულ მასწავლებელთა ბედი.

წინ კი, შემცირების ახალი ეტაპია. სკოლის დირექტორებს მიღებული აქვთ განკარგულება, საქმის კურსში ჩააყენონ პედაგოგები, რომლებიც სასწავლო წლის ბოლოს შემცირებულნი აღმოჩნდებიან. ამას ისახავს მიზნად ახლად გამოგონილი რეორგანიზაცია.

პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია მიმართავს ყველას: „კიდევ უფრო დიდი იქნება დამანგრეველი ძალა, თუ არ იქნა წინააღმდეგობა სრულიად საქართველოსი. ჩვენ მოგიწოდებთ, რომ ქვეყნის, მომავალი თაობის ინტერესებიდან გამომდინარე, მივიღოთ გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ მთავრობის წისქვილზე არ დაასხამს წყალს".

**ხათუნა ხატიაშვილი**

# დენის დავითაშვილი: „მოვითხოვ სამართლიანი არჩევნების ჩატარებას“

*პატივცემულო მკითხველო, ჩვენს გაუბედურებულ ყოფაში ცოტა ვინმეს თუ გააკვირვებ იმით, რომ უსამართლობას ღრმად აქვს ფესვები გადგმული. განა კანონი შირმა არ არის, რომელსაც გვერდი უნდა აუარო, თუ გინდა ცხოვრებაში რაიმეს მიაღწიო. თუმცა ჩვენ ისტორიის ჩარხის ბედუკუღმართობამ აგვაცდინა საკაცობრიო ცივილიზაციის მაგისტრალურ ხაზს. მაგრამ თუ მართლაც დემოკრატიის უზენაეს ღირებულებებზე ვლაპარაკობთ, ნაწილობრივ მაინც უნდა შევუწყოთ ხელი კანონების ცხოვრებაში გატარებას, იგი მკვდარ ნორმად არ უნდა ვაქციოთ და შევეცადოთ ჩვენი ყოველი მოქმედება კანონის ფარგლებში ჩაჯდეს, არათუ ხელოვნურად შევეცადოთ ფაქტების დამახინჯებას და უკანონობის დაკანონებას.*

*რედაქციაში სტუმრად გვეწვია ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ბატონი დენის დავითაშვილი, რომელმაც ლაგოდეხის №15 საარჩევნო ოლქში ახლახან დანიშნული საარჩევნო კომისიის დარღვევებთან დაკავშირებით ისურვა ჩვენთან გასაუბრება.*

**— ბატონო დენის, თუ შეიძლება უამბეთ ჩვენს მკითხველს თქვენი რედაქციაში მობრძანების მიზეზის შესახებ?**

— ამა წლის შვიდ ივნისს ლაგოდეხის №15 საარჩევნო ოლქში ჩატარდება გამოკლებული მაჟორიტარი დეპუტატის ნაცვლად ახალი კანდიდატის არჩევნები.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 26 თებერვალს დაამტკიცა „არჩევნების ძირითად ღონისძიებათა გრაფიკი“, რომლის ერთ-ერთი პუნქტის შესაბამისად საოლქო კომისიაში არაუგვიანეს 35 დღისა, უნდა არჩეულიყო 24-ვე საუბნო-საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები და ორ-ორი კომისიის წევრი. საარჩევნო კომისიის დანარჩენ წევრებს კანონის თანახმად ნიშნავს უშუალოდ საპარლამენტო პარტიები. მე კი, სწორედ საოლქო კომისიის მიერ პირველი და სამი მაისის სხდომაზე მომხდარი დარღვევების გამო მსურს ვისაუბრო. აღნიშნული დარღვევები საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ რომ კომისიის წევრების არჩევა მოხდა კანონის დარღვევით. გამომდინარე აქედან აუცილებლად მივიჩნიე დარღვევით ჩატარებული არჩევნების ბათილად ჩათვლა და საუბნო კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების ხელახლა დანიშვნა.

**— კონკრეტულად რა დარღვევები იქნა დაფიქსირებული და არის თუ არა ამის თაობაზე ინფორმირებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია?**

— რასაკვირველია, პირველ რიგში მე მინდა მოგახსენოთ, რომ როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრმა ოფიციალური განცხადებით ოთხ მაისსვე მივმართე ხელმძღვანელობას, სადაც ზედმიწევნით დავაფიქსირე აღმოჩენილი დარღვევები, მოვითხოვე საკითხის შემსწავლელი კომისიის შექმნა და ხსენებული საკითხის შესწავლა, აგრეთვე მოწვეული ყოფილიყო ც.ს.კ.-ს რიგგარეშე სხდომა, სადაც განხილულ იქნებოდა საარჩევნო ოლქში აღმოჩენილი დარღვევები. გატარებული იქნებოდა ადმინისტრაციული ზომები საოლქო-საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელების მიმართ. ამავე განცხადებით ვითხოვდი კომისიის მუშაობაში მეც მიმეღო მონაწილეობა. ჩემი მოთხოვნა იგნორირებულ იქნა.

უპირველესად მინდა მოგახსენოთ, რომ თითოეულ საუბნო კომისიაში თავმჯდომარედ და წევრებად დასახელებულ იყვნენ 8-დან 13-მდე წევრობის კანდიდატი. კომისიამ კენჭი უყარა თავმჯდომარის პოსტზე თითო კანდიდატს, ყველა დანარჩენი კანდიდატის უფლებები შელახული იქნა. გამომდინარე იქიდან, რომ მათ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიაღებინეს, დაარღვიეს კონსტიტუციით აღიარებული უფლებები. გარდა ამისა, იგნორირებულ იქნა იმ საინიციატივო ჯგუფის წევრთა კანონიერი უფლებები, რომლითაც მათ აქვთ უფლება მათ მიერ წარმოდგენილმა კანდიდატებმა მონაწილეობა მიიღონ კომისიის წევრების არჩევნებში.

საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ჭაბაშვილმა და კომისიის სხვა წევრებმა სასტიკად დაარღვიეს კანონის მოთხოვნები. არ ჩაატარეს არჩევნები დადგენილი პროცედურის შესაბამისად და ფაქტიურად კენჭი უყარეს აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის სასურველ პირებს. საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმიდან ნათლად ჩანს ეს დარღვევები და ყველაზე პარადოქსული ის გახლავთ, რომ №6 მინი-გორის საარჩევნო უბანში კენჭი უყარეს ერთ პიროვნებას, დანიშვნით კი მეორე დანიშნეს. აქვე მინდა მოვიყვანო სხდომის ოქმიდან ამონაწერი: „ე. ჭაბაშვილმა თავმჯდომარედ დაასახელა კიკილაშვილი, ო. გაგნიძემ დაასახელა ციცვიძე ანა. კიკილაშვილი ვლადიმერი: თანახმაა — 8, წინააღმდეგია — 4, თავი შეიკავა — 2. თავმჯდომარედ არჩეულია ციცვიძე“, აქედან თვალნათლივ ჩანს, რომ ციცვიძისათვის კენჭი საერთოდ არ უყრიათ. გარდა ამისა, საოლქო საარჩევნო კომისიას დარღვევით დაუშვა ოთხი წევრის მონაწილეობა. რადგან მათი დანიშვნა მოხდა კანონის დარღვევით. ოფიციალურ წერილებში, რომელიც წარმოადგინა დამნიშვნელმა პარტიებმა, არ იყო აღნიშნული მათი აუცილებელი მონაცემები. აქედან გამომდინარე საოლქო კომისიის თავმჯდომარეს უფლება არ ჰქონდა სხდომაში მონაწილეობის მისაღებად დაეშვა ეს წევრები. „საქართველოს კანონის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ოცდამერვე მუხლის მერვე მუხლის საფუძველზე „კომისიის შემადგენლობაში შემავალ წევრის განვევის უფლება აქვს მას, ვინც დანიშნა იგი კომისიაში.“ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლაგოდეხის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 3 მაისს მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

**— ჰქონდა თუ არა ადგილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან რაიმე რეაგირებას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით?**

— ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჩემი განცხადების საფუძველზე შექმნა საქმის შემსწავლელი ჯგუფი, სამწუხაროდ, ჩემი მონაწილეობის გარეშე და რვა მაისს კომისიის წევრები მივლინებულ იქნენ ლაგოდეხის საოლქო კომისიაში, კომისიამ იმუშავა სულ 5 საათი და დაბრუნდა უკან. 11 მაისს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის თათბირს მოახსენა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება. მინდა ვთქვა, რომ ჩემს მიერ ც. ს. კ.-ში შეტანილ არცერთ განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია. არ მიმიღია არცერთი წერილობითი პასუხი. აღნიშნული საკითხის შემსწავლელ კომისიას არ წარმოუდგენია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობისათვის შემოწმების წერილობითი დასკვნა. მათ მიერ განცხადების გაკეთებისთანავე მე თავმჯდომარეს ვუთხარი, რომ კომისიის წევრებს უნდობლობას ვუცხადებ. რადგან არსებული ოფიციალური დოკუმენტები და ადგილობრივი საოლქო კომისიის მიერ შედგენილი ოქმები საპირისპირო გარემოებებზე მეტყველებდა. კიდევ ერთხელ ვთხოვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნოს კომისიის რიგგარეშე სხდომა. სადაც განიხილება ლაგოდეხის №15 საარჩევნო ოლქში აღმოჩენილი დარღვევები და მიიღება გადაწყვეტილება საუბნო კომისიების ხელმძღვანელების არჩევის შესახებ.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, ლაგოდეხში მომხდარი დარღვევები მეტყველებენ იმაზე, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ შესწევს უნარი შეარჩიოს და დანიშნოს საოლქო და საარჩევნო კომისიებში პირები, რომლებსაც გააჩნიათ გამოცდილება და აქვთ საკმარისი ცოდნა თავი გაართვან ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს.

საინტერესოა, თუ ერთ ოლქში ვერ ჩაგვიტარებია ნორმალური არჩევნები, როგორ გავართმევთ თავს მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს?!

**კობა კაპანაძე**

# „ბოსნიის ვარიანტი“ საქართველოს კვლავ აქტუალური თემაა

ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გამართულ სოცინტერნის



ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც ორი დღის წინ დასრულდა, საქართველო დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა. აღნიშნული სხდომიდან გუშინ დაბრუნებულმა, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერმა, გიორგი ბარამიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე იმ საკითხებზე ისაუბრა, რომელიც სოცინტერნის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის კომიტეტის სხდომაზე განიხილებოდა.

ბარამიძის განცხადებით, მიმდინარე სხდომა ბოსნია-ჰერცოგოვინაში არსებულ სიტუაციას, სეპარატიზმის პრობლემატიკას და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს დაეთმო.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სოცინტერნის პოზიცია. მით უფრო, რომ კომიტეტის სხდომაზე კიდევ ერთხელ გაკეთდა ინფორმაცია საქართველოში არსებული მდგომარეობის თაობაზე, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე და ეს პრობლემატიკა სხდომის დეკლარაციაშიც აისახა. ბარამიძის თქმით, საქართველოსთვის საყურადღებო იყო ის ფაქტი, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინას ტერიტორიაზე პოლიციური ფუნქციებით მყოფი ნატოსა და ეუთოს წარმომადგენლების კონტროლი პოსტკონფლიქტურ ტერიტორიაზე საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს და ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციებს, როგორებიცაა ნატო, გაერო და ეუთო საქართველოსთვის საინტერესო ე.წ. „ბოსნიური მოდელის“ საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ და მათი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში ჩართვა რეალურ შანსს იძლევა განხორციელდეს ბოსნიური მოდელის VII თავი - ძალის გამოყენებით მშვიდობის დამყარების თაობაზე, რომელიც მისაღებია საქართველოსთვის.

გიორგი ბარამიძის განცხადებით, 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ გაკეთებული ინფორმაციის შემდეგ, აღნიშნული სხდომის დეკლარაციაში ეს ფაქტი სპეციალური პუნქტით შევიდა, ტერორიზმთან ბრძოლასთან მიმართებაში.

### ჭკუასელი არ ფიქრობს, თუ რას გადაჰყვება



ბოლო დროს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ თუ ფინანსთა მინისტრი, მიხეილ ჭკუასელი პენსიებისა და ხელფასების დავალიანებასთან დაკავშირებულ კრიზისს გადაურჩება, ის ან საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებებსა და დამატებებს, ან 1998 წლის ბიუჯეტის შეუსრულებლობას გადაყვება.

„მე ნამდვილად არ ვფიქრობ, როდის რას გადავყვები. ვზივარ ჩემს ადგილას და ვმუშაობ. არც იმის პრობლემა არის, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ძალიან ძნელია სადმე წასვლა“ — განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას მიხეილ ჭკუასელმა. რაც შეეხება 1998 წლის ბიუჯეტს, ჭკუასელის თქმით, პირველი კვარტლისა და 4 თვის მონაცემები იმის რწმენას იძლევა, რომ 1998 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები, როგორც ნაერთი, ისე სახელმწიფო და ცენტრალური ბიუჯეტის, შესრულებული იქნება.

# ფრაქცია „სახალხო“ საარჩევნო ქარიშხლების წინ...



ფრაქცია „სახალხოს“ სხდომა ტრადიციულად პარლამენტის შენობის მეოთხე სართულზე პირველი რესპუბლიკის დარბაზში ტარდება ხოლმე, მაგრამ დღეს უვანიას მითითებით, ფრაქციის წევრობა ჟურნალისტებთან ერთად „ბუნკერში“ აღმოჩნდა. ეტყობა, ბ-ნ ზურაბს ბელგიიდან ჩამოსული „ინტერნაციონალელი“ სტუმრის გვერდით მდგარს, ზედა სართულების კორიდორებში მამუკა გიორგაძის პერსონის დანახვისა შერცხვებოდა. დრონი მეფობენ, არა მეფენიო, უთქვამთ... მამუკა გიორგაძე რის გიორგაძე იქნებოდა, თუ თავის სიტყვას ტრიბუნის სიმაღლის მიუხედავად, ერთნაირი პათოსით არ წარმოთქვამს.

სახალხოელთა აღშფოთების მიზეზი, სხვა მრავალთა მსგავსად, ლაგოდეხის საარჩევნო პროცესია. საქვეყნოდ ცნობილია, რომ აქ ბრძოლა მიმდინარეობს არა მხოლოდ სადეპუტატო მანდატზე, არამედ იმათზე, თუ რომელი ძალა მოახერხებს საშუალედო არჩევნებში გამარჯვების მოპოვებას. შედეგი ბევრ მითქმა-მოთქმას ახდის ფარდას და ნათლად გამოაჩენს, ერთი მხრივ, როგორ აპირებს ხელისუფლება არჩევნების ჩატარებას, მეორე მხრივ, გაირკვევა, ვინ ვის ეხმარება და რომელი პოლიტიკური ძალები ემზადებიან ერთმანეთის გვერდით დასაჯდომად.

მამუკა გიორგაძეს ცოტა არ იყოს, პესიმისტური ღრუბელი აწევს, რადგან მომავალ სასესიო კვირაში დაგეგმილია საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანა, რაც თავად მეტყველებს იმაზე, რომ 140 პუნქტის მოქმედების შედეგი საუკეთესო შემთხვევაში ფარატინა ქაღალდია. ამასთან, მმართველი პარტიის მხრიდან წინასაარჩევნო კამპანიას თან ახლავს ისეთი კურიოზული მოვლენები, რომ გიორგაძეს ვერც კი წარმოუდგენია, მსგავსი რამ რანაირად შეიძლება მოეწყოს ადამიანის ტვინში. ჩატარდა ერთ-ერთი უბნის თავმჯდომარის კანდიდატის არჩევაზე კენჭისყრა, მან ქვორუმით მიიღო რვა ხმა, წინააღმდეგი აღმოჩნდა ოთხი, თავი შეიკავა ორმა; ოქმში გააფორმეს, რომ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სულ სხვა ადამიანი, რომელსაც კენჭი არ უყრია.

სახალხოელთა შემადგენლობას სიმტკიცის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ ძნელი სათქმელია, საარჩევნო ქარიშხალი ვისთან ერთად გადაარჩენს მათ.

**ხატია ჩხუბიანიძე**

# ისრაელს ვერავინ ვერაფერს უბრძანებს... საქართველოს?

როგორც ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, ისრაელს ვერავინ ვერაფერს უბრძანებს და ყველა პრობლემას ისე გადაწყვეტს, როგორც ეს ისრაელის ინტერესებში შედის. რაც შეეხება მეგობრებს (მხედველობაში იყო ამერიკის შეერთებული შტატები), მათ შორისაც შეიძლება იყოს უთანხმოება და ეს ტრაგედია არ არისო.

როდის იმსჯელებს ანალოგიურად საქართველოს უმაღლესი ხელისუფლება, ეს ჯერჯერობით უცნობია, თუმცა სანამ ის რუსეთისადმი მარიონეტული დამოკიდებულებისაგან არ განთავისუფლდება, მანამდე არც მას ეშველება და არც მის მიერ მართულ ქვეყანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას არ მოესწრება ცოცხალი კაცი!

## ანუ უვიცობისა და მლიქვნელობის ზეიმი

„სკკპ და საქართველოს კპ ყრილობის დოკუმენტებში, მთავრობის დადგენილებებში, განსაზღვრული იყო..."; სკკპ 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებაში..."; „საქართველოს კპ ცკ 1980 წლის 30 სექტემბრისა და 18 დეკემბრის დადგენილების..."; „საქართველოს კომპარტიის ცკ 1974 წლის 11 ივნისის დადგენილებაში..."; „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში..."; „საქართველოს კპ ცკ XVII პლენუმზე..."; „საქართველოს კპ ცკ ბიუროს 1975 წლის 19 აგვისტოს სხდომის..."; „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში... ხაზი გაესვა..."



მკითხველი ალბათ, ფიქრობს, რომ ძველი პარტისტორია მიდევს წინ და იქედან ვიწერ ამ ფრაზებს. არც გაემტყუნება – აბა სხვას რას იფიქრებს ამდენი „კპ ცკ"-ის წამკითხველი! ამიტომ ახლავე ვიტყვი: არა, ბატონო მკითხველო, ეს ფრაზები ამოვიწერე ახლახან (1997წელს) გამოცემული ბროშურიდან, რომლის ავტორია ვინმე ელისო ქიტიაშვილი. ბროშურის სახელწოდება, არ გაგიკვირდეთ, და ასეთია: „ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საქართველოში 1970-1985 წლებში".

ხომ გენიშნათ „ნეგატიური მოვლენები", „1970-1985 წლები"? არა, „ნეგატიური მოვლენები" 1970 წლამდეც არსებობდა და 1985 წლის შემდეგაც არ გამქრალა, მაგრამ საქართველოში ვილა იბრძოლებდა მათ წინააღმდეგ – 1985 წელს ედუარდ შევარდნაძე იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა, მოსკოვში გადაიყვანეს და საქართველო „უპატრონოდ" დარჩა.

მერე, რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის: გორბაჩოვისა და შევარდნაძის „პერესტროიკა" ჩაფლავდა, კომუნისტებს თავზე დაემხოთ „ერთიანი და მძლავრი" სსრკ, იმძლავრა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რასაც მოჰყვა 1990 წლის 28 ოქტომბერი, 1991 წლის 31 მარტი, 9 აპრილი, 26 მაისი. გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და დაიწყო ქვეყნის განთავისუფლების დიადი ხანა.

მაგრამ იმპერია არ შეურიგდა მარცხს, იარაღით დაამხო ეროვნული ხელისუფლება და რუსეთში უფუნქციოდ დარჩენილი ე. შევარდნაძე კვლავ გამოგზავნა საქართველოს ხელმძღვანელად. ისევ ძირმომპალ იმპერიაში (ახლა სნგ რომ ჰქვია) ამოვყავით თავი. გვიტევს იმპერია, საქართველოს ნაწილი წაგვართვა, ნაწილის წართმევით გვემუქრება, დარჩენილ ნაწილს ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობს. რა დღეშია ქვეყანა და ხალხი, ცნობილია.

და აი, ე. ქიტიაშვილი გვახსენებს 1970-1985 წლებს, როცა თურმე, „ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ" იბრძოდნენ საქართველოში, ამის მეთაური ე. შევარდნაძე იყო და ახლაც მისი იმედი გვაქვსო. სხვა მიზანი ამ ბროშურის გამოცემას არა აქვს.

მაგრამ რა იყო ეს „ნეგატიური მოვლენების" წინააღმდეგ ბრძოლა? ეს იყო საქმის მკეთებელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა (ლაზიშვილები), ეს იყო ბრძოლა იმ გლეხის წინააღმდეგ, რომელმაც ჭაჭა არ გადაყარა და არაყი გამოხადა, ეს იყო ბრძოლა იმ ხელვაჩაურელი ქალის წინააღმდეგ, რომელმაც თავის ეზოში მანდარინი დაკრიფა და ბათუმის ბაზარში ყიდდა (გაზეთში ეწერა სპეკულანტობდაო), ეს იყო ბრძოლა ნაზი შამანაურის წინააღმდეგ, რომელიც აკრიტიკებდა სწორედ „ნეგატიურ მოვლენებს", ამის გამო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოკლეს და მისი მკვლელობის მონაწილედ აქციეს დიდი სწავლული ავლიპი ზურაბაშვილი...

მართალია, ე. ქიტიაშვილი სპეკულანტს ხანდახან (მხოლოდ ხანდახან) ბრჭყალებში სვამს, ხანდახან იმასაც წამოიკნავლებს, კპ ცკ-ის დადგენილებები „მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდაო", მაგრამ ვის ატყუებს ამით? მისი ნაწერის სათაური და პათოსი ხომ ის არის, საქართველოში 1970-1985 წლებში (მაინცდამაინც ამ წლებში) ნეგატიურ მოვლენებს ებრძოდნენ და ხომ იცით, ეს ვისი დამსახურებააო?! ამისთვისაა დაწერილი მისი ბროშურა.

მაგრამ, როგორაა დაწერილი (და გამოცემული)? საშინლად, უწიგნურად! მარტო ის რად ღირს, რომ ე. ქიტიაშვილი წერს: „დიდი მეცნიერის, გ. ზაქარიაძის აზრით..." (თურმე ამ ზაქარიაძეს დაუწერია „სკკ პარტიის XXVI ყრილობა სოციალისტური ცხოვრების წესის შესახებ"), „დიდი მეცნიერი ტ. ლაბარტყავა", „დიდი მეცნიერი ა. აბესაძე", „დიდი მეცნიერი შ. ფაფიაშვილი", „დიდი მეცნიერი ივ. სურგულაძე", „დიდი მეცნიერი რ. ბალანჩივაძე", „დიდი მეცნიერი გ. ჯანგველაძე", მაგრამ „მეცნიერი ო. გაბიძაშვილი", „მკვლევარი გ. მეფისაშვილი", „მეცნიერი ო. ნიორაძე"...

„ამ ნაკლოვანებათა დაძლევა შეიძლება, როგორც მისი ჩრდილოვანი მხარეების კრიტიკით, ისე მის სრულყოფაში აქტიური მონაწილეობით" (მე-9 გვ). რას ნიშნავს „ნაკლოვანებათა ჩრდილოვანი მხარეების კრიტიკა"? ანდა, რატომ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ნაკლოვანებათა სრულყოფაში?!

როგორ მოხდა, რომ ასეთი აბდაუბდა ნაწერი სამი პროფესორის ლოცვა-კურთხევით გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ? თურმე, რას არ მოესწრება ცოცხალი კაცი!

ვახტანგ პაიკიძე

### სახელმწიფო უნდა გახდეს კომერსანტი

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის ინფორმაციით, თურქმენეთმა საქართველოს 1 მლნ ტონა მაზუთის გატანა შესთავაზა ჩვენი ტერიტორიის გავლით. ასევე უზბეკეთს სურს დიდი ოდენობით ცემენტის გატანა და სხვა საქონლის შემოტანა. საქართველოს მარშუტის არჩევით ფაქტიურად შემოსავლები რუსეთის ბიუჯეტს აკლდება. აქედან გამომდინარე, რუსეთი შეეცდება მათ დაბრუნებას.

ლეკიშვილის აზრით, მიმდინარეობს ტაქტიკური ომი. ამიტომ საქართველოს მთავრობა ისეთი უფლებამოსილებით უნდა იყოს აღჭურვილი, რომ დაუბრკოლებლივ შეძლოს სატარიფო პოლიტიკის წარმართვა. „სახელმწიფო უნდა გახდეს კომერსანტი. მთავრობა არ უნდა იყოს კონსერვატორი, ის უნდა მისდევდეს ცხოვრების რიტმს. იმიტომ, რომ მიმდინარეობს კონკურენცია ქვეყნებს შორის" - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი.

## ახალი ამბები

### გათანაბრებულთა რაოდენობა უცებ გაიზარდა

როგორც პარლამენტის ვეტერანთა საქმეების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, გივი ჭიქაბერიძემ გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, 1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებს მოემატათ პენსიები, ომის ინვალიდებს 45 ლარამდე, ომის მონაწილეებს 40 ლარამდე და მათთან გათანაბრებულ პირებს 35 ლარამდე.

დღეისათვის ამ კატეგორიათაგან გარკვეული პრობლემებია წარმოშობილი გათანაბრებულ პირთა პენსიებთან დაკავშირებით: 1998 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული იყო 9 ათასი გათანაბრებული პირი, მაგრამ დღეისათვის მათი რიცხვი 25 ათასამდე გაიზარდა. საერთო ჯამში ომის ვეტერანთა, ინვალიდთა და გათანაბრებულ პირთა რაოდენობა 60 ათასი კაცი აღმოჩნდა, რაც დაახლოებით 11 მლნ ლარის ასიგნებას მოითხოვს.

დღეისათვის, ჭიქაბერიძის განცხადებით, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი, ვეტერანთა დეპარტამენტი, ფინანსთა სამინისტრო და სოციალური დაცვისა და დასაქმების სამინისტროები მუშაობენ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. უახლოეს დღეებში ამ საკითხს პარლამენტი განიხილავს, რომელსაც ასეთი პოზიცია აქვს: 1998 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ გათანაბრებულ პირებს მიეცეთ 35 ლარის ოდენობით პენსია, ხოლო დანარჩენებისთვის ჩატარდეს ხელმეორე რეგისტრაცია, რათა მათთვის გასაცემი თანხა აისახოს 1999 წლის ბიუჯეტში, რადგან ამ პერიოდში საჭირო თანხების გამოყოფის საშუალება რეალურად არ არის.

რაც შეეხება 1998 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ ომის ვეტერანებს, ინვალიდებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს, ჭიქაბერიძის თქმით, მათ უპრობლემოდ ეძლევად პენსიები. აპრილის თვის პენსიებიც გაცემული აქვთ და ამჟამად მაისის პენსიები ურიგდებათ.

### „სოცინტერნის" წევრი ბევრი პარტია თავის ქვეყანაში მმართველი ძალაა

„სოცინტერნის" გენერალური მდივნის, ლუის აიალას განცხადებით, ევროპის 15 სახელმწიფოში „სოცინტერნის" წევრი ორგანიზაციები მმართველ პარტიებს წარმოადგენენ, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი. მსოფლიოში კი 60-მდე მმართველი პარტია „სოცინტერნის" წევრია.

„სოცინტერნის" განსაკუთრებით გავლენიან პარტიებს წარმოადგენენ: გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, სკანდინავიის ქვეყნებიდან - შვედეთის სოციალისტური პარტია, ესპანეთის სოციალისტები, დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტები, ისრაელის შრომის პარტია, აშშ-ის დემოკრატიული პარტია, დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და იტალიის სოციალისტური პარტია.

# ღია წერილი ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს!

## ხმა ხალხიდან

ბატონო პრეზიდენტო! ბოლო წლებში გახშირდა ეს ღია წერილები თქვენის მისამართით, რომლის ძირითადი უმრავლესობა გაჭირვების, ჩივილის მაუწყებლები არიან, თუმცა რაიმე რეალური შედეგი საერთო მდგომარეობას მაინც არ მოჰყოლია.

მეც კარგა ხანია ვაპირებდი ჩვენს საერთო გასაჭირზე დაწერას, თუმცა წინასწარ ვიცი, მაინც არაფერი გამოვა.

დავიღალე, ბატონო ედუარდ, ამდენი ვალებით, ამდენი უსაქმურობით, გაჭირვებით, ჩემი ნათესავების, ახლობელ-მეგობრების, ჩემი ერის გაღატაკებით. მძიმე შრომით თითოოროლა თეთრს თუ ვშოულობ და მაინც ვერ ვაკმაყოფილებ ოჯახის მინიმალურ, ელემენტარულ მოთხოვნილებებს. ბოლოს და ბოლოს რა ხდება საქართველოში? როდემდე იქნება ეს საყოველთაო, სახალხო გაჭირვება? საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს ყველაფერ ამას. ექვსი წელი გავიდა, რაც თქვენ ბედნიერებას და აყვავებას შეგვპირდით. არადა, სულ უკან-უკან მივდივართ.

დავიღალე ამდენი უმუშევრების, უსაქმურების, ამდენი გალოთებული, გაბოროტებული და დაბოღმილი ადამიანების ცქერით. არადა, ამ დაქცეულ სახელმწიფოში გასაკეთებელი საქმე თუ სამუშაო აურაცხელია, ამოდენა ხალხის დასაქმებაზე კი არავინ ფიქრობს. ბევრი მთავრობის წარმომადგენელი და ჩინოსანი საპირისპიროს აცხადებს – ყველაფერი კარგად მიდისო, ქვეყანა ნელ-ნელა კრიზისიდან გამოდის, მდგომარეობა სტაბილური ხდებაო. თქვენთვის არის, ბატონებო, ყველაფერი კარგად, თქვენთვის! თავად არა გიჭირთ რა, არც სამსახურით და მანქანით არც ფინანსურად და მატერიალურად, ათასგვარი შეღავათებით და პრივილეგიებით უზრუნველყოფილთა და გამაძღართათვის ადვილია მშიერი, გაწამებული ხალხის დამოძღვრა და მოთმინებისკენ, გამძლეობისკენ მოწოდება, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით საუბარი ეროვნულ გრძნობებზე, ღირსებებზე, პატრიოტობასა და კიდევ ათას რამეზე.მაპატიეთ ბატონო პრეზიდენტო, მაპატიეთ (თუმცა, საბოდიშო არაფერი მაქვს), როგორც უბრალო, რიგითი მოქალაქე, ვალდებული ვარ დავინტერესდე ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის მდგომარეობით და ამიტომ გეკითხებით: ხომ თბილად და ტკბილად გაატარეთ წლევანდელი ზამთარი ნორმალურ და ადამიანურ პირობებში, რომ არაფერი ვთქვათ, ფუფუნებით გატარებულ დროზე? ალბათ, ძალიან გადაღლილი ხართ საქვეყნო საქმეებზე ზრუნვით და ფიქრით. დღე და ღამე სულ იმის დარდში ხართ, უბრალო ხალხს როგორ ვუშველოთო და ძალიან დაქანცული სახე გაქვთ ტელევიზიით გამოსვლისას. არადა, თქვენს წინაშე ხომ ახალი საზრუნავი ისახება. აგერ ზაფხული მოდის და საფიქრებელია, რომელ აგარაკზე, თუ სამთავრობო სანატორიუმებში დაასვენოთ თქვენი ოჯახის წევრები და თავადაც აღიდგინოთ მთელი წლის განმავლობაში „დაკარგული ძალები".

ხალხის ცხოვრებიდან საერთოდ არაფერი გაინტერესებთ. მთელი ზამთარი ზურგით ვეზიდებოდით შეშას ტყიდან. ჩვენი ქალაქები დიდ სოფლებს დაემსგავსა. რა ვქნათ, თქვენსავით „ტურბოების" საშუალება არ გვქონდა.

ვფიქრობ, რომ სამწუხაროდ, ეროვნული მთავრობა საქართველოს არ ჰყავს. თქვენ მხოლოდ ქართული გვარ-სახელების მქონე, ქართულად მოლაპარაკე ადამიანები ხართ და მეტი არაფერი. მთავარია, ქართველი გულით იყო და ქართული სულისკვეთება გქონდეს, ქართული აზროვნება და რაც მთავარია, საქმით ამტკიცებდე იმას, რასაც სიტყვებით ლამაზად შეჰპირდებით ხალხს. არსებობს ბრწყინვალე გამოთქმა, „საქმემან ჩვენმან წარმოგვაჩინოს". რომელმა საქმეებმა უნდა წარმოგვაჩინონ სასიკეთოდ, ბ-ნო პრეზიდენტო და ბ-ნო ხელისუფლების წარმომადგენლებო, ეკონომიკის სფერო გინდათ, თუ სოციალური და პოლიტიკური, ყველაფერი გაჩანაგებულია. ერთი სფერო ან დარგი მაინც თუ არის აწყობილი, სადაც პატიოსნება, ზნეობა და რაც მთავარია, ქართული სული იტრიალებდეს?

დავიღალე, ბ-ნო ედუარდ, ამდენი ტყუილებითა და მაფიოზების ცქერით, ბიუროკრატებით თუ მლიქვნელებით. ამდენი პრობლემებით, ნერვიულობით, დაბოღმილი გულით. გამოიფიტა სხეული და ამიტომაც ჩემთვის სულერთია თქვენ რა მოგივათ. საერთოდ, სულ აღარ მაინტერესებს, ამ ტერაქტებს თქვენ მოაწყობთ, თუ მოწინააღმდეგენი მოგიწყობენ. არც ის მაინტერესებს, ვინ რას ამბობს თქვენზე, ვინ რას ხლართავს, პოლიტიკურ ინტრიგებს, თუ სამთავრობო ჭორებს. არეულია ერთმანეთში ტყუილ-მართალი. პრესის მეშვეობით ბევრს გლანძღავენ, გაკრიტიკებენ, მაგრამ ჩვენი საშველი მაინც არ ჩანს. ძაღლი ჰყეფს და თქვენი ქარავანი მიდის, თქვენს საქმეს მაინც აკეთებთ.

თქვენი ჩამოსვლის დღიდან მხოლოდ უბედურება და ნგრევაა საქართველოში. სამეგრელოში აურაცხელი ხალხის ფიზიკურად განადგურება და გაუბედურება. შემდეგ აფხაზეთის ომი, რომელიც ჩვენ ხალხს ძალიან ძვირად დაუჯდა. ვის სჭირდებოდა ეს ომი? ნუთუ შემდგომში არძინბასთან დიპლომატიური გზები რომ გამოგეძებნათ და თბილისში მოგეწვიათ, ამისათვის ათეულ ათასობით ქართველი უნდა დახოცილიყო? ნუთუ წინასწარ არ იცოდით, რომ იქ რუსებთან მოგვიწევდა ომი და არა აფხაზებთან? და საერთოდ, ალბათ რამდენიმე დღე და ტომები დაგვჭირდება ალბათ, რომ ჩამოვთვალოთ ყველა ის უბედურება, რაც ამ 6 წლის განმავლობაში გაიარა ქართველმა ხალხმა. ამაში და ამ მოვლენებში დავინახე მე, როგორც ერთ-ერთმა უბრალო, პატარა, გაჭირვებულმა კაცმა თქვენი მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსობა, რასაც წარამარა რეკლამას უკეთებთ წლების მანძილზე.

„მსოფლიო რანგის პოლიტიკოსი" – რა დამცინავად ჟღერს, ამ 6 წლის მანძილზე ამ დაქცეულ, დუხჭირ ქვეყანაში. არადა, უფროსი (თქვენი თობის ხალხი, ბ-ნო პრეზიდენტო) ასაკის ადამიანები ჰყვებიან, რომ სამამულო ომის დროსაც კი არ იყო ასეთი გაჭირვება, არც მატერიალური და რაც მთავარია, არც მორალურ-ზნეობრივი და სულიერი. თქვენ კი ექვსი წელია გვპირდებით, გვპირდებით, კარგ, ლამაზ, ნამდვილ ქართულ ცხოვრებას, მაგრამ არა და არ დაადგა საშველი არც ერთ დაპირებას.

შარშან უმუშევრებზე დაწესდა რაღაც მიზერულად მცირე თანხა დახმარებისათვის. ხალხმა მთელი თვე რიგებში და საბუთების გაკეთებაში გაატარა. მაგრამ რა, აქაც მოტყუებული აღმოჩნდით. ვინც მოასწრო, აიღო მცირე ნაწილი, ხოლო ძირითადი, ისევ იმედგაცრუებული დარჩა. ამას წინათ, გიბრძანებიათ, ბ-ნო პრეზიდენტო, რომ შეიძლება კიდევ ფულის დაბეჭდვა და ხალხის ხელფასების მომატება, მაგრამ ეს ფულის გაუფასურებას გამოიწვევსო. თქვე დალოცვილებო, რაღა პენსიონერების და გაჭირვებული ხალხის ხარჯზე გინდათ ლარის გამაგრება?

თქვენმა მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსობამ კიდევ იმაშიც იჩინა თავი, რომ ასეულ ათასობით ქართველი გაქცეულია და გადახვეწილია უცხო ქვეყნებში. რა ვქნა, მეც მინდა გავიქცე აქედან, მაგრამ საშუალება არა მაქვს. მილიარდობით ვალი აქვს უკვე საქართველოს. ამ თანხით ეროვნული გულშემატკივარი ჭკვიანი კაცი 6 წლის მანძილზე ფეხზე დააყენებდა ქვეყანას.

ისე, უდავოდ ძლიერი პიროვნება ბრძანდებით, ბ-ნო ედუარდ, ამას ყოველთვის ვაღიარებდი. თქვენ შესძელით საქართველოს სპეცსამსახურების თქვენს პირად სამსახურში ჩაყენება. არადა, ისინი ნორმალურ ქვეყნებში სახელმწიფოს ძლიერების ხერხემალს წარმოადგენენ. ისე, შინაურულად რომ ვთქვათ, საქართველოში მხოლოდ პრესაშია დემოკრატია. ვინც გინდა აკრიტიკე გაზეთის ფურცლებზე, ხმის გამცემი არავინ არის, მაგრამ საკმარისია ქუჩაში გამოვიდეს ხალხი და მოითხოვოს ცხოვრების გაუმჯობესება, მაშინვე პოლიცია თავისი განუყრელი ხელკეტებით იქვე გაჩნდება.

ბ-ნო პრეზიდენტო, უკვე აღვნიშნე, თქვენი ჩამოსვლის დღიდან საქართველომ ბევრი დიდი თუ პატარა უბედურება და გაჭირვება გაიარა. ხშირად მიჩნდება შეკითხვები ამასთან დაკავშირებით, მაგრამ პასუხებს ვერ ვუძებნი. მაინტერესებს: – საიდან თქვენი ამდენი ბოღმა და გაბოროტება ქართველი ერის მიმართ? ისეთი რა დაგიშავა ქართველმა ხალხმა, მთელი თქვენი ცხოვრება მის სულიერ დაკნინებას და ფიზიკურ განადგურებას რომ შესწირეთ.

გერმანელებისათვის ნამდვილად ხართ მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსი და მათი მეგობარი. რატომაც არა? თქვენ ხომ გერმანია გააერთიანეთ. მანქანებიც უნდა გამოგზავნონ თქვენთან საჩუქრად და მთელი ცხოვრება სულ თქვენი მადლიერნი უნდა იყვნენ, მაგრამ ჩვენ რა? რა გვაქვს სათქმელი? ჩვენი სამშობლო რომ დაყავით, სამაჩაბლო და აფხაზეთი ჩამოგვაშორეთ. იქ ორად გაყოფილი ქვეყანა გააერთიანეთ, აქ მთლიანი ქვეყანა დაყავით. ეს პროცესი დღესაც გრძელდება...

რა ვქნა, ბ-ნო პრეზიდენტო, ამ მოვლენების თავი და თავი თქვენ მგონიხართ!

ეჰ, სათქმელი, რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ თქმით რომ არაფერი იცვლება?! ჩემი ერის გაჭირვებამ მათქმევინა ყველაფერი. მე მესმის, რომ ყველა თქვენი ნათესავი და ახლობელი ვერ ვიქნებით. ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან, ბ-ნო პრეზიდენტო, იქნებ, შემისრულოთ:

მასესხეთ ფული, რომ ამ გაუბედურებული ქვეყნიდან გავიქცე ისე, როგორც მრავალი ასეულ ათასობით ჩემი თანამემამულე გაექცა ამ უაზრო, უპერსპექტივო ცხოვრებას, ამ საგიჟეთს, რაც დღეს საქართველოშია. დაველოდებით ღვთის სასწაულს, იქნებ, ოდესმე მოვიდეს ნორმალური მთავრობა, პირველ რიგში ქართველ კაცს რომ დააბრუნებს თავის სახლში და ნორმალური ცხოვრების საშუალებას მისცემს. მასესხეთ ფული, ბ-ნო პრეზიდენტო.

მინდა იცოდეთ, ბატონო პრეზიდენტო, ერთი უბრალო, გაჭირვებული კაცი ვარ, ჩემს უკან არავინ დგას და ალალადაც ვამბობ, რასაც ვგრძნობ.

მამუკა გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

SPORT **სპორტის სამყარო** SPORT

# ელდარ კურტანიძე და დავით პოღოსიანი ევროპის ჩემპიონები არიან

ამ ცნობას თითქოს ველოდით ბრატისლავის დედაქალაქიდან, ოქროს თუ არა, რომელიმე მედალს რომ მაინც მოიპოვებდნენ ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, გვჯეროდა. ჩვენდა საბედნიეროდ, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე ხვიჩა ბიჩინაშვილისა და ძალოსან გია ასანიძის ვერცხლს, ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ოქრო მიუმატეს. ყველაზე სასიხარულო ალბათ ის არის, რომ ჩვენი გაჭირვების მიუხედავად ქართულ გენში არ გამქრალა ქართული ჭიდაობის სკოლა. ამიტომ ორმაგად სასიხარულოა ჩვენი ბიჭების ესოდენ დიდი წარმატება. ვუსურვებთ მათ კვლავაც ბევრჯერ გაეხარებინოთ ქართველი ერი.

# სამხრეთ აფრიკაში რასიზმს კვლავ ებრძვიან

როგორც იცით, დაძაბული ურთიერთობაა შავკანიან ხელისუფლებასა და რაგბის თეთრკანიან თავკაცებს შორის.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა, რომელსაც შავკანიან მორაგბეთა დისკრედიტაციაში სდებენ ბრალს, მოსთხოვეს ნებაყოფლობით დაეტოვებინა თავისი პოსტი. რაზედაც მან ცივი უარი განაცხადა. ნაციონალური სპორტის საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტს ნელსონ მანდელას უჭერს მხარს, რაგბის კავშირის პრეზიდენტს დაემუქრა, თუ ლუითი პოსტს არ დატოვებდა ნებაყოფლობით, იგი გააუქმებდა „ქურციკელთა" ემბლემას და მოახლოვებულ საერთაშორისო მატჩსაც ჩაშლიდა. სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა ოპონენტთა შეხვედრაზე კატეგორიული უარი თქვა ულტიმატუმზე. ულტიმატუმი გულისხმობდა თორმეტკაციანი აღმასრულებელი კომიტეტის მთლიანად გადადგომას. მხოლოდ ოთხმა შავკანიანმა წევრმა დატოვა კომიტეტი დაუყოვნებლივ.

ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც მანდელამ გადაწყვიტა შეექმნა სასამართლო კომისია, რომელიც რაგბში გამეფებულ რასიზმისა და უმართებულობის პრობლემებს შეისწავლიდა.

„მე განვიზრახე დავრჩე ამ თანამდებობაზე ხანგრძლივი ვადით — კატეგორიულად განაცხადა დაძაბული შეხვედრის წინ ლუითმა, რომელსაც თანამოძმენი რაგბის კავშირიდან პოზიციების დათმობას სთხოვენ. თუ სიტუაცია ძალზედ გართულდება, შესაძლებელია სამხრეთ აფრიკას ბოიკოტი გამოეცხადოს და ამჟამინდელი მსოფლიოს ჩემპიონები მსოფლიო რაგბს გამოაკლდნენ. ავსტრალია და ზელანდია სამხრეთ აფრიკასთან ერთად ყოველწლიური სამერის ტურნირის მოლოდინში არიან. სამივე ქვეყანას 550 მილიონი ამერიკული დოლარის წილი აქვთ რუპერ მერდოკსის სიახლეთა კორპორაციასთან. ლუითის გაჯიუტებით შესაძლებელია ეს თანხები მთლიანად დაიკარგოს.

# მაკლარენმა მორიგი დუბლი გააკეთა

კვირას გაიმართა „ფორმულა 1"-ში ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშება. მართალია, ფერარიმ ამ ეტაპისთვის რამდენიმე საინტერესო სიახლე მოამზადა, მაგრამ მათი პილოტების შედეგებში ვერაფრით ვერ აისახა. შუმახერს მთელი თავისი ოსტატობის დემონსტრირება დასჭირდა საპრიზო ადგილის დასაკავებლად.



რბოლა ჰაკინენის იდეალური სტარტით დაიწყო. მას ვერ აჰყვა თანაგუნდელი კულჰარდი. რომ არა შუმახერის შეფერხებები, შესაძლებელია კულჰარდს მეორე ადგილიც ვერ დაეკავებინა. საქმე იმაშია, რომ შუმახერს სტარტზევე პრობლემები შეექმნა ფიციკელასთან. მასთან ორთაბრძოლის დროს მოსახვევში ედი ირვინმა მოახერხა გასწრება და შუმახერს მეხუთე პოზიციიდან მოუხდა ბრძოლის დაწყება. შუმახერმა მხოლოდ პირველი პიტ-სტოპის შემდეგ მოახერხა სასტარტო პოზიციის დაბრუნება, როდესაც ირვინმა შეაბრკოლა ფისიკელა და თანაგუნდელს წინ გასვლის საშუალება მისცა. მეორე წრეში ფისიკელამ შეუტია ირლანდიელს, სცადა კიდევაც გასწრება, ედიმ არ დაუთმო და მათი ბოლიდებით შეჯახება მოჰყვა. ორივემ დროზე ადრე დატოვა ტრასა. სამწუხაროდ, შუმახერს მაინც მოუწია პოზიციის დათმობა, როდესაც მსაჯებმა ათ წამიანი სასჯელის მოსახდელად უხმეს ბოქსებში. ამით ვურცმა ისარგებლა და მესამე პოზიციაზე გადავიდა. შუმახერმა როგორც დიდმა ტაქტიკოსმა მაინც მოახერხა მესამე ადგილის დაბრუნება. იგი ვურცზე გვიან შევიდა ბოქსებში და გუნდის ტექნიკურმა პერსონალმა ექვს წამში მოახერხა შუმახერის ტრასაზე დაბრუნება. ამით შუმიმ დაამტკიცა, რომ დღევანდელ დღეს ტაქტიკურ ბრძოლაში მას ვერავინ შეეცილება. საბოლოოდ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მესამე ადგილზე დაასრულა რბოლა და პოდიუმზე შამპანურით წუწაობაშიც მიიღო მონაწილეობა.

ესპანეთის დიდი პრიზის შემდეგ ჩემპიონატს ჰაკინენი ლიდერობს. მას 36 ქულა აქვს. 29 ქულით მეორე ადგილზეა მისი თანაგუნდელი კულჰარდი. ხოლო მესამე ადგილზე 24 ქულით შუმახერი გახლავთ.

*როგორც ადრე გაცნობეთ, საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები საწვრთნელ შეკრებას გადის იუგოსლავიაში, სადაც დაგეგმილი აქვს რიგი ამხანაგური შეხვედრების გამართვა. როგორც საქართველოს ნაკრების პრესცენტრის უფროსმა, ლევან სალუქვაძემ გვაცნობა, ჩვენს ხელბურთელებს პირველი ამხანაგური ტურნირი ჩაეშალათ, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ მაკედონიის, საუდის არაბეთის, პოლონეთის და საქართველოს ნაკრებ გუნდებს. ტურნირის ჩაშლის მიზეზი საუდის არაბეთის ნაკრების ჩამოუსვლელობა გახდა. სამაგიეროდ, საქართველოს ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა ქალაქ სკოპიეში. პირველში ჩვენი ხელბურთელები მაკედონიის ჩემპიონს „ვარდარს" შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 31:28. მეორე შეხვედრაში კი ქართველი ხელბურთელები მაკედონიის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდნენ. პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენი ხელბურთელები წინ იყვნენ ანგარიშით 11:10 ხოლო 45-ე წუთისთვის უკვე ოთხბურთიანი უპირატესობა ჰქონდათ. მაგრამ არაობიექტურმა მსაჯობამ და სუსტმა ფიზიკურმა მომზადებამ თავისი გაიტანა, რის გამოც გაიმარჯვა მაკედონიამ ანგარიშით 23:21.*

*აშკარაა, რომ საქართველოს ნაკრებს დიდად წაადგება ესოდენ ძლიერ მეტოქეებთან თამაში და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადებაში მეტად შეუწყობს ხელს. შესარჩევი ციკლი ივნისში გაიმართება.*

# კალათბურთელებმა სეზონი დაამთავრეს

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი საქართველოში. იგი საკმაოდ მაღალ დონეზე დამთავრდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფლეი-ოფების მატჩები. თამაშები დაძაბულ და რაც მთავარია საინტერესო ორთ-




აბრძოლაში მიმდინარეობდა, რამაც უდავოდ გაალამაზა ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი ადგილისათვის გამართული მატჩები. ეს შეხვედრები მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. მეტოქეებიც ღირსეულნი იყვნენ. „ვითამ", როგორც იქნა, იპოვა თავისი თამაში, თანაც ეს მან ფლეი-ოფების დროს მოახერხა. როგორც ეტყობა, წინა თაობების მიერ შექმნილი ტრადიცია იყო — პირველის გარდა სხვა ადგილი მარცხის ტოლფასია, კარგად მოქმედებს ამ გუნდის ახალგაზრდა თაობაზეც. შეიძლება ამითაც აიხსნას ის ძალისხმევა და ენთუზიაზმი, რაც ესოდენ გამოარჩევდა ამ გუნდს თამაშების დროს. აღსანიშნავია მწვრთნელთა მუშაობაც. „ვითას" მთავარი მწვრთნელი კარგად გრძნობს თამაშს. მის მიერ გაკეთებულ შეცვლებსა და მითითებებს გუნდი გამარჯვებისაკენ მიჰყავდა.

რაც შეეხება „აზოტს", ეს გუნდი სამი წელია მაღალ დონეზე ატარებს ქვეყნის ჩემპიონატს. თუმცა სხვა გუნდებისაგან განსხვავებით მათ არ მოუწვევიათ გამოცდილი და ძლიერი კალათბურთელები სხვადასხვა ქალაქებიდან. „აზოტში" ძირითადად რუსთავში აღზრდილი ბიჭები არიან. რუსთაველები ეტაპობრივად ქმნიდნენ ძლიერ და სტაბილურ გუნდს. მათ ნელ-ნელა ემატებოდა ახალგაზრდა პერსპექტიული ბიჭები. ალბათ, მთავარი მწვრთნელის დიდი დამსახურებაა, დღეს რუსთავს ძლიერი და სტაბილური გუნდი რომ ჰყავს. გუნდის მესვეურთა მოთმინებამ, დროებითი წარმატებების უკუგდებამ შედეგი გამოილო და რუსთავის „აზოტი" კარგ მობილურ გუნდად აქცია. სპეციალისტებისთვის სულაც არ იყო მოულოდნელი „აზოტის" ასეთი ძლიერი გამოსვლა წლევანდელ ჩემპიონატში. ისინი კარგა ხანია ელოდებოდნენ „აზოტის" ასეთ გამოსვლას. შეიძლება ითქვას წელს „აზოტი" ყველაზე სტაბილური გუნდი იყო.

ამ გუნდების რიგით მეხუთე მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, უკომპრომისო ბრძოლით დაიწყო. თამაში თავიდანვე ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. ხან ერთი გუნდი გავიდოდა წინ, ხან მეორე. განსაკუთრებით მობილურად გუნდები დაცვაში თამაშობდნენ. ამით შეიძლება აიხსნას ალბათ გუნდების დაბალი შედეგიანობა.

„აზოტი" სწრაფი გარღვევებით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას, თითქოს მიაღწია კიდევაც ამას, მაგრამ „ვითას" მთავარი მწვრთნელის დროულად მიცემულმა მითითებებმა თავისი ნაყოფი გამოილო. „ვითელები" არ აყვნენ სწრაფ ტემპს. ისინი თანმიმდევრულად ნელ-ნელა ახორციელებდნენ თავიანთ შეტევებს და არც მჭიდრო პრესინგს ივიწყებდნენ. თამაშიც თანდათან მათ მიერ შემოთავაზებულ სასურველ ტემპში გადავიდა.

პირველი ნახევარი ისეთ ემოციურად და დაძაბულ ორთაბრძოლაში წარიმართა, რომ მწვრთნელებს წუთშესვენებები ტაიმის ბოლოსღა გაახსენდათ. ისიც, ჩემის აზრით, მოთამაშეთა დასამშვიდებლად თუ გამოიყენეს. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, და სწორედ აქ იჩინა თავი „აზოტის" გამოუცდელობამ. მაგრამ მათ მაინც მიაღწიეს მცირე სათამაშო უპირატესობას, და პირველი ტაიმიც გამარჯვებამდე მიიყვანეს.

მეორე ტაიმის დასაწყისი პირველის მსგავსად დაიწყო. გუნდებს თითქოს წინა ტაიმის ემოციები გადმოჰყვათო. დაახლოებით მეათე წუთზე „ვითას" კალათბურთელები დაიბნენ. ამით კარგად ისარგებლა „აზოტმა" და თამაშში ყველაზე დიდი ანგარიშის სხვაობას მიაღწია. ასე რომ გაგრძელებულიყო, „ვითა" ამ თამაშის მომგები აღარ იყო. რაღაც ორწუთიან მონაკვეთში სხვაობამ ანგარიშში თერთმეტ ქულას მიაღწია. ამ დროს „ვითას" მთავარმა მწვრთნელმა წუთშესვენება მოითხოვა, ბიჭებიც დაამშვიდა და საკმაოდ კარგად დამოძღვრა კიდეც. განახლდა თუ არა თამაში, „ვითამ" მჭიდრო პრესინგი შესთავაზა „აზოტს". ამ ტაქტიკურმა სვლამ რუსთაველები დააბნია. ისინი ვერ აკონტროლებდნენ თამაშს, და სულ რაღაც სამ წუთში თერთმეტქულიანი უპირატესობა ქარს გაატანეს. მატჩი უკვე „ვითელთა" კარნახით მიმდინარეობდა. მათმა კარგმა თამაშმა ნაყოფი გამოიღო და უკვე „ვითა" დაწინაურდა 5 ქულით. სწორედ აქ ამოქმედდა „აზოტის" მთავარი დამრტყმელი ძალა გოგობერიშვილის სახით, მისი გარღვევები ფარქვეშ საგონებელში აგდებდა მოწინააღმდეგე გუნდს. „აზოტმაც" დაცვაში მჭიდრო მოქმედებები დაიწყო, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია რუსთაველთა ახალგაზრდა და პერსპექტიული კალათბურთელი ვ. ბოისა. იგი მეორე სართულზე დომინირებდა და განსაკუთრებით კარგად მოქმედებდა თავის ფართან. სამწუხაროდ, მას ოთხი გაფრთხილება ჰქონდა და ძალზედ ფრთხილობდა. მაგრამ ნათქვამია, კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო, და „ვითას" ერთ-ერთი შეტევის დროს მსაჯებმა ბოისა გააფრთხილეს, რაც მისთვის მოედნის დატოვებას ნიშნავდა. თუმცა ახალგაზრდა კალათბურთელი არ ეთანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მაინც მშვიდობიანად დატოვა სათამაშო მოედანი. მისი გასვლის შემდეგ „აზოტს" ძალზედ გაუჭირდა. მხოლოდ გოგობერიშვილი თუ იბრძოდა ბოლომდე. მისი ეს შემართება „აზოტის" კალათბურთელებს გამარჯვების იმედს უსახავდა. მატჩის დასასრული ძალზე წააგავდა მათ მიერ გამართულ ბოლო მატჩის დასასრულს. თითქოს ყველაფერი უნდა განმეორებულიყო, მაგრამ „აზოტს" ძალები აღარ ეყო ყველაზე საჭირო მატჩის მოსაგებად. ამრიგად, „ვითამ" გააგრძელა ჩემპიონატის მოგებათა სერია და თავის გულშემატკივრებს მშვენიერი საჩუქარი უძღვნა.

დასრულდა კალათბურთის ჩემპიონატი საქართველოში. წლევანდელი გათამაშება ალბათ ყველაზე საინტერესო და დამაინტრიგებელი გამოდგა. პირველ ადგილზე ერთდროულად წინა წლებთან შედარებით, ხუთი გუნდი აცხადებდა პრეტენზიას. თამაშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი ეს პრეტენზიები საფუძველსმოკლებული არ ყოფილა. თუმცა ჩემპიონატის დებულება ფლეი-ოფების მატჩების გამართვას ითვალისწინებს და ამიტომ ხუთეულიდან მხოლოდ ოთხმა უძლიერესმა გუნდმა შეძლო შემდეგ ეტაპზე თამაში.

ჩემპიონატში ფლეი-ოფების გასამართი მატჩები რამდენიმე ხნით გადაიდო. გადაიდო გუნდების ფინანსური მდგომარეობის გამო. მაგრამ ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა ჩემპიონატი ლოგიკურ დასასრულამდე რომ მიეყვანა. საბედნიეროდ, მან შეძლო და მშვენიერი სანახაობაც აჩუქა ჩვენს მაყურებელს.

ცალკე მსჯელობის საგანია მსაჯების საკითხი. ალბათ ფედერაციას დიდი მუშაობა მოუწევს ამ პრობლემების მოსაგვარებლად. მსაჯობის დაბალ დონეს ისიც ემატება, რომ ჩვენთან მსაჯები ყოვლად დაუცველები იყვნენ როგორც მოთამაშეებისაგან, ასევე მაყურებლის მხრიდან. რაც, ჩემი აზრით, ყოვლად დაუშვებელია. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ლანძღავდა და ემუქრებოდა მსაჯს, მაგრამ რაც ერთ-ერთი მატჩის დროს მოხდა, ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ეს ეპიზოდი არამარტო სპორტულ, არამედ ელემენტარული ქცევის ნორმებშიც კი არ ეტევა. საქმე იმაშია, რომ ამ თამაშის დროს ტრიბუნაზე გაქცეულ მსაჯს მაყურებელმა გზა გადაულობა და გაგიჟებულ კალათბურთელების ხელში ჩააგდეს ისედაც გვარიანად შეშინებული კაცი. ფედერაციამ ორჯერ განიხილა ეს ინციდენტი და კალათბურთელებს სამართლიანი განაჩენი გამოუტანა, მაგრამ აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. — ფედერაციას თავის დროზე რომ მიეღო ზომები იმ ინციდენტებზე, რომლებიც სხვადასხვა თამაშებზე ხდებოდა, ალბათ ასეთ მძიმე შედეგებამდე არ მივიდოდით.

თუმცა ფედერაციასაც უნდა გავუგოთ. იმ უსახსრობისა და ცუდი სათამაშო პირობების ფონზე მათ მაქსიმალური გააკეთეს. მათთვის მთავარი ამოცანა ალბათ ქართული კალათბურთის გადარჩენაა და როდესაც ქვეყანა ფინანსურად მომძლავრდება, ჩვენს ჩემპიონატსაც სხვა ელფერი დაედება.

დასასრულს მინდა მადლობა გადავუხადო ფლეი-ოფში მონაწილე ორივე გუნდის წევრებს მშვენიერი სანახაობის მოწყობისათვის და იმედი გამოვთქვა, რომ კალათბურთის ფედერაცია კვლავაც მაქსიმუმს გააკეთებს ქართული კალათბურთის ასაღორძინებლად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლორიტი

## ვაგრძელებთ გია მაჭარაძის სახუმარო ამბებისა და გამონათქვამების ბეჭდვას



### ფაშისტური სვასტიკა

გიას ძალიან უყვარდა ქეიფი და დროსტარება. მე ზოგჯერ თავს ვარიდებდი. ერთხელ მთხოვა გამოცდებისთვის ერთად მოვემზადოთო და ჩემთან სახლში მოვიდა. წიგნები მაგიდაზე გადავალაგე და ოთახში ბოლთისმცემელ გიას დავუძახე, მოდი დავიწყოთ მეცადინეობა, რაღას ველოდებით-თქო. გიამ ეშმაკურად ჩაიღიმა, ერთი წუთი მაცალეო, მითხრა და ზუსტად ის კარადა გამოაღო, რომლის თაროზეც სოფლიდან ბებიაჩემის გამოგზავნილი ჭაჭის არყით სავსე რამდენიმე ბოთლი იდგა. უყურე შენ, შესძახა ფეხზე წამომდგარმა გიამ, ქვეყანა განაიარაღებაზეა გადასული და თქვენ რომ ჩაუმწკრივებია აქ პერშინგის რაკეტებივით ეს არყის ბოთლები, ცოტა არ შევუმციროთ ეს არსენალიო? (მაშინ საბჭოთა პრესასა და ტელევიზიას ამერიკის პერშინგისა და MX-ს ტიპის რაკეტების განაიარაღებაზე ყურები ჰქონდა წაღებული — გ. თ.) — შე კაცო, სამეცადინოდ მოხვედი აქ, თუ არყის დასალევად-მეთქი — აღვშფოთდი მე. ბიჭო, გია, ახსენოთ ღმერთი, ჩვენი სალოცავების სადღეგრძელო დავლიოთ და მათი შემწეობით უფრო უკეთ არ შევა თავში ეს დასაწვავი წიგნოო? რა უნდა მეთქვა, ორ ჭიქას ოთხი მოჰყვა და იურისპრუდენცია იმ დღეს გვერდზე დაგვრჩა. მეორე დღეს უნივერსიტეტში ბიჭებში ტრაბახობდა, გუშინ ისე დავათვრე გია, ტახტზე ფაშისტური სვასტიკასავით დაგრეხილი ინვაო.

### მაგ დროს სტუდენტს ჰგავდი

ცოტა არ იყოს, ერთი ზარმაცი თანაკურსელი გვყავდა. გია მასზე ხუმრობდა, ნაღდად დებილის ცნობით არის მოწყობილიო. ზეპირი გამოცდა გვქონდა მეცნიერული კომუნიზმის სახელის მქონე საგანში. ეს ბიჭი გამოიძახა ლექტორმა და მის საგამოცდო ბილეთში ერთ-ერთი საკითხის — კოლექტივიზაციის რეფორმის დარღვევების შესახებ შეეკითხა. ჩვენმა კურსელმა თვალები დააჭყიტა და აუდიტორიაში მშველელს დაუწყო ძებნა. შენიშნა, რომ გია რაღაცას კარნახობდა და ნაკარნახევის ლუღლუღით გადმოცემა დაიწყო. — კოლექტივიზაციის დროს კომუნისტი ბრიგადირები ყველაფერს ართმევდნენ გლეხებს. მაგალითად, შინაური ცხოველებიდან არ დაუტოვეს ცხენი, ხარი, ძროხა, მოზვერი, ცხვარი, თხა, ღორი, ციკანი, ქათამი, იხვი, ბატი, ინდაური, ...

ეს ჩვენი ლექტორი საკმაოდ ხნიერი კაცი იყო. ცოტა ხანს კი აქნევდა თავს დასტურის ნიშნად, მაგრამ, რომ შეხედა, გაუტია და გაუტია სტუდენტმა, უცებ ისეთი დაიღრიალა, რას ციგნობ ბიჭო შენო, რომ სისხლი ლამის გაუყინა ჩვენს მეგობარს. მერე ერთი კიდეც დაუცაცხანა, ბიჭო, შენ ზოოლოგიის გამოცდაზე ხომ არ გგონია თავიო და გარეთ გააგდო.

გამოცდის დამთავრების შემდეგ, გარეთ რომ გამოვედით, დაეტაკა გიას ჩვენი შერცხვენილი მეგობარი, ასეთი რა მიკარნახე მაინც, ლექტორი რომ გადაირიაო.

გიამ სერიოზული სახით უთხრა: მთლად ხმის ამოუღებლობას მაინც სჯობდა, რაღაცა რომ მოყევი, მაგ დროს სტუდენტს ჰგავდიო.

### მუხა მოდის

ერთი კახელი მეგობარი გვყავდა. გია როგორც კი დაინახავდა, შესძახებდა, მუხა მოდის, მუხა, როგორ ხარ მუხაო. ერთხელაც წყენა ვერ დაფარა ამ ჩვენმა კახელმა ძმაკაცმა და გიას სთხოვა მუხას ნუღარ დამიძახებო. გიამ უთხრა, აბა ბუჩქს ხომ არ დაგიძახებ, შე კაცოო.

### სუფთა ყველი

ერთხელ ბაზარში შევედით ყველის საყიდლად. გია მეუბნება, ხომ გახსოვს ბეკინა სამანიშვილისთვის რომ ეძებდნენ ორნაქმარევ და უშვილო დედაკაცსო. მერე, რა გინდა, მაგით რომ თქვა-მეთქი — შევეკითხე. რა, ბიჭო და, ჩვენ ყველის ისეთი გამყიდველი ქვრივი ქალი უნდა მოვძებნოთ, ქმარი რომ ერთი-ორი წელი მკვდარი ჰყავსო. — ვითომ რათა-მეთქი — გამიკვირდა. მაგდენს რაფერ ვერ ხვდებიო, მასეთ ქალს ერთი-ორი წელი კაცის შუბზე ხელი არა აქვს მოკიდებული და სუფთა ყველი ექნებაო.

### მწარე! მწარე!

ერთხელ ქორწილში ვართ. გიამ, როგორც ყოველთვის, მაგრად სვა და მასხარაობის ხასიათზეც დადგა. უცებ ნეფე-პატარძლისკენ გაიხედა და ირგვლივ მსხდომ, ახლო მეგობრების გასაგონად ხმადაბლა დაიწყო ძახილი — მწარე! მწარე! რა მწარე აგიტყდა-მეთქი, შევეკითხე. რუსები ხომ ყვირიან ქორწილში, გორკა, გორკაო, ქართულად თუ ვთარგმნით, ჩვენ უნდა ვიყვიროთ — მწარე, მწარეო.

### საწყალი ბიჭი

იყო შემთხვევები ლექციები საღამოობით გვიტარდებოდა. ერთხელაც ვერ ვუთხარი უარი გიას ქეიფზე და ლექციებზე საკმაოდ შეზარხოშებულები მოვედით. მე უფრო და უფრო მომეკიდა ღვინო. ახალი ლექციის მოსასმენად სხვა აუდიტორიაში უნდა გადავსულიყავით, მე კი ფეხები არ მემორჩილებოდა. თითქმის მომიკიდა გიამ ზურგზე და ისე მივყავდი დერეფანში, რომ ამ დროს ჩვენთვის უცნობმა ერთმა ლექტორმა გაგვაჩერა და გიას ჰკითხა — რა მოუვიდა მაგ კაცსო, გიამ დაუფიქრებლად უპასუხა, დამბლა აქვს პატივცემულო, მაგრამ ლექციებს არ აცდენს, მშობლებმა კი მაგის თავი მე ჩამაბარესო, — საწყალი ბიჭიო, გადაიქნია თავი ლექტორმა და გაგვეცალა.

### ჰააგის სასამართლოში დაგიცავთ

ერთხელ უსიამოვნო ამბავი შეგვემთხვა. მოკლედ, ერთი ქალი შემომიჩნდა, შენგან ვარ ფეხმძიმედ, ბავშვი უნდა გავაჩინო და ცოლადაც მომიყვანე, თორემ გიჩივლებო. მე კიდევ, როგორც ამბობენ, ამ ქალის შემრთველი არ ვიყავი, არადა, აფორიაქებული კი მქონდა ტვინი ამ ქალბატონის გადამკიდე. გია მაჭარაძეს შევხვდი და რჩევა ვკითხე. გიამ დამამშვიდა, მაგ შანტაჟისტმა როგორ შეგაშინაო, მაგას რა იურიდიული საფუძველი აქვს გიჩივლოსო. მაშინ გამოუცდელი ბიჭი ვიყავი და მაინც ვვიშვიშებდი, რა მეშველება-მეთქი. ბოლოს სერიოზული სახით შემომხედა გიამ და მითხრა: კარგი, რახან ეგრე გეშინია, არ მინდოდა ამ კაცის შეწუხება, მაგრამ, ხომ იცი, შენი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებო. ვინ არის ეგეთი-მეთქი. ვინ არის და პროსტიტუციისა და ნარკომანიასთან მებრძოლი სამმართველოს უფროსია შსს-ში, პოლკოვნიკი გვრიტიშვილიო. ერთი პატარა სუფრა იკისრე რესტორანში, იმ კაცს გვერდზე დაგისვამ და მერე იარე ამ ქვეყანაზე დეზებიანი მამალივით, ნურაფრის შეგეშინდებაო. რაზეა ლაპარაკი-მეთქი, გამიხარდა, შენ ოღონდ მიშველე და შენი ვალიდან ვერ ამოვალ-მეთქი.

„მოლაპარაკებისამებრ, გავშალე სუფრა რესტორან „არაგვში", ფულის სესხებამაც მომიწია, რომ სუფრას ჩიტის რძე არ დაკლებოდა. გიამ და მისმა მეგობარმა გვრიტიშვილმა მშვენივრად მოულხინეს. დასასრულს გიამ სიცილით მითხრა, ბიჭო არ დამიმალო, თუ კიდევ ვინმე გიჩივის, მე და პოლკოვნიკი გვრიტიშვილი შენს გვერდით გვიგულე, ჰააგის სასამართლოში დაგიცავთ, თუ აქ ვერაფერს მოვახერხებთო. ამაზე კი მე და ვითომ გვრიტიშვილსაც ერთდროულად წაგვსკდა სიცილი, მაგრამ ჩემი სიცილი უფრო სიმწრისა იყო.

### გიას ანეკდოტები

ზღვაზე ბანაობს ჭიჭიკია. ამოყვინთა წყლიდან და ხედავს მის წინ კაი ქერათმიანი რუსი გოგო ლივლივებს. ეკითხება ქუთაისური აქცენტით: — ტი მნე ნე ბაიშსია?

— ნიეტ, — პასუხობს გოგო.

— ა მოჟეტ ბიტ ია ზვიგენ?

☺☺☺

მიხოს კოვზი დაუვარდა სადილობისას, ჰაერში დაიჭირა და ჩაიბურდღუნა, ჩემს ფეხებს მოხვალ სტუმაროო.

☺☺☺

კომუნისტების პერიოდში ვითომ ბრეჟნევის ძეგლი დადგეს ერეკლეს ძეგლის გვერდით თელავში. კახელები აბუზღუნებულან, მაგრამ მიხოს უთქვამს — ხალხო იყოს ეს ძეგლიც, ეტყობა, ის ანდაზა ახდა: სად ერეკლე და სად ჩემი ...

☺☺☺

ერთი ახალგაზრდა კოჭლი ბიჭი მამამისს შეუჩნდა, დიდი ომია დაწყებული და მეც უნდა წავიდეო. ვერ შეასმინა მამამისმა, რომ კოჭლია და ომისთვის არ გამოდგებოდა. ბოლოს გამწარდა და უთხრა: — შვილოო! აქ ხომ მე გამიმწარე სიცოცხლე და იქ კიდევა შენი კოჭლობით სნაიპერი უნდა დაიტანჯოსო?!

☺☺☺

სოფლად ერთმა ახალგაზრდა კაცმა ცოლი მოიყვანა და ორ თვეში სახლიდან გააგდო. ორღობეში მიმავალი ერთმა ხნიერმა კაცმა გააჩერა და შეეკითხა — რას ერჩოდი, ბიჭო, იმ გოგოს, რატომ გაუშვი? — აბა, რა მექნა ბიძაჩემო, ფიცარივით იყო, ძუძუები სულ არ ჰქონდა — აბა, ბიძია, კაი ძუძუები აგერ ჩემს ძროხას აქვს და ქე წეიყვანე ცოლად.

☺☺☺

— ბიჭო, ხელ-ფეხიც მოგიმტვრევია, თავიც გაგიტეხია, რა მოგივიდა?

— რა ვიცი, ჩემმა მინგრეულმა ჟიგულმა კაი კარატისტივით იკარუსის გალახვა მოინდომა შუა ქუჩაში.

☺☺☺

მატარებელში ჭიჭიკიას თანამგზავრად ერთი უცხვირპირო კაცი შეხვდა, საიდან არ უტრიალა, ხმა მაინც ვერ ამოაღებინა. ბოლოს ეკითხება — რა ღირს, თუ იცი შენ, ტელეგრამაში ერთი სიტყვის გაგზავნა?

— 10 თეთრი

— ა, ძმაო, ერთი ლარი და ერთი-ორი სიტყვა მითხარი, რამ დაგამუნჯა, შე კაცო?



# არსენა ჩაჩაევის რეპორტაჟები

### ქართული ბარბი

ყველამ ვიცით, რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი — იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო. ისიც ვიცით, რომ ამერიკაში ყველაზე პოპულარული სათამაშო არის თოჯინა ბარბი, რომელიც თავისებურად გამოხატავს ამერიკული ცხოვრების წესს. ჩვენ ჩვენი ცხოვრების წესი გაგვაჩნია. ისმება კითხვა — როგორი ტიპის თოჯინა შეიძლება შევთავაზოთ ჩვენს ბავშვებს ამ მხრივ? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად მივმართეთ სათამაშოების ფაბრიკის დირექტორს ბატონ სევერიან წივწივაძეს.

დირექტორი: — გამარჯობათ, გამარჯობათ. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენს ბავშვებს უკვე ჰყავთ თავისი ეროვნული ბარბი სახელად „დეიდა თინა" (დირექტორი გვაჩვენებს საშუალო ასაკის თოჯინას, რომელსაც აცვია ძველი პალტო და რეზინის ბოტები).



კორ: — თუ შეიძლება მოგვიყევით დაწვრილებით მის შესახებ.

დირექტორი: — დიდი სიამოვნებით! ...ცით, ალბათ, რომ ამერიკაში ბარბი ...ვადასხვა მოდიფიკაციით გამო...ის. მაგალითად: ბარბი — ექთანი, ...რბი — სტიუარდესა, ბარბი ის...ენებს და სხვა. ...ვენს „დეიდა თი...ნასაც" აქვს თავისი ...მოდიფიკაციები: ...დეიდა თინა ჰყი...დის პურს ...ტროსთან", „დეიდა თინა მიტინგზეა და ლანძღავს მთავრობას", „დეიდა თინა უყურებს სერიალებს" ...




კორ: — ცნობილია, რომ ბარბის ამერიკაში თავისი მეგობარი — ბოი-ფრენდი — ჰყავს. ამ მხრივ „დეიდა თინა" მარტო ხომ არ არის?

დირექტორი: არა, ჩვენ ამაზეც ვიზრუნეთ. ეს არის „ძია ვანო", რომელსაც აქვს თავისი მოდიფიკაციები: „ძია ვანო დომინოს თამაშობს", „ძია ვანო გამოსაფხიზლებელში", „უმუშევარი ძია ვანო მახათით ხელში" და სხვა...

### სადილი ტელეფონით

როგორც ვიცით, დღეს ძალიან მოდაშია სატელეფონო სამსახური — სექსი ტელეფონით. თბილისში გაიხსნა მეტად საჭირო სატელეფონო სამსახური, რომელსაც ჰქვია „სადილი ტელეფონით". ჩვენ ვესაუბრებით ამ მეტად მნიშვნელოვანი სამსახურის ხელმძღვანელს და სულისჩამდგმელს ალიო მუღუღუიანს:

კორ: — ბატონო ალიო, რა არის მაინც „სადილი ტელეფონით"?

ა.მ. — ო, ეს ძალიან კარგი რამ არის. ყველა მსურველს შეუძლია დარეკოს ჩვენს ტელეფონებზე და მიიღოს სადილი, რომელიც სამი კერძისაგან შედგება. სადილის ანონიმურობა გარანტირებულია. ანგარიში ეგზავნება ჩვეულებრივ სატელეფონო ქვითრით.

კორ: — ხმები დადის, რომ ტელეფონზე მომუშავე გოგონები საარაკო ხელფასს იღებენ.

ა.მ. — რას ამბობთ! ბევრი გოგონა სულ უფასოდაც მუშაობს, როგორც იტყვიან, ჭამის პროცესისადმი უდიდესი სიყვარულის გამო.

შემდეგ ჩვენ მოვუსმინეთ კლიენტთან მოლაპარაკე ერთ-ერთ გოგონას.

გოგონა: — ახლა მე თეფშზე გისხამთ ბატკნის ჩაქაფულს. ტყემლები ნაზად დაცურავენ წვრილად დაჭრილ ხორცს შორის. ტარხუნის სუნი პირდაპირ ცხვირში გვირტყამს...

ამ დროს კლიენტი — სპორტულ პიჟამაში გამოწყობილი მსუქანი მამაკაცი — ნერწყვისაგან კინაღამ იხრჩობა. ჩვენი კორესპონდენტი მაინც ახერხებს მასთან საუბარს:

კორ: — მაპატიეთ, სადილზე რომ შემოგეჭრით, კმაყოფილი ხართ მომსახურებით?

კლიენტი: — ძალიან! თქვენ, ალბათ, არ დამიჯერებთ, მაგრამ ამ სადილობისას უკვე სამჯერ განვიცადე სიმაძღრე. დაუფარავად გეტყვით, ასეთი რამ ცოლთანაც კი არ მომსვლია. თუმცა რა, მობრძანდით, დამეწვიეთ...

ამ დროს ისმის გოგონას ხმა: ახლა კი დესერტი...

### პრივატიზაცია ქართულად

როგორც ვიცით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ საქართველოში პრივატიზაციის ბუმი გამოიწვია. მიმდინარეობს პრივატიზაცია სასტუმროების, სახლების, მაღაზიების, ბაზრების და რისი აღარა. სულ ახლახან გავიგეთ, რომ დაწყებულია შავი ზღვის პრივატიზაცია. ჩვენ მაშინვე მივავლინეთ კორესპონდენტი აჭარაში (სხვაგან არ ჩაგვესვლება), მოვძებნეთ შავი ზღვის ერთ-ერთი მეპატრონე და გავესაუბრეთ მას.

პლაჟზე, პირდაპირ წყლის ნაპირზე დიდი რკინის ჭიშკარი დაგვხვდა. ზედ ეწერა: „ზღვაში შესვლა 3 ლარი". კარებთან წითელსამკლავურიანი შორტებიანი მამაკაცი ზის. მას დამსვენებლები ფულს უხდიან და კარის გავლით ზღვაში შედიან.

კორ: — უკაცრავად, გვაინტერესებს, რატომ იღებთ ფულს ზღვაში შესვლისათვის?

პატრონი: — როგორ თუ რატომ? ზღვა ხომ ჩემია.

კორ: — მაინც, როგორ არის თქვენი?

პატრონი: — როგორ და პრივატიზაცია გავაკეთე.

კორ: — ეი. ზღვა ახლა მთლიანად თქვენია?

პატრონი: — მთლიანად ჯერ არა. მხოლოდ სამი მეტრი სიგანეში და რვა — სიგრძეში.

კორ: — მაგრამ, გვერდით ხომ შეიძლება ზღვაში უფასოდ შესვლა?

პატრონი: — კი, როგორ არა, მაგრამ არ გირჩევთ.

კორ: — რატომ?

პატრონი: — იმიტომ, რომ ის სახელმწიფო საკუთრებაა.

კორ: — მერე რა?

პატრონი: — მერე და ის, რომ წყალი ჭუჭყიანია, ცივია... და რაც მთავარია, უპატრონოა. აქ კი მომსახურებაა.

კორ: — თქვენთან რა მომსახურებაა?

პატრონი: — რა, ვერ ხედავთ? ვდგევარ, ბილეთებს ვყიდი, რკინის კარი შევღებე...

კორ: — კარგით, ვიბანავებ თქვენს ზღვაში.

პატრონი: — ინებეთ ბილეთი, გამოსვლისას სიურპრიზსაც მიიღებთ.

კორესპონდენტმა აიღო ბილეთი, შევიდა ზღვაში და იბანავა. გამოსვლისას კი კარზე ასეთი წარწერა დახვდა: „ზღვიდან გამოსვლა — 5 ლარი".

### მოლაპარაკე საკეტი

გთავაზობთ ტექნიკის კიდევ ერთ სიახლეს — მოლაპარაკე საკეტს, უფრო სწორედ გთავაზობთ მის სარეკლამო კლიპს.

კადრში ჩანს ნახევრადჩაბნელებული სადარბაზოს კიბის ბაქანი. კიბეზე ქურდი მოიპარება. ხელში გასაღებების აცმა და „ატმიჩკა" უჭირავს. ანთებს ასანთს და ცდილობს კარებში გასაღების მორგებას. სად არის ნეტა გასაღების ხვრელი?

მექანიკური ხმა: გასაღების ხვრელი ცოტა ქვემოთაა.

ქურდი: (შეშინებული) რა? ვინა ხარ?

ხმა: ეს მე ვარ — მოლაპარაკე საკეტი, თქვენი ერთგული მეგობარი კარის გაღებაში.

ქურდი: ხედავ შენ! მაგრად ასწორებ (ცდილობს გასაღების მორგებას, ის კი არ შედის).

ხმა: თქვენს გასაღებს ორი კბილი აკლია მარჯვენა მხარეს.

ქურდი: ყოჩაღ! (ეძებს სხვა გასაღებს, პოულობს).

ხმა: ახლა გასაღები ორჯერ გადაატრიალეთ მარჯვნივ.

ქურდი: (ატრიალებს), ყოჩაღ ძმაო! მაგარი გამოგონება ხარ.

ხმა: ახლა ერთხელ მარცხნივ გადმოატრიალე (ისმის ტკაცუნის ხმა). მე ღია ვარ! შემოდით! (ქურდი ფრთხილად შედის სახლში). შემოხვედით უკვე?

ქურდი: კი.

ხმა: ქვედა თაროზე ქაღალდში შეხვეული პაკეტი დევს, მასში ყველაზე ძვირფასი რამეებია, აიღეთ და წადით.

ქურდი დიდ პაკეტს პოულობს და იღებს.

ქურდი: ხედავ შენ! მოკლედ, ძმა ხარ ჩემი.

ხმა: ახლა ჩქარა წადით, სახლის პატრონი ორ წუთში მოვა.

ქურდი მიდის. ღია კარში ჩნდება სახლის პატრონი.

პატრონი: აბა, ყველაფერი რიგზეა?

ხმა: რა თქმა უნდა! ნაგავი გადაყრილია.

რეპორტაჟებს უძღვებოდა
**არსენა ჩაჩაევი**



## ბრძოლა არსებობისათვის

გაგვაქვს წუთისოფელი მუშტითა და კბილებით,
ტანს და ფეხებს ვიმოსავთ სხვისი გადაყრილებით
მე კი არა, ასეა ყველა, ვინაც არ ქურდობს.
ვსხედვართ პირმოკუმული, ვემდურებით საწუთროს.
ასე იყო ყოველთვის, ყველა საუკუნეში,
თავხედები დამყოლებს, აფურთხებდნენ სულებში,
ვიღაც ტლუ და რეგვენი ნამუსიანს ამონებს,
თავზე ახვევს უმკაცრეს, თავის შეთხზულ კანონებს.
იმ კანონებს დამწერი, როგორც წესი, გვერდს უვლის
და ყველაფერს ისრულებს, არ დატოვებს ერთ სურვილს,
ჰოდა ამას მოჰყვება ომი, რევოლუცია,
თავხედები ერთმანეთს ისევ სკამებს უცვლიან.
...
საღორეში ომია, საჭმლით სავსე გობისთვის,
იყო, არის, დარჩება ბრძოლა არსებობისთვის.

**ნიკოლოზ იოსებიძე**


## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო" თავისი ნომრის ერთ გვერდს უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, გაზეთ „საქართველოს" რედაქცია.

## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*

*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას*
*ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89




## სამხატვრო აკადემიის სტუდენტის ჯაბა ხარაიშვილის გახსენება!

ჩვენო საყვარელო ჯაბა, 11 მაისს შენი დაბადების დღე უნდა მოგველოცა. ისე მოვიდა უშენოდ გაზაფხული, რომ სამუდამოდ დაღდასმულ გულებს არაფერი უგრძნვია, მხოლოდ ტკივილი იქნება შენი გახსენება.

უეცარი ბედისწერის გამო სასოწარკვეთილებაში ვართ არა მარტო შენი ოჯახი, არამედ შენი ბიძაშვილ-მამიდაშვილები, შენი სამეგობრო, შენი უბანი.

ძნელია, ძნელი უშენოდ ჯაბა!

ნაადრევად დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე, მაგრამ შენი სახელი და ხსოვნა მარადიული იქნება ჩვენს გულებში.

**ნათესაობა**



## მეგობრის ხსოვნას

მეგობართა წრეს, საქართველოსთვის მებრძოლთა რიგებს, ცოლ-შვილს, სამშობლოს გამოაკლდა ღირსეული კაცი — თამაზ ზოდიკოს ძე ციხისელი. ულმობელი დამნაშავეების ხელმა იმსხვერპლა ომგამოვლილი კაცი სამშობლოდან შორს.

თამაზ ციხისელი დაიბადა 1960 წელს, თბილისში. საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში პირნათლად მონაწილეობდა წლების მანძილზე. შრომობდა, იბრძოდა, ოჯახს უვლიდა, მეგობარს, უცხოს, მტერს და მოყვარეს თავ-თავის პასუხს აძლევდა. იომა სამაჩაბლოში, აფხაზეთში, განიცდიდა ქვეყნის ტრაგედიას, განიცდიდა სიდუხჭირეს, განიცდიდა ყველაფერს, რაც კი მის გარშემო მყოფ ადამიანთა ტანჯვას იწვევდა. იმედს არ კარგავდა და ოჯახისა და სამშობლოს სიკეთისათვის სამსახურს არ იზარებდა.

იყო საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი, პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანების შემდეგ — საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრი. დარჩა მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი კეთილშობილი სული.
მსუბუქი იყოს მის გულზე საქართველოს მიწა.

**საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი.**

## კროს ვორდი



**თარაზულად:** 2. თევზის სახეობა; 6. ვინც ვისიმე მუშაობის, საქმიანობის დახასიათებას იძლევა სამუშაოზე მისაღებად; 10. მშვენიერი ქალბატონი, ფრანგული კულტურის კუთვნილება — იგი უყვარდათ, მას ბაძავდნენ, მეტოქეობდნენ; 12. უცხო მხრიდან შემოტანილი მცენარე (ან შემოყვანილი ცხოველი), რომელიც ადგილობრივი ჰავისთვის არ არის დამახასიათებელი; 15. ლატარიის სახეობა; 16. საქალაქო რკინიგზა ტრამვაის შემოღებამდე; 18. რუსეთის პირველი ლედი; 19. იაპონიაში შექმნილი სპორტულ-თავდაცვითი სისტემა; 20. თანამედროვე ცეკვა; 21. ქალაქი ჩინეთში; 22. ნივთიერება, რომლითაც ავსებენ დაზიანებული კბილის ღრუს; 23. ზედატანი; 25. ფეხბურთის კარის ზედა, განივ გადებული ძელი; 28. კონვეიერი, რომელიც მცირე მანძილზე ეზიდება და ერთმანეთში ურევს ფხვიერ, თხევად და ა. შ. მასალას; 29. ნუგზარ შარიას ეკრანული სახე; 30. თავის შესაქცევი სანახაობა; 31. განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 32. ქართლის დედოფალი — XVII საუკუნის ქართული კულტური[...] მეცენატი; 36. მოწყ[...]ობილობა სიდიდი[...] უცვლელობის შენარ[...]ჩუნებისათვის; 37. სანდრ[...] ჟორჟოლიანის სცენური სახ[...]

**შვეულად:** 1. საკრავი; 2[...] სისხლის შენადედი სისხ[...]ლძარღვში; 3. სამუშაოს შესა[...]რულებლად საჭირო საგან[...] ან მოწყობილობა; 4. ნარკოტიკული ნი[...]თიერება თამბაქოში; 5. წინსვლა, აღმავლო[...]ბა; 7. საჭმლის მცირე ნაწილი; 8[...] ორელექტროდიანი ელექტრონმილაკი; 9[...] ქართული სამარკო ღვინო; 10. წრებრუნვ[...] ტრიალი; 13. სახელმწიფო ევროპაში; 1[...] მოქმედების უნარი, ძალ-ღონე; 14. უნებლი[...] ანუ...; 16. მიცვალებულთა მოსახსენიებელ[...] საჭმელი; 17. დაბალი დიპლომატიური რან[...]გი; 23. უსარგებლო ლითონის ნივთები; 24[...] მსხვილი კაპიტალისტური სამიწათმოქმედ[...] მეურნეობის პატრონი; 26. ბეთჰოვენი[...] საფორტეპიანო სონატა; 27. ოცი კაპიკი; 3[...] კბილებიანი რკინა, ტერფზე ამოსაკრავი; 3[...] სრული მარცხი; 35. სიტყვათა წარმოთქმი[...] მანერა.

**გ. გასიტაშვილ[...]**


## განცხადებები

იცვლება ოროთახიანი ბინა სანზონაში ქვიშხეთის ქუჩაზე, ამავე უბანში სამოთახიან ბინაზე. შესაბამისი თანხის დამატებით. ტ. 68-97-27 კიკნაძე ლია

ვამზადებ ფრანგულ ენაში. ტელ: 64-92-18

იყიდება დესაო, ლოგინის ჩასაწყობი ტახტი და კომოდი. ტ: 96-46-56.

ვარ მაღალი კვალიფიკაციის ელექტრიკოსი. იაფად და ხარისხიანად ვაკეთებ ყოველნაირ ელექტროგაყვანილობებს. ვაკეთებ სხვა და სხვა მანქანა დანადგარების ელექტრომონტაჟს და პოლიგრაფიული მანქანების მონტაჟებს. ტ: 98-33-59 რუდიკა, 5-ის შემდეგ.

იყიდება სარეცხის მანქანა „ოკა" — მალიუტკა, ტელევიზორი — „სუპერ-სონიკი" და ელექტრონული სასწორი. ტელ: 96-10-50.

იყიდება აგარაკი 1200 კვ. მ. შემოვლებულია ღობე და რკინის კარები. ეზოში ხეხილით. 2-სართულიანი სახლია. აქვს ლოჯი და 2 პატარა ოთახი. ეზოში დგას რკინის ვაგონი. აგარაკი მდებარეობს სოფელი ქანდის პირდაპირ. ფასი შეთანხმებით ტ: 99-91-32 თამარი.

იყიდება 5-ოთახიანი ბინა მეტრო „300 არაგველთან" ჭერის სიმაღლე 3 მ. 30 სმ. საერთო ფართი 100 კვ. მ. მიშენებულია ლოჯი, 182 კვ. მ. ლოჯის ქვეშ 2 ავტოფარეხის ადგილი. წყალი და სინათლე მუდმივად არის. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ტელ: 74-52-12 ანა.

ვყიდი გერმანული კომპაქტდისკების ნაკრებს (50 ცალი). არის კლასიკის, ბაროკოს, რომანტიზმის პერიოდის კომპოზიტორთა და ქანთრის ნაწარმოებები ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით. სულ 50 კომპოზიტორის 200-მდე ნაწარმოები. ფასი 1200 დოლარი. ტელ: 61-71-43 ნათია.

იყიდება სასწრაფოდ, იაფად, საბურთალოს ქუჩაზე, იპოდრომთან მე-4 სართულ[...] არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა ლოჯი[...] მიშენებული 40 კვ.მ. ბინა ახალი პროექტი[...] 5-ოთახნახევრიანია. ოთახები იზოლირებ[...]ლია. კედლები სათავსოებით, აქვს სარდაფ[...] მანქანის სადგომი, ნაწილობრივ სარემონ[...]ტოა. საწყისი ფასი: 32000 დოლარი. ტე[...] 72-35-66 დოდო ან ნათია.

იყიდება კერძო ბინა 4-ოთახიანი, ყვე[...] სათავსოთი, სარდაფით 100 კვ. მ., არი[...] დაშენების საშუალება, მუდმივი დენით[...] ტელეფონით. ფასი 35000 დოლარი. მისა[...]მართი: კარგარეთელის 2ა. ტელ: 95-79-4[...] ქეთო.

ქირავდება სოლოლაკში, ლეონიძის [...]ში, 3-ოთახიანი ბინა 1 სართულზე, ტელე[...]ფონით, ოფისისათვის, ან კომერციული საქმი[...]ანობისათვის. ტელ: 99-68-49.

იყიდება ავტომანქანა „მერსედესი" 280E[...] აზერბაიჯანული ნომრით, ახალი საბურავე[...]ბით, ფასი 1500 დოლარი. ტ: 79-90-17.

იყიდება კერძო სახლი 1 პიონერის [...] №46 ნაძალადევის კომისარიატთან ახლო[...] ფასი 13000 დოლარი. ტ: 32-62-04 თამაზ[...]

იყიდება ასაწყობი ბუხარი 6 ნაწილის[...]გან შემდგარი. ფასი 250 დოლარი დ[...] რკინის კარადა, ფასი 150 ლარი ტ: 32-62-04 თამაზი

შევისყიდი გერმანული ან ჩეხური წარ[...]მოების გიტარას. ტ: 64-76-77

იყიდება საკუთარი კაპიტალური სახლ[...] მეტრო „300 არაგველთან" 4 ოთახიანი ყვე[...]ლა სათავსოთი. აბაზანა, ტუალეტი კაფელ[...]ში. აქვს 2 სარდაფი. ტელეფონი. გარემონ[...]ტებული სახლია. საერთო ფართი 130 კვ. [...] ფასი 35000 დოლარი. მისამართი: ნინაძ[...]ლის ქუჩა 5ა. ტ: 74-50-97

ვთარგმნი ქართულიდან ინგლისურად დ[...] პირიქით ნებისმიერი სახის მასალას. ტ: 38-18-84. საღამოს საათებში.


გაზეთ „საქართველოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს მარიკა მშვენიერაძეს დედის

**ნინო მშვენიერაძის**

გარდაცვალების გამო.

მშობლები ზოდარი და ნანული, მეუღლე ანა, შვილები სალომე, სოფიკო, ბესიკი, და მანანა, ბიძები, მამიდები, დეიდები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამაზ ზოდიკოს ძე ციხისელი.**


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444